

მედიკალი

VI

ივნილი

VI



რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს და აკენტებს ჟურნალის
ხვედრი ფულის გამოკსაგნა დაახჩარონ

შინაარსი: 1) მომავალი სკოლა შრომისა და მუშაობის სკოლა იქნება (კერძენ-
შტეინერიანს) — **ლ. ბოცვაძე**. 2) სინათლე და ელექტრონი — **პ. ქარუმიძე**. 3) წყალი
და მისი გაწმენდის საშუალებანი — **ვ. კაკაბაძე**. 4) პირველ-დაწყებითი განათლება ბოლ-
გარიაში — **კატო ბაქ-ძე**. 5) ათწილადი ნაწევრების შესწავლის წესი — **კახაბერი**. 6)
ლეგენდის განმარტება — **ილ. ალხაზიშვილი**. 7) ერთი დღე თავისუფლად — **ლ. ელია-
ვა**. 8) უფსკრული — **მინ. ბოჭორიშვილი**. 9) ვნახე ყვავილი — **გელა**. 10) ზარნაშის
მოთქმა (ეგნ. ნინოშვილის ხსენებას) — **დ. თურდოსპირელი**. 11) დიდი ადამიანის შე-
საფერი ძეგლი — **ი. გომელაური**. 12) † ალექსანდრე სრაჯიშვილი. 13) გამოცდები
კიციხის სკოლაში — **გრ. საქარიძე**. 14) როგორი თავაღსანიან სურათები სჭირიან
ჩვენს სკოლას და რა მიზანს უნდა შეეფერებოდეს ის — **ა. დობორჯგინიძე**. 15) ში-
ნაური მიმხილვა — სოფლის მასწავლებელთა ექსკურსიები, ქუთაისის სამრევლო სკოლის
კურსები და კ. ჟურნალის ობიექტი. 16) ცოტა რამ ქიმიურს ტერმინებზე — **ე. ალში-
ბაია**. 17) ანატომიური და ფსიხოლოგიური ტერმინების და სხვა და სხვა დარგის სიტ-
ყუების შესახებ — **ლ. ცაგარელი**. 18) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. მტენარენი და ცხ-
ველნი ვ. ი. რცხილაძისა — **ილ. ალხაზიშვილი**. 19) დია წერილი აკეთის საზოგადოე-
ბის მასწავლებლებს — **ერთი მშობელთაგანი**. 20) საერთაშორისო მუზეუმი — **ბარბარე
ჟიფიანის ასული**.

დამატება: ცნობები ქ. შ. წერაკოთხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა: ბაქოს
განყოფილების 1913 წლის ანგარიში.

შემდეგი № ჟურნალისა გამოვა ენკენისთვეში

ШКОЛА И ЖИЗНЬ

ЕДИНСТВЕННАЯ ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКАЯ
ГАЗЕТА СЪ ЕЖЕМЪСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНИЯМИ.

Подъ общей редакціей Г. А. ФАЛЬБОРКА.

| | | |
|-------------------|---|-------------------|
| 4-й г. изданія | Открыта подписка на второе полугодіе 1194 года | 4-й г. изданія |
|-------------------|---|-------------------|

Въ числѣ бесплатныхъ приложеній за второе полугодіе (всего около 40 печ. ли-
стовъ) подписки получаютъ „Сборникъ по физическому воспитанію“ и только что вы-
шедшую въ Швейцаріи дополненнымъ изданіемъ книгу бывшаго вѣвскаго, а нынѣ
мюнхенскаго профессора по педагогикѣ

Фридриха В. Ферстера ШКОЛА и ХАРАКТЕРЪ

(Нравственно-педагогическія проблемы школьной жизни).—Книга затрагиваетъ самыя
основныя вопросы, напр.: о школьной лжи, товариществѣ, самоубійствѣ, дисциплинѣ,
повиновеніи и т. д.

Желающіе подписаться за весь годъ могутъ получить вышедшіе 26 №№ газеты
и приложенія за первое полугодіе:

Образовательныя и воспитательныя задачи современныхъ музеевъ. Сборникъ ста-
тей под. ред. Л. Г. Оршанскаго. (78 стр.)

Геркертъ Спенсеръ. Статьи о воспитаніи (176 стр.)

Эд. Эртли. Народная школа и трудовое начало. (81 стр.)

Фридрихъ Шольцъ. Недостатки характера въ дѣтскомъ возрастѣ. (168 стр.)

Подписная цѣна (съ прилож.): на годъ на 6 м. на 3 м.
Съ доставкой и пересылкой 6 р. 3 р. 2 р.

Новый адресъ Редакціи и Конторы: Лиговская ул., д. 87.

განათლება

(წელიწადი მეშვიდე)

VI

ი ვ ნ ი ს ი

1914 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.
ნახევარი წლით . . . 3 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
ჟურნალი დაეთმობათ წლიურად
3 მან.

ცალკე ნომ-
რის ფასი

40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
რესით: **Тифлисъ. Дворянская Грузинская**
Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

მომავლის სკოლა ურომისა და მუზაოზის სკოლა იქნება

(ნარკვევი კერზენსტეინერას სტატიაჲს)

ღიდებულმა პესტალოციმ სახალხო სკოლას სწავლების ისეთი ძირითადი კანონები უანდერძა, რომელიც სამუდამოდ დარჩება. პესტალოცი ცდილობდა „აღმოეჩინა ისეთი კანონები, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ადამიანის სულის განვითარება მისი ბუნების მიხედვით“, მან იცოდა, რომ „ეს კანონები ისეთივეა, როგორც ბუნების კანონებია“ და დარწმუნებულიც იყო, „რომ ბუნებაშივე იპოვიდა იმ ძაფს, რომლისგანაც დაართავდა სწავლების საყოველთაო ფსიხოლოგიურს მეთოდს“. მართლაც კემზარიტი საფუძველი ყოველის შემეცნებისა პესტალოციმ თვალსაჩინო სწავლებაში გამოსახა. ეს არის მისი უდიდესი ღვაწლი.

დიდი ხანია, რაც ამ საფუძველს აღგნენ ბევრნი. ისინი პესტალოცის მეთოდის მიხედვით შენობისათვის ძველს მასალას ხმარობდნენ. საშუალო საუკუნოების სკოლებს გვაგონებს დღევანდელი სკოლა, სადაც ჰმეფობს სიტყვიერი სწავლება. ბავშვის სულიერს ვითარებას ახლა მეტს ყურადღებას აქცევენ; პასიური თვალსაჩინობის მეთოდს ვერ ეგუება ბავშვის აგებულება. ვისაც ბავშვის სულიერი ცხოვრება შეუსწავლია, ან დაკვირვებია ბავშვის ცხოვრებას, უეჭველად შენიშნავდა—თუ რამდენი შემოქმედებითი ძალაა მასში. პესტალოცის პრინციპი—**თვითმოქმედება**—კანონად გადაიქცა. შექმნეს საამაყო

სახელი „სკოლა ყრმათა აღსაზრდელად“ და ისინი, ვინც ფიქრობდნენ ასეთი სკოლის მოწყობას ცილერის თეორიის მიხედვით—იღებდნენ სწავლებას, თავის თავს მეცნიერ პედაგოგებს უწოდებდნენ. მაგრამ, რომ გადაავლოთ თვალი ამ პედაგოგების ნამუშევარს, ნახავთ, რომ ისინი პასიურ თვალსაჩინოების მიმდევარ პედაგოგებს არაფერში ჩამორჩებიან. თვალწინ გადაგეშლებათ იგივე სიტყვიერ სწავლების ძველი სკოლა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ძველი წიგნური სკოლა. შეიძლება გვიპასუხოთ: „სკოლის დანიშნულება სწორედ ის არის, რომ მოწაფეებმა შეითვისონ სასწავლო მასალა, რომ ბავშვმა მოაწესრიგოს, შეივსოს ცოდნა და შემდეგ დამოუკიდებლად გამოიყენოს იგი; საზოგადოთ სკოლა არ ეთქმის, თუ შიგ სწავლება არ არის“. ჭეშმარიტია. რასაკვირველია სკოლაში უნდა სწავლობდნენ, მაგრამ სწავლებაც არის და სწავლება; სწავლება ისეთი უნდა იყოს, რომელიც წინ ეგებება ბავშვის მთელს სულიერს ცხოვრებას, რომელიც ისეა მოწყობილი, რომ მას შეუძლია შეითვისოს არა მარტო გადაცემული ცოდნა, არამედ იმავე დროს მისი შემოქმედებითი ნიჭიც უნდა ვითარდებოდეს. არა მარტო პასიური, არამედ აქტიური მხარეც ბავშვის ბუნებისა გვიჩვენებს რომ იგი მიისწრაფვის არა მარტო გონებრივ განვითარებისკენ, არამედ განსაკუთრებით სოციალურ აღლოსკენაც. სკოლაში უნდა ასწავლიდნენ, მაგრამ არა მარტო წიგნებისა და სიტყვების საშუალებით, არამედ უფრო პრაქტიკულის ცდის საშუალებითაც.

ამ პრინციპს რომ დავუახლოვოთ აწინდელი სკოლა, დავინახავთ, რომ ეს სკოლა უფრო ასუსტებს მოწაფეში ნაყოფიერს ძალას, ვიდრე ავითარებს; სკოლა ცდი-

ლობს მცირეწლოვანს ბავშვების ჩამოსხმას ისეთს ყალიბში, რომელიც ისინი ვერ თავსდებიან. ასწავლიან ისეთს საგნებს, რომლის შესასწავლად საჭიროა ხალისის ხელოვნურად აღძვრა სხვა და სხვა მეთოდის ხმარებით, მაშინ როდესაც ის რაოდენობა ცდისა, რომელიც ბავშვს ოჯახიდან სკოლაში მოაქვს, ხშირად უყურადღებოდ რჩება და ამიტომაც ბავშვის სოციალურს ბუნებას სკოლა ვერავითარს სულის საზრდოს ვერ აწვდის; ზოგჯერ კანტი-კუნტად თუ აქცევენ ამას ყურადღებას, ისიც სხვათა შორის და არა წესიერად, თვით სწავლების დროს. როცა ასეთს სურათს ვხედავთ, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ აწინდელი სკოლა მართლა დიდს განახლებას საჭიროებს. სიტყვიერ სწავლების სკოლის გაუმჯობესობას მოითხოვენ არა მარტო ევროპაში, ამერიკაშიაც კი. პროფესორი Sohn Dewey, ცნობილი ლექტორი ფილოსოფიისა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში სამართლ იანად აღიარებს, რომ დღევანდელი ევროპისა და ამერიკის სკოლები, „სასმენად“ არიან მოწყობილიო.

მაგრამ სახალხო სკოლის მოწაფეები ისეთის ასაკისანი არიან, რომ ამ დროს მათი გონება არა მარტო სმენისაკენ ან სხვისი ცოდნის პასიურად მიღებისკენაა მიპყრობილი. პირიქით! ბავშვობა სქესობრივად მომწიფებამდის წარმოადგენს ცოცხალ მოქმედებას. ადამიანის თვისება ამ ხანში მუშაობაში, ლაპარაკში, მოძრაობაში, სინჯვაში, შეგნებაში და სხვა და სხვაგვარ განცდაში გამოიხატება, რომ შეუწყვეტლად შეისწავლოს გარშემო არსებული სინამდვილე. ბავშვის მთელი დღით შეუწყვეტელი თამაშობა, მთელი მისი სიცოცხლე ბუნების შეგნებული განზრახვაა, რომ ცოცხალის სხვა და სხვა

ვეარი ცდის საშუალებით ბავშვის სულისა და სხეულის ძალა განავითაროს. იქ, სადაც საღი ბავშვები ოთხ კედელს შუა არ არიან მომწყვდელნი—ბავშვები ყველგან თაონობას იჩენენ; სახელონოში თუ სამზარეულოში, ბაღში თუ მინდორში, საჯინბოში თუ მეთევზეებთან ისინი ყველგან ხალისით მუშაობენ. აქ არის ფართო ნიადაგი სწავლებისა. აქ აუარებელი საგანი იპყრობს ბავშვის ყურადღებას, აქ კუნთების საშუალებით შეუღნებლად იძენს ბავშვი ათასნაირ ჩვეულებას. აქვე თავის-სავე ქცევაში გრძნობენ ბავშვები სოციალურ ცხოვრების მაჯის ცემასა. აქვე გრძნობენ ბავშვები იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს კერძო პირთა შორის საზოგადოებრივს ცხოვრებაში, გაიცნობენ დამოკიდებულებას დიდსა და პატარას შორის, აქვე სწავლობენ დახმარებას და თავისა და სხვისი სურვილების გაფრთხილებას, მწუხარეთა ნუგეშის ცემას, მშვიერთა გამოკვებას, დაქანცულთა გამხნეებას, სულმოკლეთა და სასოწარკვეთილთა აღფრთოვანებას, გამხნეებას; ბავშვები თამაშობაშივე სწავლობენ შეერთებულად მისწრაფებას, ერთად თანხმობით შეკავშირებას და თავისუფალ მორჩილებას.

მაგრამ აი გაიღო სკოლის კარები. გაჰქრა ყველა მეცადინეობა, რაც ბავშვს იზიდავდა. ბოლო მოეღო ოჯახის, სახელოსნოს, საჯინბოს, ბაღისა და მინდორის ყოველგვარ სინამდვილეს. არ შეიძლება არც მიწის თხრა, არც ხუხულების აშენება, მასალის დამზადება, გაჰქრა ნაყოფიერი შემოქმედება, მოსწყდა ბავშვი მისს გარშემო არსებულს ქვეყანას. ახალი უცხო ქვეყანა იმის წინ გადაშლილი ათასნაირ ამოცანებით, გაუგებარის მოთხოვნებითა და მიზნით. ქვიშის გროვის, კუბიკებიანი ყუთის, მაკრატლის, ჩაქუჩის, წკვპლის

ნაცვლად ბავშვს წინ აქვს—დაფა, გრიფილი, ანბანი, სახაზავი; მხიარულ ჭიკჭიკისა და ოცნების ნაცვლად ჩუმად უნდა იჯდეს კლასში და ყური უგდოს მასწავლებელს; გარედ ჰაერში ოცნების ნაცვლად, გულდასმით უნდა ისმენდეს ყველაფერს, რასაც ჩასძახიან და და თავის აზრს სწორ ხაზზე უნდა ატარებდეს; აღმოჩენის, გამოკვლევის, ცდისა და შემოქმედების ნაცვლად—მიბადეა; ქუჩებში და გზებზე მხიარულ სირბილის ნაცვლად—ჩუმად უნდა იჯდეს სკამზე;—საზოგადო საქმე თავისუფლად არჩეულის წინამძღოლის მეთაურობით შეიცვლება სათითაოდ ბრძანებით; იმის მაგიერ, რომ დაეხმარონ სუსტს ამხანაგებს, უნდა მოშორდნენ მათ, რომ არ გადასწერონ მათგან სავარჯიშო. რასაკვირველია, პატარები შიშობენ, იბნევიან, გულჩათხრობილნი ხდებიან, იმის მაგიერ, რომ თავის თავი აჩვენონ, მათი აზრიც, კეთილი, ნების წინააღმდეგ, მიუხედავად რჩევა-დარიგებისა და დასჯისა, საკლასო ოთახის ოთხს კედელს შუა მიჰქრის გარედ.

საბედნიეროდ, ბევრჯელ კეთილი მასწავლებელი მხსნელად ჩნდება, იგი სიყვარულით და გულკეთილობით იჭერს მშობარა ფრინველებს, აცლის დიდს ქვებს, რომელიც უშლის ახალ შეუჩვეველ ცოდნის ბილიკზე სვლას. სისტემატიური მეთოდის მიხედვით ჰფქვავს მაგარს მარცვლებს და ამ სახით არა სასურველი ცოდნა მზადდება ისე, რომ ძლიერ სუსტსაც შეეძლოს მისი მოწილება. ბავშვების უმრავლესობა ეჩვევა შემეცნების ახალს კუნძულს, რომელსაც დღეში ორჯერ მიადგებიან თავიანთი ცდის ხმელეთიდან, მაგრამ ხიდის გადებას ხმელეთსა და კუნძულს შუა მაინც ვერ ახერხებენ. პირიქით, ეჩვევიან მუშაობის მეთოდს და გა-

ნომსკვალებიან მისდამი სიყვარულით. იმის მაგიერ, რომ მიჰმართონ ნამდვილს საგნებს, საქმე აქვთ აჩრდილთან; ცდის ნაცვლად თანდათან მეტი მნიშვნელობა წიგნურ სწავლას ეძლევა მისი საპატიო გვირგვინით, რომელსაც სკოლა უწნავს. ოდესღაც გულად თავგამოდებისა და გაუკაფავ ბილიკზე აღმოჩენის წყურვილის ნაცვლად თავს იჩენს სვინიდისიერი ნამუშევარი გაკაფულსა და გათელილს გზაზე; დაკვირვების, გამოკვლევისა და იჭვის მაგიერ უცილობელი ავტორიტეტი მასწავლებლის სიტყვისა. უსამართლობა იქნება, დავემოთ ყველა ის ნაყოფი, რასაც აწინდელი სკოლა იძლევა, — ის სარგებლობა, რაც მოაქვს თავიდანვე არა სასურველ სამუშაოს შეჩვენებას, სკოლის წესიერებას. რასაკვირველია აწინდელს სკოლაში ბავშვები ბევრს კარგს რასმე იძენენ, რომლის უარყოფა შეუძლებელია: სისწორე, სინამდვილე, კეთილსინდისიანობა, თავაზიანობა, წესიერება, თავის შეკავება და სხვა საზნეობრივო ღირებულებანი მეტს ფასს იძენენ იქ, სადაც მოწაფის მიდრეკილებას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ; მოვალეობის გრძობის მიხედვით, საჭიროა აღრიანად მუშაობა ჩვენის მიდრეკილების წინააღმდეგაც, მაგრამ აქ ყოველ შემთხვევაში მასწავლებლის მეგობრულსა და კეთილგონიერს დამოკიდებულებასაც ვგულისხმობთ.

მაგრამ ის, რასაც აწინდელი სკოლა არ აძლევს ბავშვს მისი ცხოვრებისა და განვითარებისათვის, რასაც იგი უფრო ხელს უშლის და არა შევლის-კი — არის ბავშვის აქტიური ხასიათი, რომელიც ყველა ბავშვს უკვე ნასახად აქვს, როცა იგი სკოლაში პირველად მიდის, დამოუკიდებლობის სული, თავგამოდება, გაბედული თაოსნობა ყოველს ახალში და შეუჩვე-

ველში, დაკვირვება, გამოკვლევა, და ბოლოს, რაც უმთავრესია — მუშაობა არა მარტო თავისთვის, თავის განვითარებისთვის, იმიტომ რომ სხვებს გაუსწროს და არსებობის ველურ ჭიდილში გაიმარჯვოს, არამედ იმიტომაც, რომ ყოველთვის მზად იყოს მსურველს მიაწოდოს, გაუნაწილოს თავისი მდიდარი ძალა.

და აი აღიძვრის საკითხი: არ შეიძლება ისე მოვაწყოთ ჩვენი აწინდელი სკოლა, რომ მან თავისი კეთილი მხარე არ დაჰკარგოს და იმავე დროს ბავშვის ბუნებასაც ანგარიში გაუწიოს, — რომ სკოლაში განუვითაროს ბავშვს მისი სულის აქტიური მხარე, რაც ეხლა უყურადღებოდ რჩება და კიდევაც მახინჯდება? ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სწავლის დაწყებიდანვე ბავშვის შემოქმედებითს ძალას მეტს ყურადღებას მივაქცევთ და მასთანვე, შეძლებისდაგვარად, გავითვალისწინებთ იმ მოქმედების ფარგალსაც, რომელშიაც ბავშვი იმყოფებოდა სკოლაში შემოსვლამდის, ანგარიშს გაუწევთ ბავშვის პირადს მიდრეკილებას და ეკონომიურს წრეს.

ჩვენი წიგნური სკოლა სამუშაო სკოლად უნდა გადაკეთდეს და დამოუკიდებლად გვერდში უნდა ამოუდგეს ბავშვების სათამაშო სკოლას.

შემცდარი აზრია, ვითომ ჩვენი აწინდელი სკოლა ბავშვისაგან მუშაობას არ მოითხოვდეს. კარგი კითხვა, სუფთად წერა და შეუცდომლად ანგარიში ისეთი სამუშაოა, რომელსაც ძლიერი გავლენა აქვს ბავშვის ხასიათისა და ნების განვითარებაზე. და ეს სამუშაოც უფრო ნაყოფიერი იქნება მაშინ, თუ ჩვენ უარყოფთ მექანიკურ ვარჯიშობას და შევიგნებთ, რომ პატარა მოწაფისთვისაც უფრო სასიამოვნოა, როცა თვითონ მუშაობს და

არ არის პასიური ობიექტი სხვისი მუშაობისა.

წაქითხულის შეგნება და შეგნებულის მთელი სულის სიღრმიდგან შემოქმედებითი ნიჭით გამოთქმა, საკუთარს ძალით სურათის შექმნა, რომელიც სხვისთვისაც გასაგები იქნება, არითმეტიკულის თვალსაზრისით განხილვა მოვლენათა სივრცეში და დროში და დაკვირვებათა, რომელიც სკოლაში და ყოველ დღიურს ცხოვრებაში ხდება — ეს, უეჭველია, ნაყოფიერი შემოქმედებაა, რომელსაც ძალუძს სამუშაოს ყოველი კეთილი მხარე დაგვანახოს.

ახალი სკოლისათვის საჭიროა ფართო მოედანი ხელით შრომისათვის, რომელიც, ბავშვის ნიჭის მიხედვით, შეიქმნება გონების სამუშაოც. ხელით მუშაობა უმრავლესობისათვის იგივე გონების განვითარებაა. შემდეგ საჭიროა შრომის ისეთი დარგი, რომელიც, შეძლებისა და გვარად, დაკავშირებული უნდა იყოს მშობელთა სამეურნეო და საშინაო შრომასთან, რომ ის ძაფი, რომელსაც სკოლა ართავს, არ სწყდებოდეს ყოველ დღე, როცა ბავშვი სასკოლო ჩანთას მოიხსნის ხოლმე.

ამას გარდა შრომის სკოლისათვის საჭიროა ისეთი სამუშაო, რომელიც ამხანაგთა შორის ერთურობის დახმარებას უნდა წარმოადგენდეს და რომელიც იმავე დროს მუდამ აგონებდეს ყველას, რომ ცხოვრების აზრი ბატონობაში კი არა, არამედ ერთურობის სამსახურშია. დღე საზოგადო საერთო მუშაობის დროსვე განვითარდეს გრძნობა საზოგადო დანიშნულებისა, გრძნობა საზოგადო მიზნისადმი დამორჩილებისა. ამასთან ერთად სკოლაში სოციალური ცხოვრების ჯაჭვიც მოექცევა, სწავლება ჩაიქსოვს იმავე კავშირით ათასწიერ ძაფს, როგორც ბავშვის მოწესრი-

გებული შინაური ცხოვრება მოითხოვს დახმარებას, მორჩილებას, თავგამოდებას და უანგარო სიყვარულს.

არა მარტო ცოდნისათვისაა საჭირო სახელოსნოები, არა იმიტომ, რომ ჩვენი მოქალაქენი პრაქტიკულ მუშაობას შეეჩვივნენ, არა იმისთვის, რომ ბავშვები კარგად აშალაშინებდნენ, ხერხავდნენ ჰქსოვდნენ, საქმელს ამზადებდნენ, არა იმიტომ, რომ შეინარჩუნონ მუშაობის სიყვარული, არა, ჩვენ გვინდა აღვზარდოთ ისეთი ხალხი, რომელსაც შევგებულები ექნება მიზანი და სიკეთე სახელმწიფოთა კავშირისა და ემსახურება მას. ეს საჭიროა იმიტომ, რომ წიგნი კი არ არის კულტურის მატარებელი, არამედ შრომა და მუშაობა, მინდობილობა და თავის განწირვა ხალხისთვის, სიმართლისთვის და რომელიმე დიდებულის ჭეშმარიტებისათვის. მუშაობა საჭიროა, იმიტომაც, რომ დიდი განსხვავებაა ბავშვების ნიჭთა შორის. იქ, სადაც შრომაა გამეფებული, განათლებაც წარმატებაშია, სადაც შრომა არ არის, იქ შეიძლება მხოლოდ სამძიმო გაწრთვნა. მანგეიმის სასკოლო სისტემა მთელის თვისი მოცულობით შესაძლებელია მხოლოდ **სიტყვიერ** სწავლების სკოლისთვის, სადაც სწავლება შეერთებულია პრაქტიკულს მუშაობასთან. სახელოსნოში, ლაბორატორიაში, სკოლის სამხარეულოში, ბაღში, სამხატვრო დარბაზში, სამუსიკო კლასში, — ყველა ბავშვი იპოვის შესაფერ სამუშაოს, რომელსაც შეასრულებს კიდევ. აქ სუსტი და ძლიერი ერთად მუშაობენ, სუსტი ძლიერისაგან დახმარებას თხოულობს და მიიღებს კიდევ. აქ სიამოვნებას პოულობენ მცირე ნიჭის მექონე მცირე სამუშაოზე და ნიჭიერებიც დიდს სამუშაოზე. აქ სუსტნი და ძლიერნიც თავთავის გზით მიდიან. აქ განდევნილია შრო-

მა, რომელიც მეხსიერებას ძალას ატანს, ფასი აქვს უფრო მუშაობის მეთოდს და არა ნაყოფს. აქ „ინდივიდუალიზაცია“; ეს ლოზუნგი, დამახინჯებული აწინდელს სკოლაში, მასწავლებლისათვის საზრუნავს საგანს არ შეადგენს. ეს უკანასკნელი თავის თავად შორდება. ყველა ეს მოსაზრება და საბუთი მაიძულებდნენ გამომეძებნა ისეთი საშუალება და გზა, რომ მომავალი შრომის სკოლისთვის გზა გამეკაფა. ამის განხორციელება შესაძლებელია თან და თან და ეს იმ დრომდის ჯერ კიდევ ახალი და ძნელი საქმე იქნება, სანამ მასწავლებლები შესაფერ განათლებას არ მიიღებენ და არ განიმსჭვალებიან შრომის სკოლის ახალი სულით. 1896 წელს შემოვიღეთ სამხარეულოში სავალდებულო სწავლება ოთხი საათით კვირაში ქალთა სკოლის მერვე კლასებისათვის და ვისარგებლეთ იქ მიღებული ცდით ქიმიის, ფიზიკის და ფიზიოლოგიის შესწავლის დროს, აგრეთვე პატარა ქალებისათვის ანგარიშის სწავლების დროსაც.

რამდენისამე წლის შემდეგ ყოველ სკოლაში, რომელსაც საკმაო მიწა ჰქონდა, შეუდგნენ ბოსტნისა და ბაღის გაშენებას, ამასთან სკოლის ბოსტნის მოვლა დავალდებული ჰქონდათ მერვე კლასის ქალებს. თითქმის იმავე დროს მოვაწყვეთ აქვარიუმი, ტერარიუმი და სხვ. ყვავილებს უვლიდნენ მესამე და მეოთხე კლასებში, რომელთაც ათასნაირი ყვავილის თესლი ურიგდებოდათ. ბოლოს 1900 წ. ვაჟების სკოლის მერვე კლასში სავალდებულოდ გავხადეთ კვირაში ექვს საათს სახელოსნოში მუშაობა ხისა და ლითონების შესამუშავებლად. ამან მოგვცა ცდა ჯერ ხატვისათვის და შემდეგ მექანიკის, გეომეტრიისა და არითმეტიკის შესასწავლად. 1903 წელს ხატვის სწავლებაში რეფორმა

მოხდა, რომელიც ისე იქმნა დაყენებული, რომ თავიდანვე დეკორატიულ ხელოვნებას ემსახურებოდა და მით ბავშვის შემოქმედებასაც ხელს უწყობდა; ბოლოს 1907 წ. დიდის ბრძოლის შემდეგ შემოვიღეთ მერვე კლასში ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიული სწავლება, რასაც ვანდომებდით ოთხ საათს კვირაში; მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა დღესაც არ შეწყვეტილა, ასეთი სწავლება შემოღებული იქნება მეექვსე და მეშვიდე კლასებშიაც. ეს იმაზეა დამოკიდებული თუ როგორი სული ჩაედგმის სწავლებას, როგორ შეითვისებენ მასწავლებლები, რომლებისთვისაც ასეთი წესი სწავლებისა სრულიად ახალია. თუ მოხერხდა ეს დიდი ცდა, რისი დიდი იმედიც მაქვს, მალე შეიძლება აღიძრას ასეთი საკითხი: არ შეიძლება სახელოსნოში სწავლება ცლაბორატორიულ სწავლებად გამოვიყენოთ ისე, როგორც ახლა ქვიშის შენობებმა გაამართლეს მათი სარგებლობა გეოგრაფიისა და სამშობლოს შესწავლაში. ასე თან და თან ეცლება ნიადაგი ძველს წიგნურს სკოლას და იმედია უძლეველი იდეალიზმი მასწავლებლებისა და ძლევა მოსილი ძალა ძველის, მაგრამ იმავე დროს ახალის აზრისა— შეუჩერებლად იმუშავებენ ძველი სკოლის გარდაქმნაზე.

როცა სახელოსნოებში, ლაბორატორიებში, სკოლის სამხარეულოში და ბაღში ხედავთ ლოყაწითელ ქალვაკებს, მხიარულის გამომეტყველებით, გრძნობთ, რომ ჩვენი არჩეული გზა სწორია. აქ ფიზიკა და ხელოვნება ისიც კი, ვინც სკოლაში ზარმაცად, გონება ჩლუნგად ითვლებოდა. ვიტყვით მეტსაც, ასეთი საცოდავი ბავშვები ხშირად მეხსიერებით უკეთ დაჯილდოებულს ამხანაგებსაც უსწრებენ, ხშირად მშვენიერი წარმატება და მასწავლებლის მხრივ

შექება გამოაფხიზლებს მათაც და სიამოვნებით მუშაობენ საკუთარის თავიჯ. რა მოწყენილობა იყო ამ რამდენისამე წლის წინად სამხატვრო დარბაზში, როცა ხელოვნების სამეფო ტახტზე წამოსუბული იყვნენ: სწორი ხაზები, წრის სეგმენტები, გეომეტრიული ფიგურები, განყენებული ორნამენტი, და ვერც ერთს ბავშვს, რამდენადაც დაჯილდოვებული უნდა ყოფილიყო იგი შემოქმედებითი ნიჭით, ვერ შეეძლო საქმის დაწყება. მაგრამ როგორ საოცრად შეიცვალა ყველა ეს, როცა ხატვის საგნად შინაური მოწყობილების, სახელოსნოს, ბალის და სხვა ნაცნობი საგნები გახდა, როცა ბავშვებს შეეძლოთ თავისი მხატვრული ინსტიქტი და ხალისი გამოეჩინათ ხატვაში, შინაური, ნაცნობი საგნების სურათების შექმნაში და მათ დეკორატიულად მორთვაში. რა სიამოვნება ტრიალებს ახლა სამხატვრო დარბაზში! როგორის სიამოვნებით მოაქვთ ახლა ბავშვებს სახლში ნახატი და როგორ აკვირებენ თავისის ცოდნით მასწავლებლებს და ამხანაგებს, რის ცოდნასაც წინად ეჭვით უყურებდნენ.

ხატვის ახალმა მეთოდმა დიდი ცვლილება მოახდინა საერთოდ, მეტი იმაზე, რაც მ წლის წინად ვაჟების სკოლის უფროსს კლასებში შემოდებულმა ხისა და ლითონის შემუშავებამ და ქალების უკანასკნელ კლასებში — სასკოლო საზარეთულში. კიდევ მეტი ცვლილება ხდება საბუნების-მეტყველო საგნების შესწავლაშიც. მართო სავალდებულოდ გაშენებას სკოლის ბაღებისას ყოველს სკოლასთან ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ დიდ ქალაქებში ბაღოსნობა ვერ ხერხდება. კიდევ კარგი თუ ეს დარგი უფროს კლასის მოწაფეებმა მაინც შეისწავლეს. დაბალ კლასებში რომ გვესარგებ-

ლნა მცენარეებისადმი მოვლის აღმზრდელობითი მნიშვნელობით, ქოთნის მცენარეებს ვხმარობდით, ბავშვებს ეძლეოდა ქოთნის თითო მცენარე მოსავლელად.

წიგნური სკოლის შრომის სკოლად გადაკეთება უფრო მოსახერხებელია, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში ფიზიკისა და ქიმიის დარგებში მოწაფეთა ლაბორატორიების შემწობით, რაც ჩვენ უკვე შემოვიღეთ. ეს საუკეთესო ნიადაგია შრომის სკოლის გასავითარებლად.

ფიზიკის სწავლება, როგორც ეს სწარმოებს ყველა სახალხო სკოლებში და ზოგს საშუალო სკოლებშიაც, თხოულობს განსაკუთრებით მეხსიერების მუშაობას, რის გამო როგორც ფიზიკა, ისე სხვა საბუნებისმეტყველო საგნებიც ჰკარგავს აღმზრდელობითს ღირებულებას. ნამდვილი ღირებულება ყოველგვარ საბუნებისმეტყველო განათლებისა დაბალსა და საშუალო სასწავლებელში მუშაობის და გამოკვლევის მეთოდში გამოიხატება. მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვი თვითონ ხმარობს ამ მეთოდებს, როცა იგი ეჩვევა დაკვირვებას, შედარებას, დასკვნას, ობიექტიურს მსჯელობას, ფრთხილად გამოცდას, დამოუკიდებლად მოქმედებას, ეჩვევა თავგამოდებას, მოთმინებას, გულმოდგინებას, წესიერებას, სისუფთავეს, იგი გრძნობს კვლევა-ძიების, აღმოჩენის ყოველგვარს სიამოვნებას, რომელიც მცირე ნიჭის პატრონსაც კი აქეზებს მუშაობაში. ლაბორატორია უფრო ძვირფასი იმითაც არის, რომ იგი მოწაფეების ჯგუფთა შეერთებულ მუშაობისათვის მდიდარს ნიადაგს წარმოიდგენს; ამავე დროს საზოგადო მიზნისათვის სხვა და სხვა ნიჭის ბავშვებსაც შეუძლიათ შეერთდნენ.

წინად დასცინოდნენ და ზიზღითაც იხსენებდნენ ამ ახალს დაწესებულებას. მაგ-

რამ ახლა უკვე სდუმან, რადგანაც ნაყოფი ყველასთვის უხადია. მართალია ზოგან ახლაც უსარგებლოდ მიიჩნიათ ასეთი ლაბორატორიები სახალხო სკოლებში და ეწინააღმდეგებიან, მაგრამ როგორც ღამეს დღე მოსდევს, დადგება დრო, როცა აღიარებენ—როგორ შეეძლოთ წინად სხვანაირად სწავლება! შეიძლება მკითხონ: საიდან გამომდინარეობს ეს დაუჯერებელი დაბრკოლება რეორგანიზაციის მოხდენისა? მე მგონია ერთი მთავარი მიზეზი თვითონ ცნების „სკოლის“ განვითარების ისტორიაშია. მუშაობის, შრომის სკოლის ხასიათი ე. ი. ისეთის, რომელიც მუშაობით მაღალ განათლებასაც იძლევა, უცხო იყო ძველ დროში. ინდოელ ბრამინების სკოლა, ეგვიპტელების, ბაბილონელების და ასურელების ტაძრის სკოლები, სამოსწავლო სკოლები პითაგორელებისა, ათინელების საფილოსოფო სკოლები, რომელთა სარიტორიკო სკოლები, ძველთა წერა-კითხვის სკოლები მოედნებზე და ქალაქის ქუჩებში, საშუალო საუკუნოების სამრევლო სკოლები—ყველა ეს ტიპიური სკოლები იყო სიტყვიერის სწავლებისა, და ყველა ესენი, წერა კითხვის სკოლებს გარდა, მიზნად სარწმუნოებრივს და სალიტერატურო განათლებას ისახავდნენ. ლათინური სკოლები, რომლებიც საშუალო საუკუნოების საეკლესიო სკოლებიდან წარმოიშვნენ, მეთვრამეტე საუკუნეში სამაგალითოდ გახდნენ რეალურ სკოლებისათვის და როგორც მაშინ ასწავლიდნენ სარწმუნოებას, ენებს, ისტორიას და სხვას, ისევე ასწავლიან დღესაც. მაგრამ კაცობრიობას უჭირს თავი დააღწიოს ძველს შესისხლხორცებულს ჩვეულებასა და დახავსებულს შექედულობას. ეს მით უფრო ძნელია, რომ მთელი ორგანიზაცია

გამოცდისა და მეთვალყურეობისა წიგნურ სკოლის ხასიათს ეგუება.

მესამე დაბრკოლებას რეორგანიზაციისას—სახარჯო თანხის სიმცირე წარმოადგენს. სკოლებთან უნდა მოეწყოს სახელოსნოები და ლაბორატორიები, საკერავი მანქანები, საფეიქრო, სასკოლო სამზარეულო და ბაღი. თვითონ მასწავლებლებსაც უფრო საფუძვლიანი განათლება უნდა მიეცეს, ვიდრე ახლა ეძლევა, როცა, როგორც სხვა სასწავლებლები, სემინარიაც წიგნურის ცოდნით ჰკვებავს მოწაფეებს.

თუ სიტყვით და საქმითაც უფრო ხელს შეუწყობთ შრომის სკოლის ნამდვილ მნიშვნელობის გავრცელებას, თუ სიფრთხილით შევეხებით იმ საკითხს, რომ ახლანდელს წიგნურს სკოლასაც მოაქვს ზოგიერთი სარგებლობა, თუ დავარწმუნებთ ყველას, რომ წიგნური სკოლის ცოდნა ორგანიზულად ისედაც მოჰყვება მუშაობის პროცესში, თუ ჩვენ უგულოდ არ მოვეპყრობით წერა-კითხვას, ანგარიშს, რაც საჭიროა საარსებო პურის მოსაპოვებლად და აგრეთვე განათლების მისაღებად, მაღე ავცილებთ ყველა დაბრკოლებას და უფრო მაღე ველირსებით სასურველს ცვლილებას დღევანდელს სასკოლო საქმეებში. John Dewey-ს აზრით ეს ცვლილება ეგვანება კოპერნიკის ასტრონომიური ცენტრის მიწიდან მზეზე გადატანას. „ბავშვი მაშინ მზედ შეიქმნება, რომლის გარშემო იტრიალებენ ყველა სასკოლო დაწესებულებანი, ბავშვი ცენტრი იქნება, რომლის გარშემო მოეწყობა მთელი მისი აღზრდა“.

თუ ეს ცვლილება მოხდა, თუ გინდ არც ისე როგორც Dewey—ფიქრობს, მაინც პირველადვე განხორციელდება სასურველი კავშირი ოჯახსა და სკოლის შორის. მაშინ სკოლაც და ოჯახიც საერთო

ინტერესით აღივსებიან და სკოლის დანიშნულებაც იქნება--შეიტანოს წესი როგორც იმ ძალთა მოქმედებაში, რომელსაც ეს საერთო ინტერესი იწვევს ცხოვრებაში, აგრეთვე იმ საერთო ზნეობრივსა და გონებრივს სამკვიდროში, რომელიც შექმნილი აქვთ. მაშინ სკოლა ასწავლის არა მარტო იარაღის ხმარებას, რომელიც გადმოცემულია წარსულიდან და არა მარტო საღის აზროვნებას და ზნეობრივს საქციელს, არამედ ეშობლის სახლშიაც შეიტანს უფრო მეტს ჟუქსა და შეგნებას სასკოლო სამუშაოში და ამით ოჯახშიაც გააძლიერებს საკუთარ პასუხისმგებლობის გრძობას შვილების აღზრდაში.

ამნაირად სიამოვნებით ველით იმ დროს, რომელიც მოგვიტანს ახალს სკოლას. ამის განთიადი უკვე სჩანს ყვე-

ლა კულტურულს სახელმწიფოში. როცა ეს დრო დადგება, მაშინ, პესტალოცის იდეებიც საქმედ იქცევა. მაშინ, მართლაც „თვალსაჩინობა ყოველის შემეცნების საფუძვლად გახდება“. მაშინ ყოველი სწავლების პრინციპს ადამიანის სულის განვითარების პირველ დაწყებითს უცვლელს ფორმებში მოსძებნიან, მაშინ სწავლება ისეთი ხელოვნება იქნება, რომლის დანიშნულებას მხოლოდ ბავშვის ბუნების ხელის შეწყობა შეადგენს მისს მისწრაფებაში საკუთარის განვითარებისაკენ. და ბოლოს ვნახავთ, რომ სახალხო განათლების საქმეში ბუნება და ხელოვნება გაერთიანდება და მასთან იმდენად მჭიდროდ დაუკავშირდება ერთმანეთს, რამდენადაც ახლა ძალად განშორებულნი არიან.

ლ. ბოცვაძე.

სინათლე და ელექტრონი

(დასასრული)

4

დაავიჯეთ ელექტრო ანდამატურ მოვლენებს.

აქ ჩვენ არ შეუდგებით ამ მოვლენათა დაწვრილებით აღწერას. შევჩერდებით მხოლოდ იმ მხარეებზე, რომელნიც ჩვენს საკითხთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და მის გამწვევებზე თეორიის საძირკველს შეადგენენ.

დავიწყოთ იქიდან, რომ ეოვრელ ელექტრონის ნაკადს, განურჩევლად იმისა მუდმივია მისი მიმდინარეობა თუ ცვალებადი, თან სდევს უცნაური რადაც. ავიღოთ, მაგალითად, ელექტრო-ანდამატი და ზედ სპილენძის მძიმე რკალი ჩამოვაცვათ. გავატარებთ თუ არა ელექტრო-

ანდამატიში ცვალებად. ელექტრონულ ნაკადს, მაშინვე ეს რკალი განზედ გავარდება და, თუ მის მოძრაობას შევადგინებთ, იგი ჰაერში განგრდება და ისე ძლიერ განხელდება, რომ შეიძლება კიდევ გაღზვეს. აი კიდევ მეორე უცნაური მაგალითი. გაატარეთ იმავე ელექტრო-ანდამატიში მძლავრი ნაკადი ელექტრონისა და მიუახლოვდეთ ანდამატი. რადაც უხილავი ძალა ხელიდან გამოგვკვავთ ამ ანდამატს და უგანასკნელი ჰაერში დაგურდნობლად განგრდება.

ცხადია ელექტრონის ძალას შეუძლიან იმოქმედოს სხეულებზე და მაშინაც, როდესაც უგანასკნელი ერთმანეთს არ ეხებიან. ელექტრონის ძალის ეს თვისება ჯერ ისევ გაღვანიმ

ადმოაჩინა. უველას მოგეხსენებათ ეს ამბავი. ერთხელ გაღვანის ცოლი ბაყაყის ფეხს ატყავებდა და სცდილობდა ბარძაყის ნერვი გაეცალკეებინა. ამ დროს თვით გაღვანი შორიანხლოს ელექტრონის მანქანას ამუშავებდა. როდესაც კი მანქანის ტრიალში ელექტრონული ნაპერწკალი ჩნდებოდა, ბაყაყის ფეხი თრთოდა. ამ გარემოებამ იმ დროის მეცნიერთა შორის გამოიწვია დიდი კამათი, რასაც შედეგად ელექტრონის ნაკადის აღმოჩენა მოჰყვა. ამის შემდეგ მეცნიერულ აზროვნების მსვლელობა სულ სხვა გზას დაადგა. ელექტრონული ნაპერწკალი და მის სახეობილი მოვლენანი უურადადებოდ იქმნენ დატოვებულნი. მხოლოდ ასის წლის შემდეგ ჰენრიხ ჰერცი კვლავ დაუბრუნდა მატოვებულს მოვლენას და გამოსთქვა ის მოსაზრება, რომ ნაპერწკალი თავის გარშემო ელექტრონულ ტალღებსა ჰბადებს და სხუელთა ელექტრონული ურთიერთობაც ამ ტალღათა საშუალებითა ჰხდება. დიდმა ხანმა არ გასტანა, რომ იტალიელმა მარკონიმ ჰერცის ამ ტალღათა საშუალებით ასის კილომეტრის მანძილზედ უმავთულოდ დეჰემის გაგზავნა შესძლო.

რას წარმოადგენს ელექტრონული ტალღა და მის გამომწვევი რეჟა?

როგორც ვიცით არსებობს ორგვარი ელექტრონი—დადებითი და უარყოფითი. მათი დამახასიათებელი თვისება ურთიერთ მიმზიდველობაში გამოიხატება. თუ დადებითსა და უარყოფითს ელექტრონს საკმარისად შევსჯროვებთ და შევჯერთებთ, გავაჩნთ ელექტრონულ ნაპერწკალს.

საფუძვლიანმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ნაპერწკალი მეტად რთულს მოვლენას წარმოადგენს. იქ, სადაც ჩვენი თვალის არჩევს ერთს მსწრაფად გარდამავალს ელვარებას, თურმე ერთი მილიონი ელვარება სდევს ერთი მეორეს. ეს ერთის წუთის განმავლობაში ჰხდება. მაშასადამე თითო ნაპერწკალს ჰერიოდი

წუთის 0,000001 უდრის. ეს ნაპერწკალი თავის გარშემო ეთერში აჩენს რეჟვას, რომელიც ირგვლივ დელვითა ვრცელდება.

და აი აქ იბადება ფრად საუურადღებო საკითხი: ამ დელვის გავრცელებას სჭირია რამე დრო თუ არა?

1856 წელს კოლრაუშმა და ვერერმა გამოემეს ეს სისწრაფე და დახეა ბუნების საკვირველებას! თურმე ეს სისწრაფე 300,000 კილომეტრი უოფილა. ეჭვი არა მაქვს წარმოდგენთ თუ რა შთაბეჭდილება უნდა მოქმდინა მეცნიერებაში ამ გამოკვლევას. სინათლისა და ელექტრონულ დელვის სისწრაფის იგივეობას მეტად დრმა აზრი აქვს. უველასათვის ცხადი იყო, რომ სინათლესა და ელექტრონის შორის დიდი ნათესობა არსებობს. უველა დარწმუნებული იყო, რომ ერთიცა და მეორეც ეთერის დელვის შედეგია. 1860 წელს ინგლისელმა მეცნიერმა მაქსველმა ეს მოსაზრება გააფართოვა. მათემათიკურად დასაბუთა და მეტად მწეობრი მეცნიერული თეორია შექქმნა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორია მართლაც ჰენრიხს და დრმასწროვანი იყო, იგი მანც ცდათა მთელის რავით დამტკიცებას საჭირებდა.

მთელი ოც და ათი წელიწადი კავიდა მას შემდეგ, რაც მაქსველმა გამოაქვეყნა თავისი თეორია და ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ გააჩნა ელექტრონული ტალღა და ვერ გაზომა იგი. მეცნიერები მთელ ამ ხნის გამავლობაში ელექტრონულ ტალღებში ივენენ განვეუენა, სარგებლობდნენ ამ ტალღებით, მათ არსებობაში ეჭვიც არავის შეუტანი და ამავე დროს მათი გამოაშკარავება-გი ვერას გზით ვერ მოხერხებინათ. რა იყო ამის მიზეზი?

რადგანაც ელექტრონული ტალღა ერთს წუთში 300,000 კილომეტრს გარბის და ნაპერწკალი კი ამ დროს ერთს მილიონ რეჟვას, ე. ი. ტალღას აჩენს, მაშასადამე ამ 300,000 კილომეტრზედ ერთი მეორის

მოკლეებით უნდა მოთავსდეს ერთი მილიონი ტალღა. ცხადია აქედან, თითო ტალღა 300 მეტრის სიგრძისა უნდა იყოს და მასთანავე მეცნიერის სამუშაო ოთახი მასზედ ბევრად უტარა არის. მასში მხოლოდ უტარა ნაწილი ეტევა ამ ტალღისა და ამ პირებში ტალღის აღმოჩენა სრულიად შეუძლებელია.

მაქსველის თეორიის დასამტკიცებლად საჭიროა უფრო მოკლე ტალღის გაჩენა, რისთვისაც აუცილებელია რეჟვის რიცხვის მეტად გამრავლება. პირველად 1888 წელს ჰერცმა მოახერხა სამ მეტრის ტალღის მიღება. ჰერცმა მოაწყო ე. წ. ვიბრატორი. ეს ვიბრატორი წარმოადგენს ლითონის ორ მავთულს, რომელთაც ბოლოებზედ ლითონისავე ბურთები აქვს გაკეთებული. ამ ბურთებს ჰერცი რავდენიმიე მილლიმეტრის სიშორეზედ ათავსებდა და შიგნითადად ელექტრონის ნაკადს ატარებდა. ბურთებს შორის გაჩენილ ნაპერწკალის ჰერიოდი, 0,0000001 წუთისა იყო. რადგანაც რეჟვითა რიცხვი ჰერცის ვიბრატორში ასჯერ გამრავლდა, ამის დაგვარად ტალღაც ასჯერ შემოკლდა და მხოლოდ სამის მეტრის სიგრძე დაიჭინა.

თუ მოკლე ტალღის მიღებას დიდი ექსპერიმენტალური ნიჭი სჭირდებოდა, არც მათ აღმოჩენას დასჭირებია ხაკლები უნარი და მოსზრება. ხმაურობის ტალღა პირდაპირ ჩვენს ურზედა ჰმოქმედებს, სინათლის თვალზედ, მაგრამ ელექტრონულ ტალღათა განცდისათვის ჩვენ არავითარი განსაკუთრებული ორგანო არ გავაჩნია. ეს უკანასკნელი დაბრკოლებაც ჰერცმა მეტად უბრალო საშუალებითა სძლია—ე. წ. რეზონატორის საშუალებით. ხმაურობის რეზონანსი ეგვლასთვის ცნობილი იქნება. საკმარისია ახდინდეს ფორტუპიანოს მახლობლად რამე ბგერის გამოცემა, რომ ფორტუპიანომ იგი მაშინვე გაიმეოროს. ხმის ტალღა ეხლება დაჭიმულ სიმებს და მათ შორის ამოძრავებს მხოლოდ იმას, რომელსაც


თავის თვისებათა მიხედვით გამოცემულ ბგერის გაჩენა შეუძლიან. ელექტრონულ მოვლენათა დარკშიაც არსებობს ეს რეზონანსი. ჰერცმა რეზონატორად უბრალო მავთულის რგოლი იხმარა. იგი რგოლი ერთს ადგილას გააპო და ნაპობში ბურთები მოათავსა. როდესაც ამ რგოლს ელექტრონული—ტალღა ჰხვდება, მაშინვე მის ნაპობში ნაპერწკალი ჩნდება. აი ამ უბრალო ხელსაწყო იარაღით ხელში ჰერცის ჰერცმა გაზომა ელექტრონული ტალღის სიგრძე, გამრავლა რეჟვის რიცხვზედ და მიიღო 300,000 კილომეტრი სინათლის სისწრაფე.

ამ ჟამად ჰერცის გამოჩენილ ცდების გასამეორებლად ბევრი საშუალება არსებობს. ეფექტი მათგანი არსებითად ჰერცის ცდას წარმოადგენს, მხოლოდ ხელსაწყოები უფრო გაუმჯობესებულია. როგორც ზევითა გვქონდა ნათქვამი, ჰერცი ტალღის გასაჩენად ნაპერწკალითა სარგებლობდა. ეფექტულ ხელსაწყოში მასთანადავე უსათუოდ უნდა არსებობდეს ვიბრატორი, რომელიც გაჩენს ნაპერწკალს. იმ მოსზრებით, რომ ტალღების ძალა უფრო შესაძინევი იყოს, სცდილობენ ისინი ერთად შეაჯგუფონ. ამისათვის ჰერცის ვიბრატორს ათავსებენ ლითონის შედრეკილ სარკის შუაგულში—ფოკუსში*). როგორც სინათლის ტალღა სარკისაგან უკუ იტეორცნება, აგრეთვე ელექტრონის ტალღაც ვერ ატანს ლითონს, უკუიქცევა და სხვა ტალღებთან ერთად პარალელურად სარკის წინ მიმდინარეობას იწყებს. თუ ესლა ამ პარალელურს ტალღებს სადმე დაუპირისპირებთ მეორე ლითონისავე სარკეს, იმგვარადვე შედრეკილს, როგორც პირველია, მაშინ ეს ტალღები მეორედ უკუიქცევიან და ეგვლანსი ფოკუსში შეჯგუფდებიან. ამგვარად ერთს წერ-

*) ლათინური focus—ღუმელი, ეს სახელი ეწოდება იმ წერტილს, სადაც შედრეკილ სარკისაგან უკუიქცეული სხივები იკრიბებიან.


ტილში გაჩენილი ტალღები ამ ღითინის შედრეკილ სარკეთა საშუალებით ერთსავე წერტილში ძალაუკლებლივ გრძელდებიან. ამ ადგილას ჰერცი თავის რეზონატორს, გაზობილს რგოლს მოათავსებდა. ესეა კი უფრო მკრძნობიარე რეზონატორი აჩსებობს. ამ რეზონატორს ბრანლის კოდეკერი ჰქვია. კოდეკერი წარმოადგენს ვერცხლის ნაფხვენით სავსე შუშის ჰატარა მილს. ამ კოდეკერს მავთულით უერთებენ გაღვანურ ელემენტსა და ელექტრონულ ზარს.

ტილში გაჩენილი ტალღები ამ ღითინის შედრეკილ სარკეთა საშუალებით ერთსავე წერტილში ძალაუკლებლივ გრძელდებიან. ამ ადგილას ჰერცი თავის რეზონატორს, გაზობილს რგოლს მოათავსებდა. ესეა კი უფრო მკრძნობიარე რეზონატორი აჩსებობს. ამ რეზონატორს ბრანლის კოდეკერი ჰქვია. კოდეკერი წარმოადგენს ვერცხლის ნაფხვენით სავსე შუშის ჰატარა მილს. ამ კოდეკერს მავთულით უერთებენ გაღვანურ ელემენტსა და ელექტრონულ ზარს.




სუსტი ელექტრონის ნაკადი ვერ ატანს ამ კოდეკერს, ზარი არა ჰერკავს. მაკრამ მოხუ-

დება თუ არა ელექტრონული ტალღა კოდეკერს, მაშინვე მისი ელექტრონის ნაკადისადმი წინააღმდეგობა შესუსტდება, ნაკადი გაიბუნს მასში და ზარიც რეკავს იწყებს. ამ კოდეკერს ათავსებენ შუაზე სარკის ფოკუსში. ამ რიგად რ სარკის ათავსებენ ერთი მეტრის წინააღმდეგ. რგოლც-კი ჰირველ სარკის ფოკუსში გაჩნდება. ნაპერწყალი, მაშინვე ზარიც რეკავს იწყებს.



ჰერცის ტალღები ჰერს, ხეს, ქვასა და სხვ. თავისუფლად ატანს. ღითინი კი მათთვის არ არის გამჭვირვალე. ასე რამ ღითინის იქით ელექტრონული ჩრდილი ჩნდება. თუ სარკეთა შორის შავათასებთ რამე ღითინის ფირფიტას, ტალღები მას ვერ გაატანენ და ზარიც არ დარეკავს. ფირფიტას ადებს და ზარის რეკვა ერთი იქნება. ღითინის სარკეთაგან ელექტრონული ტალღები ისევე უგუიძვევებიან, რგოლც სინათლისა. თვით ხელსაწყოც მოწყობილ ამ უგუიძვევაზედ არის დაფუძნებული. ელექტრონული სხივები ჰრიზმში გატარების დროს იმტერე-

კიან. ამ მიზნისათვის ხმარობენ ფისის ან ხის პრიზმას.



თუ პრიზმას ვიბრატორის წინ დავდგამთ, იძულებული ვიქნებით კოლერური გაცილებით დაბლა დავწიოთ, რადგანაც ტალღები პრიზმასში იმტერევიან და ქვეით მიდიან. (სურ. 5)

ჭერცის ცდებში ელექტრონის ტალღა ისეთივე თვისებისა გამოდგა, როგორც სინათლისა. იგივე კანონი უკუქცევისა, იგივე კანონი გადამტერევისა, ინტერფერენცია და სხვა. აი თვით ჭერცი რას ამბობს: „ამ ცდებში ჩვენ სავსებით სინათლის დარგში გადაგვიტანეს. ჩვენს აზროვნებაში ელექტრონის ნაკადზედ სულ სხვა გვარი შეხედულება დამუარდა. ელექტრონის ნაკადი, უწინდელის წარმოდგენით, მიმდინარე არ შეზღუდულ მავთულში, უკანსკენდს გასცილდა და არეს ღეფივით მოეფინა. ტალღები ერთმანეთს ეხუთქებიან, იხლართებიან, ხან ერთად მძლავრდებიან, ხან სუსტდებიან და ერთმანეთს აუუჩებენ. ამ გვარად, დავიწყოთ რა ელექტრო-

ნულ მოვლენათა ბუნებაზედ მსჯელობა, შეუძენეკვლად სინათლის მოვლენათა ფარგალში შევედით. მძიმე აღმართი უკვე გადავირყთ. ჩვენს წინ ფართია და სწორე გზა არის გადაჭიმული!“

რა გვარი ცდაც უნდა მოახდინოთ, ვეფლგან ელექტრონულ ტალღის თვისებანი სინათლის ტალღის თვისებათა სრული განმეორება იქნება, თუ რასაკვირველია მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენის თვალის შადაში უტრანსლაცის. მაგრამ ამგვარადვე იომ სინათლისა და სითბოს ტალღები განსხვავდებიან! და თუ ეს ასეა განა არ იბადება ლოდიური აუცილებლობა დაუსკვნათ, რომ ეს ორი, ერთის შეხედვით დაუხლგვებელი მოვლენა ერთისა და იმავე მიზეზისაგან არის წარმოშობილი?!

ასეთივე იომ ბრწვინვალე დასკვნა ჭერცის მიერ უტყუარად დამტკიცებული მაქსველის გაბედულ თეორიისა.

თანამედროვე მეცნიერ ფიზიკოსის წარმოდგენით სინათლე შედგება ეთერის რეფიისა, რომლითაც არის გამოწვეული ელექტრონურ აღშფოთებისგან. ვიბრატორის მაკეობის მოსინათლო სხეულის მუდამ ელექტრონის მატარებელ ატომთა სწრაფი რეევა სწევს. უფრული მათგანი იწვევს ჭერცის რეევას, რომელიც ელექტრონულ ტალღას აჩენს. მთელი სამეარო ამ ელექტროანდამატური ტალღებით არის მოცული. ეთერის ტალღები მოაქანებენ ჩვენსკენ შზის ენერჯიას. ეს ტალღები ეხუთქებიან ჩვენს თვალს და მასში სინათლის განცდას ჭბადებენ. საბედნიეროდ ეთერს არ გადააქვს ხმაურობის ღეფავა. საბედნიეროდ, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში სინათლის სხივთან იგი მოუტანდა ჩვენს სმენას თავის ძლიერებით საშინელსა და მუდმივობით საზარელს ხმაურობას მზისას.

მოვლენათა სხვადასხვაობა გამოწვეულია მხოლოდ ტალღათა ოდნობის სხვადასხვაობით. ასე რომ საარსო თვისებანი ელექტრონისა,

სითბოს და სინათლის ერთი და იგივენი არიან. ეთერის დედაა—აი ის სინათლისა და ელექტრონის შემკრთებელი ძარღვი, რომელსეც ამ სურბის თავში მოგახსენებდით.

რასაკვირველია სანს მეტრიან ელექტრონის ტალღასა და სინათლის ტალღას შორის, რომლის სიგრძეც მილლიმეტრის მკათასდით განიზომება, მოელი უფსკრულია ჩატენილი, მაგრამ მეცნიერულმა შემოქმედებამ იგი უფსკრული ხიდით გადაჭიმა, ჰერცმა პირველად სამ მეტრიანი ტალღა მიიღო და შემდეგ იმდენი ეცადა, რომ სიგრძე ტალღისა სამც სანტიმეტრამდის შეამოკლა. ამის შემდეგ თითქმის უველა გამოჩენილ ფიზიკოსის შეცდინეობა ტალღის შემოკლებისაკენ იყო მიმართული. და მართლაც კალკულუმმა მოზომა და პრ.

ლებედევმა სამის მილლიმეტრის სიგრძის ტალღა მიიღეს. ეს ტალღები თავის თავისგანით წითელგადადმა სხივთ უფრო წააკვეთ, ვიდრე ელექტრონისა.

უველა ზემოხსენებული ტალღები ეთერის ერთს რიგში რომ შოვათავსოთ, დავინახავთ, რომ ხილული სპექტრი წითელგადადმა ტალღების მხრივ უსაზღვროდა ფართოვდება. დავინახავთ იმასაც, რომ რიცხვი ეთერისა იმ ტალღებისა, რომელნიც ჩვენში სინათლის განცდის გამომწვევნი არიან, მეტად მცირეა ბუნებაში არსებულ ტალღათა საერთო რიცხვზე და გარემოება ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებს, რომ სინათლე ელექტროანდამატურ ტალღათა თვალწინგენელ საშეფოს ერთს პაწია კუთხეს შეადგენს.

3. ქარუმიძე.



წყალი და მისი გაწმენდის საშუალებანი

როგორც ტენიკაში წყალი უმთავრესი ამამოძრავებელი ძალაა, ყოვლისავე მრეწველობის დედა-ბოძია, სითბოს, მექანიური, ქიმიური, ხშირად ელექტონული და სხვ. ენერგიების წარმომშობი და გადამცემი საგანია და უმისოდ ტენიკის რომლისამე დარგის არსებობა შეუძლებელია, სწორედ ისე სულდგმულთა ცხოვრებაში ის—საკმელთან და ჰაერთან ერთად—ძალთა ამამოძრავებელი და განმავითარებელია და უმისოდ ცხოვრება მათთვის წარმოუდგენელია.

მაგრამ, თუ ტენიკაში წყლის სიწმინდეს ხანდახან, მაგ. ტურბინების ასამუშავებლად, მნიშვნელობა არა აქვს და

ხშირად კი, მაგ. • ორთქლოვან ქვების (паровой катель)*) აფეთქების თავიდან ასაცილებლად წყლის სასურველ შემადგენლობას დიდ ყურადღებას აქცევენ,—ადამიანის და ცხოველთა არსებობის საკითხში სასმელი წყლის სიწმინდე და მისი სისალე ყოველთვის დადმნიშვნელოვანია, და ამ საკითხისთვის გვერდის ახვევა ყოვ-

*) ვინაიდან მეცნიერული და სპეციალურ საგნების ტერმინოლოგია სამწუხაროდ ქართულ ენაზე ჟერ-ჟერობით რიგიანად შემუშავებული არ არის, ამისათვის გაცების გასაადვილებლად ზოგიერთ სიტყვებს რუსულად ვსთარგმნი, რადგან მგონია ამ შურნაღის მკითხველთა უმეტესს ნაწილმა რუსული იცის. 3. კ.

ლად შეუწყნარებელია, რადგან წყალზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა, მისი ავად თუ კარგად მყოფობა...

და აი კიდევ განათლებულ ქვეყნებში დიდი ხანია ამას ყურადღება მიაქციეს და ცდილობენ მცხოვრებლებს სუფთა და სალი წყალი მიაწოდონ.

ჩვენში კი, სამწუხაროდ, საქმე სასურველად მოწესრიგებული არ არის და, მაგ. ქუთაისში მიუხედავად იმისა, რომ რიონის წყალი ქიმიური გამოკვლევით კარგად არის მიჩნეული, საზოგადოება ძლიერ ხშირად მღვრიე და სიბინძურით სავსე წყალს სვამს ხოლმე. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებთათვის სუფთა წყლის მიწოდება გაცილებით უფრო ადვილია სხვა ქვეყნებთან შედარებით, რადგან სასურველ შემადგენლობის გარდა ჩვენი მდინარეები სწრაფად მიმდინარეობენ და ჰშილიან (ხსნიან) შერეულ ნივთიერებათ.

სიგლაზე არ არის, ღმერთმა სიკეთე მოგცეს და ვერ მოიხმარო?!

მე ფიქრად მაქვს პატივცემულ მკითხველს მოკლედ გავაცნო წყლის შემადგენლობა, მოთხოვნილებანი, რომელიც წყალს უნდა დაუყენოთ და მისი გაწმენდის საშუალებანი. ასეთი გაცნობა, ჩემის აზრით, ყველასათვის საჭიროა, რათა ადამიანი პროფანი (თუ გეწყინოთ, ნ. კ. მიხაილოვსკი და მისი პროფანი გაიხსენეთ...) არ იყოს ისეთ საკითხებში, რომელიც მისს უსაჭიროეს საქმეს და ინტერესებს შეეხება. ეს მით უფრო საჭიროა სოფლის მასწავლებელთათვის, რომელნიც მდაბიო ხალხთან დაახლოვებულნი არიან ხოლმე.

მაგრამ სანამ დასახულ მიზნის სპეციალურად გარჩევას შეუდგებოდე, საჭიროდ ვრაცხ ქიმიიდან ორიოდ სიტყვა ვსთქვა, რაც შემდეგისთვის საჭირო იქნება.

იმ ნივთიერებათ, რომელნიც არავითარ საშუალებით არ იხრწებიან ან არ იორღევიან უფრო უბრალო შემადგენელ ნაწილებად, ჰქვიან ელემენტები. ახლანდელ დროში მეცნიერებას საქმე აქვს ოთხმოცამდე ელემენტთან.

აი უმთავრესი მათგანი: წყალმბადი, რომლის ქიმიური გამოხატულება არის H-ლათინური მისი სახელის პირველი ანბანით, მჟავბადი—O, ნახშირმბადი—C, აზოტი—N, ნატრიუმი—Na, კალიუმი K, კალციუმი—Ca, მაგნიუმი—Mg, ქლორი—Cl, ბრომი—Br, იოდი—J, ფთორი—F, მანგანიუმი—Mn, ოქრო—Au, ვერცხლი—Ag, სპილენძი—Cu, ალიუმინი—Al, ნიკილი—Ni, კობალტი—Co, ვერცხლის-წყალი—Hg, ფოსფორი—P, გოგირდი—S, რკინა—Fe, ვისმუტი—Bi და სხვა.

ელემენტის მინიმალურ ნაწილს, რომლის გაყოფა ყოვლად შეუძლებელია, ჰქვიან ატომი.

რა საგანიც უნდა აიღოთ მრავალფეროვან ქვეყნიერებიდან, ამ ელემენტთა მეტს მასში ვერაფერს ნახავთ. ელემენტთა ერთი-მეორეზედ მოქმედებით ჩნდებიან უფრო რთული შენაერთნი (сложныя соединения).

წყალი შესდგება ორ ატომ წყალმბადისაგან და ერთ ატომ მჟავბადისაგან; მისი ქიმიური ფორმულა არის—H₂O.

საქმელი მარილი შესდგება ერთ ატომ ნატრიუმიდან და ერთ ატომ ქლორიდან—NaCl.

კირი შესდგება ერთ ატომ კალციუმიდან, ერთ ატომ ნახშირმბადისაგან და სამ ატომ მჟავბადისაგან—CaCO₃; ასეთივე შემადგენლობა აქვს, მაგ., ცარცს.

სოდაში შედის ორი ატომი ნატრიუმი,

ატომი ნახშირმზადი და სამი ატომი მჟავ-
მზადი — Na_2CO_3 .

ნახშირის, ალმასის, გრაფიტის და კოკ-
სის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი ნახ-
შირმზადია — C ; ნახშირმზადი უერთდება
მჟავზადს და ჩნდება ორნაირი გაზოვანი
საგანი: პირველი — CO_2 ნახშირმჟავე გაზი,
რომელიც შუშხუნობს ხლომე მინერალურ
და ხილეულობის სასმელ წყლებში და
მეორე — CO , რომელსაც ჰქვიან ნახშირ-
მზადის ჟანგეული და რომლის ჩასუნთქვა
ადამიანს სიცოცხლეს უსპობს (რუსულად
 угарь -ს ეტყვიან).

ნახშირმზადი უერთდება აგრეთვე წყალ-
მზდს და აჩენს მეტანს — CH_4 , რომელიც
ბაქოს ახლო-მახლო ამოდის და იწვის.

ნავთი შესდგება უმთავრესად ნახშირ-
მზადისაგან და წყალმზადისაგან, ფანჯრის
მინა უმთავრესად — სილიციუმიდან (Si).

სახამებელში, შაქარში და სხვა მონათე-
სავე საგნებში შედიან ნახშირმზადი, წყალ-
მზადი და მჟავმზადი ($\text{C}_6\text{H}_{10}\text{O}_5$).

ჭიათურის შავ-ქვაში უმთავრესი შემად-
გენელი ნაწილი — მანგანუმი (Mn).

ცილეული ნივთიერებანი უმთავრესად
შესდგებიან აზოტისაგან და ნახშირმზადი-
საგან.

ჰაერში მექანიურად შერეულია 21 ტა-
ნი (объем) მჟავზადისა და 79 ტანი
აზოტისა.

რომლისამე საგნის დაწვა მოასწავებს
მისს მჟავმზადთან შეერთებას; უმჟავმზადოთ
არაფერი დაიწვის. დაჟანგვაც საგნის მჟავ-
მზადთან შეერთებით ხდება.

სილამპლევ უმჟავმზადოთ შეუძლებე-
ლია.

ერთი სიტყვით, რა საგანი ან მოვლე-
ნაც უნდა ავილოთ, უმეტეს შემთხვევაში
ელემენტთა შეერთების სხვა და სხვა
კომბინაციებს ვხედავთ ან მათი ურთიერთ
შორის ზედმოქმედებას.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ელემენტე-
ბის შეერთება შეიძლება იყოს ქიმიური,
მაგ. ნატრიუმისაგან და ქლორისაგან მა-
რილის მიღება, რომლის თვისებანი მე-
ტად განირჩევიან ორივე შემადგენელ ელემ-
ენტისაგან, და მექანიური; მაგრამ უკა-
ნასკნელ შემთხვევაში უმჯობესია ვიხმა-
როთ ტერმინი — მექანიური შერევა, მაგ.
ფხვნილი გოგირდი რომ ასეთსავე ნახშირს
აურიოთ; აქ, რასაკვირველია, ახალი ნივ-
თიერების გაჩენას ადგილი არ ექნება და
კარგი მონდომებით შეგვეძლება ცალკე
ნახშირი გამოვყოთ და ცალკე გოგირდი.

ვითყვი კიდევ, რომ ქიმიური პროცე-
სები ჰქვიან ისეთებს, სადაც ცნობილი
ნივთიერებანი ჰქრებიან და მათ ადგილას
ჩნდებიან სხვები, სხვა თვისებებით დაჯილ-
დოვებულნი.

დასასრულ ამ მცირე შესავალისა უნდა
ვსთქვა, რომ ქიმიამ იცის ორი სულ სხვა
და სხვა თვისებების შენაერთნი — სიმჟავე-
ები (მარილის სიმჟავე — HCl , გოგირდის
სიმჟავე — H_2SO_4 , აზოტის სიმჟავე — HNO_3
და სხვ.) და ტუტები; კალიუმის (KOH),
ნატრიუმის (NaOH), კალციუმის [$\text{Ca}(\text{OH})_2$]
და ბარიუმის [$\text{Ba}(\text{OH})_2$] ჰიდრატებს, ე. ი.
ამ ელემენტების წყალთან შენაერთს,
ტუტეს (щелочь) ეძახიან, რადგან თვი-
სებებით ძალიან წააგავან ნაცარ-წყალს.

ამ შენიშვნების შემდეგ შეგვიძლია ვად-
ვიდეთ თვით საკითხზე.

ქიმიურად წმინდა წყალი, როგორც
ზევით იყო ნათქვამი შესდგება ორ ატომ
წყალმზადისაგან და ერთ ატომ მჟავზადი-
საგან. ამ ელემენტების ურთერთ შორის
ზედმოქმედებით მართლაც წყალს მივი-
ღებთ.

მაგრამ ბუნებრივი წყალი ასეთი წმინ-
და როდია.

მასში გახსნილი და შერეულია ბევრი

სხვა და სხვა ნივთიერებანი და ამას ადგილი აქვს არა თუ ზღვის, მდინარის ან ქის წყალში, არამედ მეტეორისაშიც კი, რომელსაც შეადგენს წვიმის, თოვლის, სეტყვის და ნამის წყალი.



საზოგადოთ ბუნებრივ წყალში ვნახულობთ: კალციუმის, მაგნიუმის, ნატრიუმის, კალიუმის, ნახშირმჟავის და სხვათა ბევრნაირ მარილებს, ხშირად აგრეთვე რკინის და გოგირდმჟავის მარილებს; ვხვდებით კიდევ ბრომს, იოდს, გოგირდწყალმზადს (H_2S —მეტად მყრალი სუნი აქვს), ორგანიულ ნივთიერებათ, აზოტს, წყალმზადის გადაჟანგს (перекись водорода— H_2O_2), ამიაკს (NH_3 —მწვავე სუნის გაზია; წყალში იხსნება— $NH_3 + H_2O = NH_4OH$ —და ჩნდება ამონიუმის ჰიდრატი, რომელიც ტუტეს წარმოადგენს), სხვა და სხვა სიმჟავეების მარილებს და თვით სიმჟავეებს: აზოტის, აზოტოვანის (азотистая— HNO_2), მარილის, გოგირდის, ფოსფორის (H_3PO_4) და სხვების.

ერთი სრტყვით წყალში თითქმის ყველა ნივთიერებას ვნახულობთ, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ სხვა და სხვა წყალს ერთნაირი შემადგენლობა არა აქვს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ წყალთან გვაქვს საქმე: მეტეორის წყალია ის, თუ წყაროს და ქის, მდინარის და ტბის თუ. ზღვის და ოკეანეს; დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადგილის წყალია ის, თუ რა შემადგენლობა აქვს ზევით ატმოსფერას და ქვევით ნიადაგს, თუ რა პროცესები ხდება მიწაში და სხვა და სხვა.

მაგ. ყველამ კარგად იცის, რომ ზღვის და ოკეანეს წყალს მარილის გემო აქვს და მისი უმთავრესი შემადგენელი, ნაწილი სწორედ მარილი არის— $NaCl$.

წყაროს და ქის წყლებში უმავრესად

შედიან კალციუმის და მაგნიუმის ნახშირმჟავე მარილები; საშუალო ნახშირმჟავე მარილები (средняя углеклелыя соли)— $CaCO_3$ და $MgCO_3$ —წყალში არ ღნებიან და მხოლოდ ნახშირის სიმჟავის ზედმოქმედებით გადადიან მჟავე ნახშირმჟავე მარილებათ, (кисллыя и углекислыя соли), რომელნიც წარმოადგენენ წყალში ადვილად გამხსნელ ბიკარბონატებს; ქიმიური რეაქცია ამ შემთხვევაში შემდეგი ქიმიური თანასწორობით შეგვიძლია გამოვსახოთ:



(აქ $Ca(HCO_3)_2$ და $Mg(HCO_3)_2$ —ბიკარბონატებია, მხოლოდ H_2CO_3 —წყალში გახსნილი ნახშირის სიმჟავეა: $CO_2 + H_2O = CO_2 \cdot H_2O$ ანუ H_2CO_3).

წყაროების და ქის წყალში ხშირად ვნახულობთ აგრეთვე ქლორნატრიუმს— $NaCl$.

შემდეგ ვიცით, რომ არსებობენ სამკურნალო მინერალური წყლები; ამ წყლებში უმთავრესად შედიან: სოდა Na_2CO_3 , ქლორნატრიუმი ანუ მარილი— $NaCl$, ქლორკალიუმი— KCl , გლაუბერის მარილი— Na_2SO_4 , გიპსი— $CaSO_4$, მწარე მარილი— $MgSO_4$ (горькая соль), ქლორკალციუმი— $CaCl_2$, ქლორმაგნიუმი— $MgCl_2$ და უკვე ზევით მოხსენებული ბიკარბონატები— $Ca(HCO_3)_2$ და $Mg(HCO_3)_2$; ხშირად ამათ უერთდება რკინის მარილები, როგორც მაგ. წალვერის და თეთრი-მთის წყაროებში; ხშირად მიწიდან წყალი ამოდის ნახშირის სიმჟავით გაჟღენთილი, რომელიც გაზს წარმოადგენს და ბუშტების სახით წყლიდან თავისუფლდება ხოლმე, როგორც მაგ. ნარზანში. ვიცით აგრეთვე რომ არსებობენ გოგირდის აბანოები, როგორც მაგ. თბილისში და სხვა.

აშკარაა, რომ სხვა და სხვა ადგილის წყლის შემადგენლობა სხვანაირია, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მისი შემადგენლობა ხშირად სულ პატარა მანძილზე იცვლება, მაგ. ხონის სასმელი წყალი სანაქებო და საუცხოვოა მაშინ, როდესაც მეზობელ სოფლების წყალი — ლანირის და ქვიტირის — უფარგისია.

თუ რა მნიშვნელობა აქვს წყლის შემადგენლობაზე სხვა და სხვა პირობებს, საკმარისია აღვნიშნო, რომ მეტეორის წყალში სამრეწველო ცენტრების ახლო აღმოაჩინეს, სხვათა შორის, გოგირდოვანის (სფრისტაია) და არსენიკუმის ანუ მიშიაკის სიმყავეები, შავი-ქვა, ნიკელი და სხვა, რომლებთაც სხვაგან ვერ ვნახულობთ.

წყლის ანალიზის დროს მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, იმასაც, თუ რა საფეხურზე დგას ამ ჟამად მეცნიერება და როგორი ანალიტიკური საშუალებები აქვს; მაგალითად, მხოლოდ უკანასკნელ დროში აღმოაჩინეს მდინარის წყლებში ზემოდასახელებულ ნივთიერებათა გარდა — ფთორი, შავი-ქვა, სტრონციუმი და ბარიუმი, წყაროების და ჭის წყლებში გარდა ამისა ლითიუმი, რუბიდიუმი და სხვ. მხოლოდ ზღვის წყალში — ყველა ელემენტები ვერცხლის და ოქროს გამოუკლებლივ.

ასე თუ ისე, ახლანდელ დროში წყლებში ვნახულობთ წყალმზადთან და მყავმზადთან ერთად ყველა სხვა ელემენტებს, მხოლოდ ამა თუ იმ წყალს ერთნაირი შემადგენლობა არა აქვს, და ერთსა და იმავე წყალსაც გეოლოგიური პრეტენსიების შეცვლით და სხვა ათასგვარ პირობების შედგავაწესით შემადგენლობა ეცვლება.

ახლა დავსვათ კითხვა: საიდან ჩნდებიან წყალში ყველა ეს ელემენტები?

აზოტის და აზოტოვან ამონიუმის მა-

რილი, რომელსაც ვნახულობთ მეტეორის წყლის მჭირხნულ დარჩენილში (ПЛОТНЫЙ ОСТАТОКЪ), ჩნდება იქ ნოტიო ჰაერიდან ელექტრონის ზედმოქმედების შემწეობით.

რაც შეეხება ქლორნატრიუმს (მარილს), გიბსს (გოგირდის სიმყავის კალციუმის მარილს) და ორგანიულ ნივთიერებათ, ისინი ჰაერში მტვრის სახით იმყოფებიან და მეტეორის წყალში თავისუფლად გადადიან.

შემდეგ, როგორც ვიცით, მეტეორის წყალი მიწაში ჩადის; აქ ის სხვა და სხვა ნივთიერებათ ან მექანიურად იტაცებს, ან ხსნის და შლის მაღალი ტემპერატურის და ზედაწოლის (давление) წყალობით. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა და სხვა ნივთიერებით წყლის გამდიდრების გარდა ნიადაგში ხდება მისი ეგრედ წოდებული თვითგაწმენდაც; ნიადაგში ხდება წყლის მექანიური ფილტრაცია, მაგრამ ხშირად მისს მარილებს ნიადაგი იჭერს (რასაკვირველია, ზოგიერთს), ე. ი. ხდება ქიმიური გაწმენდაც; კიდევ უფრო ნიადაგი ათავისუფლებს წყალს ორგანიულ დარჩენილებისგან, რომელნიც მყავმზადის და გამყანგველების შემწეობით იხრწნებიან და იშლებიან. ასე რომ ნიადაგში ხდება წყლის გამდიდრებაც და გაღარიბებაც, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. რაც შეეხება გაზებს — ნახშირ-სიმყავეს, აზოტს, მყავმზადს და სხვ. — რომელნიც წყალში არიან გახსნილი, ისინი ზოგი ნიადაგში და ზოგიც ჰაერში იხსნებიან დალტონის კანონით, რომელიც ამბობს: გახსნილ გაზების რაოდენობა პროპორციონალურად დამოკიდებულია გაზების პარციალურ ზედაწოლასთან და უკუღმა პროპორციონალურად ტემპერატურასთან.

განვავარძოთ სხვა და სხვა წყლების გან-

ხილვა. როგორც ზევით ვსთქვი, წყლები განიყოფებიან შემდეგ ჯგუფებათ: 1—მეტეორული წყალი, 2—მდინარის და ტბის წყალი, 3—წყაროების და ჭის წყლები, 4—ზღვის და ოკეანეს წყალი.

ყველაზე წმინდა წყალს წარმოადგენს მეტეორული წყალი, რომლის ლიტრში (1000 კუბიკური სანტიმეტრი) შერეულია გარეშე ნივთიერებანი 0,01-დან 0,06 გრამამდე; მისი სიმჭირხნე (плотность) თითქმის ისეთია, როგორც ქიმიური წმინდა წყლის, ე. ი. 1 ცელზიუსის 4⁰ ტემპერატურის დროს.

მდინარეს და ტბის წყალში ზემო დასახელებულ ნივთიერებათა რაოდენობა 0,1-დან 1 გრამამდე აღის, მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში კლებულობს 0,05 გრამამდის, მაგ. მდ. ნევაში, რომელსაც უხდება კირით და სხვა გასახსნელ ნივთიერებით ღარიბ ადგილებთან ჩავლა, 0,055 გრამია შერეული. გამონაკლისს წარმოადგენს აგრეთვე მდ. ტემზა, რომელიც მიმდინარეობს დასახლებულ და სამრეწველო რაიონებში და რომლის ლიტრი შეიცავს ერთ გრამზე მეტს მჭირხნეულ შერეულს. ამ წყალთა სიმჭირხნე დაახლოვებულია დისტილლაციით მიღებულ (ქიმიურად წმინდა) წყლის სიმჭირხნესთან, მხოლოდ სხვა და სხვა წყლების სიმჭირხნეთა შორის მეტ-ნაკლები განსხვავებაა.

რაც შეეხება წყაროების და ჭის წყალს, შერეულ ნივთიერებათა რაოდენობა ლიტრში რამოდენიმე გრამამდე აღის,— რამოდენიმე, ვამბობ, რადგან ამა თუ იმ წყლისთვის შერეულის რაოდენობის ფარგლები საკმარისად იცვლება.

ამ წყლებში რაოდენობა გახსნილ მაგარ ნივთიერებათა 0,02-დან 1,5 გრ. და უფრო მეტამდე აღის; ხანდახან კი ვხვდეთ

ბით სრულიად წმინდა წყალს, როგორც მაგ. გეიდელბერგის წყაროში.

მეოთხე ჯგუფის წყლები—ზღვის და ოკეანეს—ყველაზე მეტად დაშორებულნი არიან მეტეორისაზე. აქ გახსნილი ნივთიერებათა 30—40 გრამია ლიტრში. რომელიმე ზღვის სხვა და სხვა ადგილიდან ამოღებული წყლის ანალიზი ერთნაირ შედეგებს არ იძლევა, მაგ. ბალტიის ზღვაში ასეთი ნახტომებია: 0,5 გრ. 34 გრამი. იმ ადგილას, სადაც ზღვას მდინარეები ერთვის, წყალი უფრო სუფთაა, ვიდრე შუაგულში. ოკეანეს წყალში უფრო მეტი შერეულია: 32—39 გრამი. ამ წყლის სიმჭირხნე, რასაკვირველია, წმინდა წყლისაზე მეტი იქნება: 1,024-დან 1,029-დე აღის.

ახლა ვთქვათ ორიოდე სიტყვა წყალში გახსნილ გაზებზე. წყალი რომ ავადულოთ, განთავისუფლებულ გაზებს თავი მოუყაროთ და ანალიზი გაუკეთოთ, გავიგებთ, რომ აქ ისინი არ შედიან იმ რაოდენობითი დამოკიდებულებით, როგორც ჰაერში; ხსნილში ვნახულობთ ყოველთვის მეტს მჟავადს და ნახშირმჟავე გაზს (ნახშირის სიმჟავე— CO_2), ვიდრე ატმოსფეროში; მჟავებადის რაოდენობის გადიდება *) აიხსნება მისი გახსნის კოეფიციენტის სიდიდით აზოტთან შედარებით, მხოლოდ, რაც შეეხება ნახშირმჟავე გაზს, რომელიც წარმოადგენს ორგანიულ ნივთიერებათა სიღამპლის და ორგანიზმთა სუნთქვის პროდუქტს, მას ნიადაგიდან წყალი ბლომად იზიდავს.


მეტეორის წყლის ლიტრში ორთა შუარიცხვით გახსნილია 30 კუბიკ. სანტიმ.

*) აქ იმ მჟავებზე მსჯელს ლაპარაკი, რომელიც წყალში გახსნილი და არა იმაზე, რომელიც წყალმზადთან ქიმიური შეერთებით წყალს აჩენს.

გაზები, მასთან ერთ მჟავბადის ტანზე უწევს ორი ტანი აზოტის და მთელ გაზიურ ნარევეში 2⁰/₀ ნახშირის სიმჟავისა მაშინ, როდესაც ჰაერში დაახლოებით მჟავბადის ერთ ტანზე აზოტის ოთხი ტანი უწევს და მხოლოდ 0,3⁰/₀ ნახშირმჟავე გაზისა.

წყალში გახსნილ მჟავბადის გადიდება მეტად საყურადღებოა, რადგან ის იქ (წყალში) მცხოვრებთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, და აგრეთვე დიდ როლს თამაშობს უწმინდური წყლის ნიადაგში თვითგაწმენდის პროცესების დროს.

სხვა წყლები გახსნილ გაზებს მეტს შეიცავს, — ლიტრში 50 კუბ. სანტიმეტრამდე, მასთან მიმატება ნახშირმჟავე გაზის ანგარიშზე ხდება; მისი გადიდება აიხსნება ორგანიულ ნივთიერებათა საბოლოო დაჟანგვის პროცესებით და რამოდენიმე მალალ ტემპერატურის მიერ გამოწვეულ ბიკარბონატების დაშლით:



ნამეტნავად ბევრი ნახშირმჟავე გაზია წყაროების და ქის წყლებში. მჟავბადის რაოდენობა კი მცირდება ისეთ წყლებისთვის, რომლებმაც ნიადაგში დიდი მანძილი უნდა გაიარონ და დახარჯონ დიდი ნაწილი ორგანიულ ნივთიერებათა გასაჟანგ-დასამჟავებლად, ან მადნეულიან ადგილებში ნაკლებად გაჟანგული რკინის თუ სხვების მარილები სრულიად გაჟანგულად აქციონ. არიან შემთხვევები, როგორც ანალიზმა გამოარკვია, რომ მალალ ქის წყლებში შედის 95—96% ნახშირმჟავისა და ძლიერ ცოტა ნაწილი მჟავბადისა.

გარდა სხვა და სხვა გახსნილ მარდლებისა და გაზებისა წყალში ყოველთვის შედის თვალით უხილავი *) და ხილული მაგარი მცურავი ნივთიერებანი, რომელ-

ნიც მას ცოტად თუ ბევრად ღვრიად ხლიან.

მეტეორის წყლის ეს ნივთიერებანი უმთავრესად შესდგებიან მტვრისაგან, მჟვალტისაგან და დაბალ საფეხურის ორგანიზმებიდან.

დანარჩენ წყალთა ღვრეული კი შესდგება თიხის, ქვიშის, ცარცის, მაგნიუმის ჟანგის და სხვ. ძლიერ პატარა ნაწილებისაგან, — რომელთაც წყალი გზაში მექანიურად იტაცებს ხოლმე; ამ მინერალურ ნივთიერებათ ყოველთვის ერთვის მიკროორგანიზმები, რომელნიც ბევრნაირ გადამდებ სენტა გავრცელების მიზეზად ითვლებიან, თუმცადა ზოგი მათგანი სრულიად უვნებელი და საჭიროც კი არის. წყლები განირჩევიან: ღვრია, ცოტა ღვრია, თითქმის წმინდა და ანკარა.

სასმელად ვარგა ისეთი წყალი, რომელიც ლიტრში შეიცავს არა უმეტეს 0,05 გრამ მცურავ ნივთიერებათ. ბუნებრივი წყლები უმეტეს შემთხვევებში დასახელებულ რაოდენობას არ სცილდებიან, მხოლოდ ხანდახან გამონაკლისს ვნახულობთ, მაგ., მდინ. რენი ქ. კელნის მახლობლად ამ ნივთიერების 0,2 გრამს შეიცავს, მდ. ტემზა—0,9 გრამს, ნილი—1 გრამს და სხვა.

წყლის სიკარგის კითხვის გადაწყვეტის დროს რამოდენიმე მოთხოვნილებებს უწევნ ხოლმე ანგარიშს.

სასმელად გამოსადეგი წყალი უნდა იყოს უფერული, ანკარა, უსუნო და არ უნდა შეიცავდეს მიკროორგანიზმებს (ბაქტერიებს).

მაგრამ ყველა ამ მოთხოვნილებათა



*) მათ შესამჩნევად საკმარისია ჩაიხედეთ მიკროსკოპში ანუ უბრალო გამადიდებელ მინაში—ლუჰაში.

აბსოლუტურად დაყენება შეუძლებელია.

პირველი მოთხოვნილება—ფერის უქონლობა—შეგვიძლია დაუყენოთ წყალს მხოლოდ პატარა ქურქლებში, რადგან დიდში ის ყოველთვის ამა თუ იმ ფერს ლეზულობს, როგორც ეს მშენებრივად დაამტკიცა ფიზიკოსმა ეგოროვმა პეტერბურგში ბუნების-მეტყველთა კრებაზე.

მეორე მოთხოვნილების შესახებ შეიძლება ითქვას იგივე—წყალი უნდა იყოს ანკარა მხოლოდ ქიქებში, გრაფინებში და საზოგადოთ პატარა ქურქლებში, რადგან დიდში ის ყოველთვის ცოტად თუ ბევრად ღვრია.

მესამე მოთხოვნილება, რასაკვირველია, კანონიერია, რადგან ამყარებული წყლის სმა არც სასიამოვნოა და არც სასარგებლო; მხოლოდ აქაც სათქმელია, რომ საჭიროა გაგება, თუ რისი სუნი აქვს, რადგან ხშირად სამკურნალო წყლებსაც აქვს სუნი. ხშირად კარგ წყლებს ცუდი სუნი აქვს ცოტა გოგირდ-წყალმზადის (CaS) შერევის გამო, განსაკუთრებით იმათ, რომელთაც უწევთ რკინიან მილებში დიდი მანძილის გავლა; ვიცით, რომ ყველა წყალშია ცოტა გიპსი-გოგირდის სიმჟავის კალციუმის მარილი, — რომელიც რკინის და ნახშირის სიმჟავის ზემოქმედებით გოგირდ წყალმზადს აჩენს შემდეგი ორი თანასწორობით:



ასეთი გოგირდწყალმზადი მავნებელი არ არის, საჭიროა მხოლოდ ფილტრში გავატაროთ და მაშინ წყალი სუნსაც დაჰკარგავს.

უკანასკნელი მოთხოვნილება, რათა წყალში მიკროორგანიზმები არ იყოს, ესეც კანონიერი და საჭირო მოთხოვნი-

ლებაა, მხოლოდ მისი დაყენება აქაც მთელი სისასტიკით არ შეიძლება, რადგან ხშირად ღრმა არტეზიანის ჰებშიც კი იმყოფებიან ჰაერიდან შეტანილი და ნიადაგის მიერ დაუჭერელი ბაქტერიები. აუცილებლად საჭიროა მხოლოდ წყალში არ იყოს ავადმყოფობის გამჩენი ეგრედ წოდებული პატოგენური ბაქტერიები, რომელნიც გადამდებ სენტა გამავრცელებლნი არიან.

შემდეგ, სასურველია სასმელ წყალს დაახლოვებით მუდმივი ტემპერატურა ჰქონდეს, ასე 6-დან 12 გრადუსამდე (ცელზიუს ტერმომეტრით); წყალი 10^0 -ზე მეტი ტემპერატურის წყურვილს ძალიან ცუდად უკლავს ხოლმე. სასურველია აგრეთვე, რომ წყლის შემადგენლობა არ იცვლებოდეს, რადგან ასეთ ცვალებადობას ესა თუ ის პროცესები იწვევს, რომელთაც უფრო ხშირად არა სასურველი შედეგები მოსდევს.

სასურველია კიდევ, რომ სასმელ წყლის ლიტრში არა ნაკლებ 30 კუბ. სანტიმეტრისა გახსნილი გაზები იმყოფებოდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში წყალი უგემურია. გაზებთა შორის საკმარისს მჟავადის და ნახშირმჟავეს რაოდენობას, როგორც ნათქვამი იყო, დიდი მნიშვნელობა აქვს.

სასმელ წყლის ლიტრი უნდა შეიცავდეს დაშრობის შემდეგ მჭირხნეულ დარჩენილს არა უმეტესს 0,5 გრამისა.

სასმელ წყალში უნდა შედიოდეს ძლიერ ცოტა ორგანიული ნივთიერებანი, აზოტოვანის სიმჟავენი, აგრეთვე ამზიაკი.

ამ უკანასკნელთ ხშირად კრიტიკრიუმად იღებენ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, თუ რამდენად სავარგისია წყალი, რადგან ისინი აზოტიან ორგანიულ ნივთიერებათა სიღამპლის და გახრწნის პროდუქტებია.

დამტკიცებულია, რომ წყალი კალციუ-

მის და მაგნიუმის მარილების დიდის რაოდენობით ცუდი გემოსი არის; გარდა ამისა ასეთი წყალი საპონს ბუჭუყს თითქმის არ უკეთებს, არ ხარშავს მწვანეულობას და სხვ.

ერთის სიტყვით რიგიანი სასმელი წყალი უნდა იყოს ჰატარა ჭურჭლებში მაინც უფრო, ანკარა, უსუნო და არ შეიცავდეს ჰატოგენურ ბაქტერიებს; მას უნდა ჰქონდეს მედშივი ტემპერატურა და მედშივი შემადგენლობა; უნდა შეიცავდეს განსაზღვრულ გახსნილ გაზებს და მათს განსაზღვრულ რაოდენობას; არ უნდა შეიცავდეს (ან ძლიერ ცოტას) ორგანიულ ნივთიერებათ, აზოტის, აზოტოვანის სიმჟაყს და ამჟავს; უნდა შეიცავდეს მცურავ ნივთიერებათ არა უმეტესს 0,05 გრ. და მჭიდრობულ დაჩენილს არა უმეტესს 0,5 გრამისა.

ყველაზედ უფრო თავის შემადგენლობით რიგიან სასმელ წყალს უახლოვდება უმეტესს შემთხვევაში ღრმა ჭის წყალი.

დაბალ ჭებში კი წყალი ხშირად ბინძური და უვარგისია.

რაც შეეხება მდინარეებს, ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად დაზარებულ-დაახლოვებულია სასმელ წყლის შემადგენლობასთან.

მაგრამ ისინი აუცილებლად გაწმენდას თხოულობენ, ქიმიური შემადგენლობა კიდევ რომ სასურველი ჰქონდეთ; მაგ., რიონის წყალი ქიმიური გამოკვლევით იდეალურ წყალს უახლოვდება, მხოლოდ

მისი გაუწმენდელი სმა ყოვლად შეუწყნარებელია.

ახლა გადვიდეთ წყლის გაწმენდის საკითხზე.

იდეალურ წმინდა წყლის მიღება შეიძლება მისი გაზოხდით, ე. ი. მაშინ, როდესაც მას ორთქლად ვაქცევთ და რაიმე შესაფერ საშუალებით, მაგ., გასაცივებელ მიხვეულ-მოხვეულ მილის (ЗМЬЕВИКЪ) შემწობით ისევ გავაცივებთ, ისევ სითხედ ვაქცევთ. ორთქლად ქცეული წყალი არავითარ მაგარ შერეულ და გახსნილ ნივთიერებათ არ შეიცავს და ქიმიურად შესდგება მხოლოდ მჟავმბადისაგან და წყალმბადისაგან. მაგარი ნივთიერებანი ილექებიან (осаждаются) ქვების ძირში, სადაც წყალსა ვადუღებთ ხოლმე.

მაგრამ ასეთი ქიმიურად წმინდა წყალი უგემურია და ადამიანის ორგანიზმისთვის მავნებელიცაა. ასეთი წყლით სარგებლობენ ლაბორატორიებში და მეცნიურულ გამოკვლევების დროს.

წყლის გაწმენდის საშუალება არის აგრეთვე მისი ყინულად ქცევა; უწმინდური წყალიც რომ ყინულად აქციო სუფთა იქნება და თუ ის გაადნე, რასაკვირველია, წმინდა წყალს მიიღებ. მაგრამ, ეჭვს გარეშეა, ამ საშუალებით წყლის გაწმენდა შეიძლება მხოლოდ ცივ ქვეყნებში.

3. კაკაბაძე.

(დასასრული იქნება)



პირველ-დაწეებითი განათლება ბოლგარიაში

(დასასრული)

1909 წლის კანონი ბოლგარიის პირველ დაწეებით სკოლებს ორ ტიპად ჰყოფს: მასწავლებელი საბავშვო სკოლად და ძირითადად. მასწავლებელ სკოლების მასწავლებლებს ბისკან მეტ სიუვარულს, საქმის ცოდნას, სიფრთხილეს და მოთმინებას თხოულობენ. ამიტომაც კანონით მასწავლებელი უნდა იყოს საშუალო განათლებით და სპეციალურ პრაქტიკულ მომზადებით, რისთვისაც საჭიროა სოფლის ორ წლის კურსის დამთავრება. ბოლგარიის ძირითადი პირველ-დაწეებითი სკოლები შეიქმნა 4 წლის კურსს, სადაც სწავლობენ 6—12 წლის ბავშვები. ამისთანა სკოლები: რიცხვი 3352-ის; აქედან 232 საქალაქოა, 3120 სასოფლო. 1000 სულ მცხოვრებულ მოდის ერთი სკოლა; ამ სკოლებში მოსიარულე ბავშვების რიცხვი 361,500-ის, მასსადამე ერთა შუა რიცხვით თითო სკოლაზედ მოდის 138 და თითო მასწავლებელზედ კი 42 ბავშვი. ამით მასწავლებელს საშუალება ეძლევა უოველმხრივ გაეცნოს თითოეულ ბავშვის პიროვნებას და შეგნებულად ასწავლოს საჭირო კურსი. კანონი მკაცრად სჯის ბავშვებს გაკვეთილების ცუდ უბრალოდ გამოტოვებისათვის, რის საპატიო მიზეზით აღსარებულია: ავადმყოფობა, ძალიან ცუდი დარი და ოჯახური უბედურება. არა საპატიო მიზეზით გაკვეთილების გამოტოვებისათვის მოწათის მშობლები იხდინა ჯარიმას, რომელიც ხუთის დღის განმავლობაში უნდა შეჭკრიბოს ადგილობრივმა მუხარებმა. პირველ-დაწეებითი სკოლები მოთავსებული არიან საკუთარ და დაქირავებულ შენობებში, რომლებიც რიცხვიც 3,773-ის. აქედან, მხოლოდ 1264 შენობა აშენებულია

წინაწინვე შემუშავებულ გეგმაზედ და გამოსადგია სკოლისათვის. უფრო კი ამ სკოლებში მარტო საკლასო ოთახებია, მასწავლებლებსათვის და დარაჯისათვის სკოლასთან ოთახები არ არსებობს. შენობას შუაზედ გასდევს ტალანი, რომლის აქეთ იქით მხარეზედ მოთავსებულია კლასები, საექიმო კაბინეტი და საკომუნსტიკო დარბაზი. საკერეაციო ოთახები სკოლაში არ არის, რადგანაც ზამთარზედ ბავშვობა სულ კარეთ არიან. კლასები დიდრონია, ნათელი, ხის უბრალო მაგიდებით მოწყობილი. კედლებზედ ვერ დანახავთ ვერავითარ სახელმძღვანელოებს და რუკებს, თუმცა უველა სკოლაში შეხვდებით სწავლისათვის აუცილებელ სახელმძღვანელოებს. საკომუნსტიკო დარბაზი თითქმის უველა სკოლაშია. შენობის ქვევითა საბოლოოში მოთავსებულია ცენტრალური კაბობა და აბანობა, სადაც ბავშვები კვირაში ერთხელ ბანობენ. სკოლის ახლო-მახლო, ესე 50 მეტრის მანძილზედ არ უნდა იყოს ეავახანები, სასტუმროები, სამიკიტნობი და სხვა. სასკოლო შენობის გამოყენება სხვა რამე მიზნისათვის არ გამოდგება. შავალ.: კონცერტებისათვის, წარმოდგენებისათვის, კრებებისათვის და სხვა, კარდა თვით მოწათების წარმოდგენებისა და დესასწავლებისა. სკოლის შენობა შენდება საზოგადოების ხარჯით; მათი შენახვა კისერზედ აწევს საზოგადოებას, მასწავლებლების ჯამაგის კარდა: თითო მასწავლებლის შესახავად საზოგადოება იხდის 450 მან., მთავრობა კი დანარჩენს.

ბოლგარიის პირველ დაწეებითი სკოლების შენახვაზედ იხარჯება წელიწადში 12,00000

ფრ. (4,500,000 მან.) შემოსავალი კი ამას სამჯერ აღემატება, რადგანაც მთავრობის მხრით დახმარებისა და საზოგადოების მიერ დახმარებულ თანხის გარდა, სკოლის კაპიტალი შესდგება უძრავ ქონების შემოსავლისაგან, ჯარისკაცებისაგან, სკოლის ფონდებისაგან და შემთხვევით შემოსავლისაგან. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ყოველ სკოლასთან არსებობს ეგრეთ წოდებული სასკოლო ფონდი. იგი შესდგება შემდეგ ფრიად საკულისხმო წყაროებისაგან: 1) თითო საზოგადოება აძლევს სკოლას 5 გექტარს დამუშავებულ და შემოსავლიან მიწისას; 2) საზოგადოება ჰსაზღვრავს სკოლისათვის საძოვარ მინდვრების შემოსავალს; 3) სასკოლო ფონდში შედის ერთ-გვარი ხარკი, რომელსაც იხდიან უცხოელნი 30 წელიწადს გადაცილებულნი. წელიწადში 10 ფრანკს. ამისთანა ზომების მიღებამ უზრუნველ ჰყო სკოლის არსებობა და ამიტომაც ბოლგარიის ბევრ სკოლას აქვს საკმარისი თანხა. მეცადინეობის გარდა ბოლგარიის მასწავლებლებს სხვა ბლომა დიდი სქემეც აქვს: იგი მოკლევადიან წესით აწარმოებს სასკოლო დაკრებებს. ბოლგარიის სკოლებში ყველაზე დიდი ურთედების დირსია ორი დავთარი, სკოლის მატარებელი და უმთავრესი წიგნი. პირველი წიგნის მნიშვნელობა ცხადზედ უცხადესია; მეორე, ე. ი. უმთავრესი წიგნიც თავისებური მატარებელია. იმაში იწერება ახლად შემოსული მოწაფის სახელი და გვარი, მისი ეროვნება, სჯული, ხნოვანობა, დაბადების ადგილი, დედ-მამის სახელი და გვარი, მათი ხელობა და წელიწადი ბავშვის სკოლაში შესვლისა. ამის შემდეგ, მოწაფის სკოლაში ყოფნის დროს, ამ უმთავრეს წიგნში აღინიშნება ხოლმე მისი წარმატება, გადასვლა შემდეგ კლასში, ყოველ წელიურად გაკვეთილების მოცდენის რაოდენობა და ბოლოს მისი სკოლიდან გასვლა ან კურსის დამთავრება. აქვე აღინიშნება მიცემულ მოწმობის №.

სწავლა ბოლგარიის პირველ-დაწყებით სკოლებში იწყება, ქალაქებში 25 მარამობისთვის, სოფლებში 1 ენკენისთვის და გრძელდება 29 თიბათვემდინ. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. თითო სკოლას ნება აქვს იუქმოს ორი ადგილობრივი დღესასწაული. ეს დამოკიდებულია სკოლის მეთვალყურეზე რომელიც თავის აზრს ამის შესახებ დასამტკიცებლად წარუდგენს ხალხს სკოლის საოლქო ინსპექტორს. ამ ორი დღის გარდა, სკოლაში უქმობენ კიდევ ერთს სამეფო დღეს—14 თებერვალს, წმ. კირილეს და მეთოდეს—11 მაისს. შობას და აღდგომას თანაბრად არა უქმობენ. ქალაქებში საშობაოთ ითხოვენ 22 ქრისტეშობისთვითგან 2 იანვრამდინ, სოფლებში 22—28 ქრისტეშობისთვემდინ.

აღდგომის ქალაქებში უქმობენ. ვნების კვირის ხუთშაბათიდან კვირაცხვადობის ორშაბათამდინ; სოფლებში კი ვნების კვირის ხუთშაბათიდან აღდგომის ოთხშაბათამდინ. სამაგიეროთ, ბევრს სოფლის სკოლებში გამოცდები და მეცადინეობა უფრო ადრე თავდება, ვიდრე ქალაქის სკოლებში.

ბოლგარიის პირველ-დაწყებითი სკოლის მოწაფეები განიყოფიებიან 4 განყოფილებათ. თითოში არა უმეტესს 50 ბავშვისა. ყოველ—კვირეული გაკვეთილების რაოდენობა განყოფილებებში სხვა და სხვა ხანია: I და II განყოფილებებში კვირაში 22 გაკვეთილია; III და IV—26 გაკვეთილია; გაკვეთილი გრძელდება 45 წუთს; შესვენება გაკვეთილების შუა 10 წუთზედ მეტი არ არის, მხოლოდ სადილობისთვის I და II განყოფილების მოწაფეებს ითხოვენ 11—2 საათამდინ, ხოლო III და IV განე.—12—2 საათამდე. მასწავლებლები მკაცრად ადევნებენ თვალ-ურს სკოლის დისციპლინას, სამოსწავლო დღის თანხაწორად განაწილებას, როგორც ამას მოითხოვს გონებრივ მუშაობის ჰიგიენა. არც ერთი ბოლგარელი მასწავლებელი არაფერს

აკეთებს სხეულებლად, რეკლამისათვის; ეგელა სკოლაში მუყაითი, მეკობრული მუშაობაა, რაც გასაცარის სისწრაფით წინ სწევს პირველ-დაწყებით განათლებას. დამოკიდებულება მასწავლებლებისა და მოწაფეთა შორის—სერიოზული და მეკობრულია. მოწაფეებს არამც თუ ეშინიანთ მასწავლებლებისა, არამედ სრულის ნდობით და ჰატივისცემით არიან გამსჭვალენი. მასწავლებლები იშვიათად მიმართავენ ხელმე დასჯას, რადგანაც იმედი აქვთ მშობლების მოწაფეებზედ გავლენისა. თუ მოწაფე ზნეობრივად ძალიან გაუუჭებულა, ამ შემთხვევაშიაც კი არა აქვს მოწაფის დათხოვნის ნება მასწავლებელთა სათათბიროს, რადგანაც სწავლა საყოველთაო და სავალდებულოა. ამ შემთხვევაში მოწაფე ერთ სკოლიდან მეორეში გადაჰყავთ.

ბოლგარიის მოწაფეები მიდიან სამეცადინოთ კლასში დიდის 9 საათისათვის. ადრე მოსულებს შეუძლიანთ გარეთ თამაშობა, სადაც მათ თვალუურს ადევნებს მასწავლებელი. დაირეკება თუ არა ზარი, ეგელანი კლასებში გროვდებიან, ლოცულობენ, შეიძლება მასწავლებლები ათვალეურებენ ბავშვების სიიუთათავს: ამაზედ 5—10 წუთის მეტი არ მიდის. ამისთანა გასინჯვა I და II განყოფილებებში მუდამ დღეა, III და IV კი გვირაში ორჯელ ან სამჯერ, ბავშვებისათვის სრულად მოულოდნელად.

თვეში ორჯელ, ესევე მოულოდნელათ ექიმიც სინჯავს ბავშვებს. თუ შეამჩნია ბავშვის უსუფთაობა, ფიცხლავ სახლში გზავნის. თუ ეს სამჯერ განმეორდა, იბარებს მშობლებს.

პირველი საათები ეთმობა იმ საგნებს, რომლებიც თხოულობენ დიდ გონებრივ მუშაობას, სადილს უკან კი უფრო ადვილი გაკვეთილებია. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ორშაბათი—პირველი დღე უქმის შემდეგ, როდესაც ბავშვები ისე მუყაითნი აღარ არიან და ერთბაშთ ვეღარ იღებენ გონებრივ მუშაობას

აღდოს. ამიტომ ორშაბათობით 1 საათი ეთმობა რომელსავე ადვილ საგანს.

სახალხო განათლების სამინისტროს მიერ მოწონებულ 1907 წლის პროგრამით, ბოლგარიის პირველ-დაწყებით სკოლებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) საღვთო სჯულს და ზნეობრივ სწავლას; 2) ბოლგარულ ენას; 3) ანგარიშს და გეომეტრიას; 4) სამშობლოს აღწერას, მოქალაქობრივ სწავლას, ისტორიას და გეოგრაფიას; 5) ბუნების-მეტყველებას; 6) ხატვას; 7) გალობას; 8) გიმნასტიკას და 9) ხელ-საქმეს. ეგელა ამ საგნების სწავლება სავალდებულოა, კარდა ხელსაქმისა; ამიტომაც ხელ-საქმეს ეგელა სკოლაში არ ასწავლიან, ქალებს კი მომეტებულ შემთხვევაში ასწავლიან ჭრა-კერვას. პროგრამაში განსაზღვრულია გაკვეთილების საათების რაოდენობა ეგელა განყოფილებაში.

| საგნები. | კვირის საათების რაოდ. | | | |
|------------------------------------|-----------------------|----|-----|----|
| | I | II | III | IV |
| საღვთო სჯული და ზნეობრივი სწავლა . | 2 | 2 | 2 | 2 |
| ბოლგარული ენა | 10 | 10 | 6 | 6 |
| ანგარიში და გეომეტრია | 4 | 4 | 4 | 4 |
| ისტორია და გეოგრაფია | — | — | 4 | 4 |
| ბუნების მეტყველება | — | — | 4 | 4 |
| ხატვა | 2 | 2 | 2 | 2 |
| გალობა | 2 | 2 | 2 | 2 |
| გიმნასტიკა | 2 | 2 | 2 | 2 |
| | სულ | 22 | 26 | 26 |

ეს პროგრამა განმარტავს მიზანს და ნაყოფის, რომელსაც უნდა მიადწიოს მასწავლებელმა ყოველივე საგნის სწავლებით.

მაგ. საღვთო სჯულში ბავშვებმა უნდა ისწავლონ ლოცვები. ამას კარდა I და II განყოფილებებში ასწავლიან უმთავრეს მოთხრობებს მაცხოვრის ქვეყნიერ ცხოვრებიდან. იქონივე განყოფილებაში ძალიან შემოკლებულად გადიან ძველ-აღთქმას; მეოთხეში—ახალ აღ-

თქმის. ამასთან ერთად სასწავლო წლის ნახევარს ანდომებენ ზნეობრივ-ადმინისტრაციული სახეობების ბავშვებთან, რომლის მასალათ ადგილობრივი სხვა და სხვა შემთხვევები სკოლის და საზოგადოებრივ ცხოვრებიდან, მოთხრობები და ზღაპრები და სხვა.

ბოლგარულ ენის შესწავლის მიზნათ მთავრობამ დაისახა: 1) ზეპირი და წერილი გადმოცემა ბავშვების მიერ თავისი აზრისა; 2) ნათელი და მარტივად გადმოცემა სხვისი დაწერილის ან ზეპირის აზრისა და 3) გაცნობა სამშობლოს საუკეთესო ნაწარმოებისა.

პირველ და მეორე განყოფილებებში მომეტებული დროს ანდომებენ საუბრებს, რომელიც ამზადებს ბავშვებს სამშობლოს აღწერის შესწავლისათვის. ამავე დროს ასწავლიან წერას, კითხვას და ბოლგარულ ენის გრამატიკას.

მესამე და მეოთხე განყოფილებებში უკითხავენ შინაარსიან სიტყვებს, რის დროსაც დიდ ყურადღებას აქცევენ გამომეტყველებითს კითხვას. გრამატიკას სისტემატურად ასწავლიან. რაც შეეხება წერას ამ ორ განყოფილებაში, იგი ძალიან მრავალფეროვანია. ბავშვები მარტო მოთხრობების გადმოცემას და თავისუფალ თხზულებებს კი არა სწერენ, არამედ სხვა და სხვა ნაირ წერილებსაც, თხოვნებსაც, მოხსენებებსაც და ხელ-წერილებსაც; ერთის სიტყვით ყველა იმას, რაც ახლო სივრცის პრაქტიკულ ცხოვრებასთან.

საკულისხმოა აგრეთვე **არითმეტიკა და გეომეტრია.**

არითმეტიკის კურსი ამხარად არის განაწილებული:

1. განყოფილებაში ბავშვები უოველ მხრივ ეცნობიან რიცხვებს 1-დან 10-დინ, აგრეთვე შეგრობას და გამოკლებას 20-დინ. ამავე დროს ასწავლიან სიგრიძის, წონის, ფულის, დროს ზომას და ნაწევრებს $\frac{1}{2}$ და $\frac{1}{4}$.

მეორე განყოფილებაში.— 4 მოქმედება რიც-

ხვებზედ 100-დინ, გამრავლების ტაბულა, დროს ზომა (გრცხად) რომელიც ციფრები XII-დინ და დროს განსაზღვრა საათით; მეტრიკული ზომა და მისი 100 ნაწილად დაყოფა, მოხმარება ნაწევრებისა $\frac{1}{2}$ -დან $\frac{1}{10}$ -დინ.

მესამე განყოფილებაში ზეპირი და წერილი ანგარიში 1000-დინ; გაცნობა ათწილად ნაწევრებისა. 4 მოქმედება ამ ნაწევრებისა, გარდა გამრავლებისა და გაყოფისა ათწილად ნაწევრისა, ათწილად ნაწევარზედ; მეტრიკული ზომა და მისი დანაწილება 1000-ეულ ნაწილებათ; გაცნობა კვადრატულ ზომისა.

მეოთხე განყოფილებაში 4 მოქმედება უოველნიან რიცხვებზედ, დროს გამოხატვარითი ამოცანები, 4 მოქმედება უბრალო ნაწევრებზედ; გაცნობა თამარუქებისა, ფულის ასაღებ ბარათებისა ანუ ჩეკებისა, წიგნთ—წარმოება და სხვა.

გეომეტრიის სწავლა ბოლგარიის პირველ-დაწებით სკოლებში იწყება მესამე განყოფილებიდან. თავდაპირველად ბავშვები ეცნობიან იმ გეომეტრიულ ფორმებს, რომელიც კლასში არიან; უოველ მხრივ ეცნობიან ხაზებს, კუთხეებს, სწორ კუთხებს, ოთხ კუთხებს და მრგვალ ფორმებს. ამას თან წინ უძღვის გეომეტრიის ხაზვა მასშტაბის და ტრანსპორანტიის შემწეობათ.

მეოთხე განყოფილებაში პრაქტიკულად სწავლობენ სამკუთხეს, ოთხკუთხეს, ტრაპეციებს, პარალელეოგრამებს, აკრეთვე—კუბს, პრიზმას, პარალელეოპიპედს, კონუსს, სფეროს და პირამიდას.

გეოგრაფიის სწავლებას ბოლგარიის პირველ-დაწებით სკოლებში მიზნათ აქვს მისცეს ბავშვებს ნათელი წარმოდგენა იმ ადგილისა, სადაც სცხოვრობენ, მისი მდებარეობა რუქაზედ, დედა მიწის სფეროს გაცნობა და მისი პოლიტიკური დაყოფა თემებათ. გეოგრაფია იწყება მესამე განყოფილებაში. თავდაპირველად ბავშვები ეცნობიან გარემო

ბუნებას და ადგილს, ცისკიდურს, დედა-მიწის და მთვარის სრბოლას, ეცნობიან ზეადაგის სხვა და სხვა ფორმებს.

პირველათვე აჩვენებენ ბავშვებს გეგმის და რუკების ხაზვას. მეოთხე განყოფილებაში ბავშვები სწავლობენ ბოლგარიის, მაკედონიის, კოსოვოსის, სერბიის, ხერსოვინის, რუმინიის და რუსეთის გეოგრაფიას. მოკლეთ აცნობენ აგრეთვე ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც. გეოგრაფიასთან მჭიდროდ დაკავშირებულია მოქალაქობრივი სწავლა, რომელიც შექმნილია გამოცხადება:

საზოგადოება, თავისუფლება და პიროვნების შეზღუდვა. კანონი. ვინ შეიმუშავა კანონი. არჩევნები ხალხის წარმომადგენლებისა. ჩვეულებრივი და დიდებული სახალხო კრება. მოქალაქეთა მოვალეობანი და უფლებანი.

აღმასრულებელი უფლება: სამინისტრო სათათბირო, სამინისტროები, საოლქო სამმართველო, საზოგადოებრივი სამმართველო, პოლიცია და სასამართლო.

სახელმწიფოს საღსარი: გადასახადები, ბიუჯეტი, სახელმწიფო სესხი.

ხალხის სიმდიდრე: მთები და მდინები, რკინის გზები, ნავთსაყურები, შენობები, ტბები და სხვა.

ზოგიერთა სამუშაოს აუცილებლობა: მიწის მუშანი, საქონლის მომშენებლები, ხელოსნები, ვაჭრები, მოხელენი, მღვდლები, მასწავლებლები და ექიმები.

საკრედიტო დაწესებულებანი: სახალხო და სამეურნეო ბანკები, აქციონური საზოგადოებანი.

სახელმწიფოს თავი, სახელმწიფოს ღერბი და ხალხის ღროშა.

ისტორიის სწავლების მიზანი არის გააცნოს ბავშვებს უშიაგრესი და შესანიშნავი შემთხვევანი სამშობლოს და საერთო ისტორიისა და ამასთანავე გაუღვიძოს მათ სიუვარული სამშობლოსადმი, მისცეს მათ შეძლება გამოირკვიონ ხალხის აწყო მდგომარეობა და ხალხის დანიშნულება.

პირველ და მეორე განყოფილებებში ისტორიის არ ასწავლიან. მესამეში იგი იწყობა ხალ-

ხურ გადმოცემებიდან, თქმულებებიდან, შემდეგ გადადიან ბოლგარიის ძველ და შუა საუკუნის ისტორიაზე. მეოთხეში ბავშვები ეცნობიან ბოლგარიის მდგომარეობას თურქთა ბატონობის დროს, განხილვის ეპოქას, ბრძოლას პოლიტიკურ თავისუფლებისათვის და განთავისუფლების შემდეგ ეპოქას. ათავებიან ფერდინანდ I-ით.

ბუნების-მეტყველება იწყება მესამე განყოფილებაში შინაურ ცხოველებიდან. შემდეგ გადადიან ფრინველებზე, მწერებზე; აცნობენ ბავშვებს მცენარეებს და ცხოველებს, ბაღებს და მინდვრებს. აძლევენ საჭირო ცნობებს ნიადაგზე და ხვან-თესვაზე.

მეოთხე განყოფილებაში ასწავლიან მთების ბუნებას, მდინარეებს, ხეობებს და ზღვებს. ამავე დროს აძლევენ ელემენტარულ ცოდნას ფიზიკიდან. სამოსწავლო წლის ბოლოში გადადიან ანატომიის და ჭიკიქის, აგრეთვე აძლევენ ცნობებს სხვა ქვეყნების ბუნებაზე.

ხატვა და გალობა უკითარებს ბავშვებს ესთეთურ გრძობას. პირველმა უნდა ასწავლოს ბავშვებს სილამაზის დაფასება და გაუმგროს მათ გრძობა სილამაზისა, სიმშვენიერისა, მეორემ კი უნდა მისცეს ბავშვებს საშუალება განიცადონ სიტკბობა იმ ესთეთურ ემოციებისგან, რომელნიც გამოწვეულნი არიან მუსიკით.

გიმნასტიკა ავითარებს ბავშვებს ფიზიკურად. რაც შეეხება **ხელსაქმეს**, ამან უნდა მოამზადოს ბავშვები სხვა და სხვა გვარ შრატკულ მუშაობისათვის და ხელობებისათვის. ამ მიზნით ასწავლიან დაწვანს, თიხისაგან ძერწვას და სხვას.

ბოლგარიის სკოლის კანონი აძლევენ სრულ თავისუფლებას მასწავლებლებს შეთადონ არჩევში. ამიტომაც ბოლგარიის პირველ-დაწყებით სკოლებში დაწესებული არ არის ჰედაგოგური სისტემა, შეთადი, მაგრამ ეს საქმეს არა ვნებს. გამოუსადეგარი შეთადები

მალე ქრებიან, გამოსადეგნი კი რჩებიან იქამდინ, ვიდრე მით ნაცვლად ახლები არ გამოჩნდებიან. ამ ახალ მეთოდების, ახალ გზების არჩევაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ზედაგოგურ შურნალებს, რომლებსაც შეაქვთ მასწავლებელთა წრეში ახალი აზრები და უჩვენებენ მასწავლებლებს ახალ გზებს.

სრულიად განსაკუთრებით სდგას ბოლგარიის ჰირველ-დაწვეებით სკოლებში I განყოფილება. 6-7 წლის ბავშვების სწავლება მითხრავს მასწავლებლისაგან ბევრ ზრახტიუელ ცოდნას და ხერხს, ალერსიან და მეტობრულ მოქცევას ზატარებთან.

ჰირველ 7-8 დღეს სკოლაში მოსული ზაწაწები ეცნობიან სკოლის ავეჯს და სკოლის წეს-რიგს. მეცხრე ან მეთუ დღიდან ამზადებენ მათ ენის შესასწავლათ, რაც კრძელდება $2\frac{1}{2}$ თვე.

თავდაპირველად ბავშვები სწავლობენ ცალკე ხმებს, რასაც ძალიან ცოცხალი და ფხიზელი ხასიათი აქვს. მასწავლებელი უამბობს ზაწიებს ზღაპარს, რის დროსაც საჭირო ხმას გამოჰყოფს, მიჭბაძავს ქარის ზუზუნს, ფოთლების შრიალს და სხვას. როცა ბავშვები ამ ხმას რამდენჯერმე განიმეორებენ მაშინ მასწავლებელი გამოარკვევს სასურთქ და სლავანაკო ორგანოების მდგომარეობას ამ ხმის დროს შემდეგ ამ ხმას ბავშვები ეძებენ სიტუებში და ბოლოს მის შეერთებას სხვებთან სწავლობენ. ასე სწავლობენ ყველა ხმებს და ათავებენ მხოლოდ 1 ქრისტეობისთვეს. ამავე დროს, ცალკე გაკვეთილზე ასწავლიან ბავშვებს დასაწერ ასოების ელემენტებს და ზეპირ ანგარიშს 10-დინ. გიორგობისთვის ნახევრიდან ან ქრისტეობისთვიდან ბავშვებს აძლევენ ხელში ანბანის წიგნს და კითხულობენ. წიგნის ჰირველი გვერდების შესწავლა ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის; მასწავლებელი განძრავს აფერხებს ბავშვებს, რომ მიაღწიოს მეკიდრ, მაგარ ცოდნას, მაგრამ სამაგიეროთ ამის შემ-

დეგ საქმე ძალიან ჩქარა მიდის, რადგანაც ხმის გამოყოფა ან მათი შეერთება მომზადების შემდეგ ბავშვებისათვის არაფერ საძნელეს არ წარმოადგენს. მთელი მათი ყურადღება მიქცეულია ასოების ფორმების დახსენებაზე. აზრილში ბავშვები უკვე კითხულობენ რომელსამე მითხრობას შესათერისის შინაარსით. სასწავლო წლის ბოლოში ბავშვები მართალია ნელა, მაგრამ შეუცდომლად და გარკვევით კითხულობენ.

ანგარიშიდან ჰირველ წელიწადს ასწრობენ მხოლოდ 4 მოქმედებას 10-დინ; ბოლგარიაში ამ ოთხი მოქმედების გარდა მიღებულია კიდევ მეხუთე მოქმედება, რომელიც შემდეგში გამოინატება $5 : 10 = 2$. (ხუთი მოთავსდება ათში ორჯერ).

წერას ჯერ თანქართ სწავლობენ რვეულებში, რვეულები ორხაზიანია, წერა ჰირდაპირი.

სადგომ სჯულს, როგორც ჰირველ განყოფილებაში, ისე სხვებშიაც, ძალიან ნაკლებ დროს ანდომებენ. საზოგადოთ სადგომ სჯულს ბოლგარიაში შესამე ადგილი უჭირავს და სკოლას სრულიად სერო ხასიათი აქვს. ბავშვები იშვიათად დადიან ეკლესიაში. კვირაში მხოლოდ ერთი გაკვეთილია სადგომ სჯულისა, მეორე გაკვეთილს ანდომებენ ზნეობრივის ხასიათის საუბარს.

წერა ბოლგარულ ენაზე კრამატიკის მხრივ ძალიან ძნელია. ამიტომაც მიღებულია წიგნიდან გადაწერა საშინაო რვეულებში, ენის გასაუმჯობესებლად კი კლასში აძლევენ დასაწერათ თავისუფალ თემებს. თავისუფალ თემების წერა იწუბა მეორე განყოფილებიდან. ეს ამნაირათ სწარმოებს: აიჩქევენ რომელსამე თემას, მაგ. „კატა“-ს. აქ ბავშვები უამბობენ მასწავლებელს კატაზე, ვინც რიცხის. შემდეგ აიჩქევენ რომელსამე საინტერესო ნაამბობს და ყველა ნაამბობების მიხედვით ადგენენ კატის საერთო აღწერილობას და მის თვისებებს. ჯერ ზეპირად შეიმუშავენ

ბენ ახალ მოთხრობას და შემდეგ სწერენ. შემდეგ ბავშვებს მეტი თავისუფლება ეძლევათ. სუფთა წერა, როგორც ცალკე საგანი არ ასრულებს, მხოლოდ დიდ ეურადლებას აქცევს ლამაზ და გარკვევით წერას და რვეულების სისუფთავებს.

ანგარიშის პროგრამა ძალიან ფართოა. 4 წელიწადში ბავშვებმა უნდა იცოდნენ არამც თუ ოთხი მოქმედება მთლიან და რთულ სახელწოდებულ რიცხვებზე, არამედ მთელი კურსი ათწილადისა და მარტივი ნაწევრებისა.

გეოგრაფიის სწავლების დროს დიდ ეურადლებას აქცევენ ხაზვას ბავშვების მიერ გეოგრაფიულ რუკებისას. ამიტომაც ბოლგარიის სკოლების მოწაფეები კარგათ იცნობენ თავიანთ ადგილს, მხარეს, მდინარეებს, მთებს და სხვ.

ისტორიის სწავლება იწყება ადგილობრივ თქმულებებიდან, გადმოცემებიდან, რომელთაც ისტორიული ხასიათი აქვთ; შემდეგ გადადიან ძნელზე და შორეულზე. წინა ბოლგარიის პირველ-დაწყებით სკოლებში ბავშვებს ასწავლიდნენ ჰელიტიკურ ისტორიას, უკანასკნელ დროს კი იგი განდევნეს და მისი ადგილი დაიჭირა კულტურულმა ისტორიამ.

თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ხატვას, რომელიც საჭირო და აუცილებელ საგნად ითვლება. იმდენად ძლიერია სიყვარული ხატვისადმი ხალხში, რომ თვით დარბი მშობლებიც დიდის ხალისით და სიამოვნებით ვიდრე ღობენ თავიანთ შვილებისათვის ფერად ფანქრებს, ქაღალდს, საღებავებს, რაც კარგა ძვირად უჯდებათ. სკოლაში შესულის პირველ დღიდანვე ბავშვები სწავლობენ ხატვას. თავ და პირველათ ხატავენ ცარცით შავ ფიტარზე, მერე კი ფერადი ფანქრებით ქაღალდზე. ამისთანა ხატვა გრძელდება 3 წელიწადი, ხოლო მეოთხე განყოფილებაში ხატავენ აკვარელით და ხშირად მხატვრობას უერთებენ ძერწვას.

ამ რამდენისავე წლის წინად ხატვას სრულიად არ ასწავლიდნენ ბოლგარიის სკოლებში. თვით მასწავლებლები არ იყვნენ ამისთვის მომზადებულნი, არ იცოდნენ ხატვა. მაგრამ, ამ ერთი ბოლგარელი მასწავლებელი წავიდა სამზღვარ კარეთ, სადაც კარგათ გაეცნო ხატვის დაყენებას გერმანიის, ინგლისის, დანიის და სხვათა სკოლებში. იმან შეისწავლა სხვა და სხვა სისტემები, მეთოდები, სახელმძღვანელოები და სამშობლოში დაბრუნებისას გამოსცა მშვენივრათ შედგენილი და დასურათებული წიგნი. ამ წიგნმა დიდი ჩონჩხი გამოიწვია მასწავლებელთა წრეში. ყველამ ნათლად დაინახა, რომ ხატვა არის ცოცხალი, სასარგებლო საქმე, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც სასურველია მისი შეტანა ყველა პირველ-დაწყებით სკოლებში. სამინისტრომაც ამას მშინვე მხარი დაუჭირა: ფიცხლავ მოაწყო საზაფხულო კურსები და ლექციები მასწავლებლებისათვის. ამ უამთ ხატვას ასწავლის ყველა მასწავლებელი ყველა სკოლაში. კლასის კედლებს და ტაღანებს ამშვენებს ბავშვების ხატვები. ბოლგარიის პირველ დაწყებით სკოლებში ხატვა შემდეგ ნაირათ სწარმოებს: პირველ და მეორე განყოფილებაში ხატვა თავისუფალია. ბავშვები ასურათებენ ნაწილობრივად, იგავს ან რომელსავე შემთხვევას თავის ცხოვრებიდან. ხატვის დროს მასწავლებელი თვალ-ყურს ადევნებს ბავშვებს, აძლევს მათ რჩევას, უჩვენებს სად რა უნდა გასწორონ და სხვა. ამასთანავე დაფაჩედ უჩვენებს მათ როგორ უნდა გამოხატონ უმთავრესი საგნები და სხვა. მესამე განყოფილებაში ხატვას სულ სხვახაირი ხასიათი აქვს. აქ ბავშვები სწავლობენ საგნების უმთავრეს ფორმებს. აქ დაცულია წეს-რიგი: ჯერ ხატავენ კვარცხის მსგავს ფორმას, მერე მსხლის მსგავს და ბოლოს მრგვალს. ამის შემდეგ გადადიან ზეპირ ხატვაზე და ბოლოს, ხატ-

ვაზედ დედნიდან. ეს უფრო მეოთხე განყოფილებაში სწარმოებს. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ხატვის მხრივ წმ. კლიმენტის სახელობის პირველ-დაწვებითი სკოლა სოფიაში. ტალანში შესვლისთანავე ადამიანს აკვირვებს მრავალი კედელზედ გაკრული ხატები; იქვე თარხოზედ ჩამწკრივებულია თიხის ქოთნები მოწაფეების მიერ შექმნილი და მათივე ხელით დასურათებული ბოლოგარულ ძველ სტილით. ამ სკოლისაგან მიღებული შთაბეჭდილება იმდენად ძლიერია, რომ ძალა-უნებურად ჩაფიქრებს ადამიანს. გასაკვირველია, თუ როგორ მიაღწიეს ამას, როდესაც კვირაში ხატვის ორი გაკვეთილის მეტი არა აქვთ.

გალობამ და გიმნასტიკამ ჯერ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. გალობაზედ შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ იგი სავალდებულოა როგორც მოწაფეებისათვის, ისე მასწავლებლისათვის. ზოგი სახალხო მასწავლებელი დიდ სამსახურს უწევს თავის სამშობლოს ხალხური სიმღერების შეკრებით და მათი ნოტებზედ დასაგებით. პირველ-დაწვებით სკოლებში გიმნასტიკის ცალკე მასწავლებელი არა ჰყავთ; თვით მასწავლებლები ამისთვის მომზადებული არ არიან. იმედია, ამ მოკლე ხანში გიმნასტიკა პირველ-დაწვებით სკოლებში სპატიო ადგილს დაიჭერს. ეხლა კი, როგორც ზემოთ ვსთქვი, უველა სკოლას აქვს დიდი გიმნასტიკური დაზიანება და ფართო სუფთა, მომზადებული პატარა მოედანი სკოლის წინ სავარჯიშოთ და სათამაშოთ. რადგანაც პირველ-დაწვებითი სკოლები სრულ შექმნას აძლევენ მოწაფეებს გიმნაზიაში შესვლისას, ამიტომ ბევრი მოწაფე მიდის გიმნაზიაში. ზოგნი კი პირდაპირ ცხოვრებას ებმებიან: შედიან ქარხნებში, სახელოსნოებში, სავაჭრო დაწესებულებებში და სხვა. საზოგადოება აქაც დიდ დახმარებას უწევს მოზარდ თაობას; ამისთვის გახსნა ორ წლიანი დამატებითი კურსები. პირველ-დაწვებით სკოლის კურს დამთავრებული

ბავშვები არა უმეტესს 14 წლის ვალდებულნი არიან იარათ ამ კურსებზედ. 14 წლის შესრულების შემდეგ ბავშვებს შეუძლიანთ იარათ კიდევ 17 წლამდინ. თუ ბავშვები სახელოსნოებში ან ქარხნებში მუშაობენ, მაშინ მათ პატრონებს არავითარი ნება არა აქვთ აუკრძალონ ბავშვებს კურსებზედ სიარული. მეცადინეობა კვირაში 3 საათი სწარმოებს. მასწავლებლებათ ისევ პირველ დაწვებით სკოლების მასწავლებლები არიან, რისთვისაც იღებენ თითო გაკვეთილში 1 ან 2 ფრანკს (37¹/₂—75 კ.).

ბოლოგარის დაამატებითი კურსები იყოფიან ცალ-ცალკე სექციებათ. ამისთანა სექციები სამია: 1) მიწის სამუშაო, 2) სავაჭრო-სახელოსნო და 3) ქალებისათვის.

მიწის სამუშაო სექციაში ასწავლიან შექმნილ საგნებს: ბოლოგარულ ენას, გეომეტრიას, ანგარიშის გაწევას, სამშობლო ისტორიას, მოქალაქობრივ სწავლას, (როგორც ცალკე საგან), გეოგრაფიას და ბუნების-მეტეოლოგიას დაკავშირებულს სამეურნეო პრაქტიკასთან. ამ სექციას ერთგვან კიდევ სხვა დამატებითი სექციები: ღვინის დაყენების, მეურნეობისა, მეფუტკრეობისა და მებაბრეშუმეობისა.

სავაჭრო სახელოსნო სექციაში ისევ იმ საგნებს ასწავლიან, რასაც მიწის სამუშაოზედ, მხოლოდ ბუნების-მეტეოლოგიის კურსი ფართოდება: ასწავლიან თიხიკას და კიდევ ხატვას და ხაზვას. ამ სექციასაც ერთგვან კიდევ ორი დამატებითი სექცია: სახელოსნო და სავაჭრო.

ქალების სექციაში ასწავლიან: ბოლოგარულ ენას, გეომეტრიას, ანგარიშის დაჭერას, სამშობლო ისტორიას და გეოგრაფიას, ვრცლად ჰიგიენას, ხელსაქმეს და ხატვას.

ამ დამატებით კურსების გარდა ან მით ნაცვლად ზოგიერთა საზოგადოება ხსნიან მოკლე ვადიან კურსებს ცალკე საგნებისათვის, უველა მსურველთათვის. მაგ. კურსები კალა-

თების და აუკუეულობის დაწვნისა, ჭრა-კერ-ვისა, ხაღიხებისა და ანძიების ქსოვისა და სავაჭრო.

თუ გადავავლებთ თვალს იმ სურათს, რომელსაც წარმოადგენს პირველ-დაწყებითი განათლება ბოლგარიაში, იმ გზას, რომელიც ასე სწრაფად გაიარა ბოლგარიის სკოლამ, ჩვენ თამამად შეგვეძლება ვსთქვათ, რომ ზატარა ბოლგარაას დიდი წარმატება მოეწიეს. დეე, იმ განათლების სისტემა, იმ იდეალური სკოლის ფორმები, რომელიც დაისახეს მასწავლებლებმა ჯერ არ განხორციელდა; დეე, ჯერ კიდევ აუთს ბევრი დარბიი სკოლა, დეე, აკლდეს საღასარი სახალხო განათლების საქმეს, - მაგრამ გაჭურეტა იმ მეგობრულ, აღმადგინებელ მუშაობისა, რომელიც სღუღს მთელს ბოლგარიაში, იმ დაუშრეტელის ენერგიისა და მუშაობისა, რომელსაც არა ზოგავენ ბოლგარელები, უოგულა ეს ჭბადავს იმედს,

რომ ახლთა ის დასახული მიზანი, რომლისკენაც ასე დაჯინებით მიისწრაფიან სახალხო განათლების მებრძოლნი. ბოლგარელები ტუვილად კი არ ამბობენ ზუმრობით თავიანთ თავზე: „ჩვენმა ხალხმა ცხორება იწუო მხოლოდ 30 წლით ცოტა ადრე, მაგრამ იგი ჩქარის ნაბიჯით უახლოვდება სიმწიფეს და თუ ასე გაგრძელდა, ღმერთმა კი დაგვიფაროს, 30 — 40 წლის შემდეგ უნდა დავბერდეთ და მსოფლიო სტენას ჩამოვშობდეთ“-ო. რასაკვირველია, ეს არ მოხდება. პირ-იქით შემდეგი 20 — 30 წელიწადი მხოლოდ უჩვენებს ევროპას, რომელიც ჯერ-ჯერობით მოწყალებით უტქარის „ბოლგარელ იანჩელების“ ენერგიულ მუშაობას, თუ რის გაკეთება შეუძლიან ზატარა, მაგრამ ნაჭიერ ერის ფხიზეელ შრომას და ენერგიას. (Русская шк. 1913 წ.)

იატო ბაქ — დე.

ათწილადი ნაწევრების შესწავლის წესი

შხლანდელს დასაწყისის სკოლებში არითმეტიკის პროგრამაში სავალდებულოდ არის მარტივი ნაწევრებისა და ათწილადი ნაწევრების შესწავლა. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლების პროგრამითაც, მესამე და მეოთხე განყოფილებებში მოითხოვება „ოთხი მოქმედება მარტივსა და ათეულს ნაწევრებზე და პრაქტიკული ამოცანები ნაწევრებზე“. ბევრს მასწავლებელს ასეთი მოთხოვნილება მიუწლომელად და სამძიმოდ მიაჩნია დასაწყისი სკოლის მოწაფეთათვის. მართალია, რუსული არითმეტიკის მეთოდური სახელმძღვანელოები იშვიათად ეხებიან ნაწევრების შესწავლის წესებს ისე, როგორც

უნდა ისწავლებოდეს ეს საგანი დასაწყისის სკოლებში, მაგრამ იმ პედაგოგებისთვის, ვისაც დაკვირვებით უსწავლებიათ არითმეტიკა დასაწყისის სკოლებში და ნათლად აქვთ ამ საგნის სწავლების საქმე გათვალისწინებული, ნაწევრების სწავლებაც არც ისე ძნელია, როგორც ბევრსა ჰგონია. ჩვენი მიზანია ამ წერილში შევეხოთ ათწილადი ნაწევრების შესწავლის წესებს დასაწყისის სკოლებში და დავარწმუნოთ მასწავლებლები, თუ რამდენად მარტივია ის წესები, რომლის საშუალებითაც ადვილად შეიგნებენ სახალხო სკოლის მოწაფეებიც ოთხი მოქმედების წარმოებას ათწილადს ნაწევრებზე.

ყველა სასწავლო მასალის სწავლების დროს დასაწყისი სკოლის მასწავლებელი სასტიკად უნდა ხელმძღვანელობდეს საზოგადო-პედაგოგიურის ფორმულით—ჯერ ადვილი ასწავლოს და შემდეგ მოძნელო და ყველა ერთგვარი მასალები, რომელთაც ერთმანეთში ორგანიული კავშირი აქვთ, ერთი მეორეს უნდა მიჰყვებოდეს, ერთი მეორედან უნდა გამომდინარეობდეს. ამ დიდაქტიურ პრინციპს რომ მივყავთ, ათწილადი ნაწევრები იგივეა, რაც ათეული სისტემის მრიცხველობა, რომლის უმთავრესი წესი, როგორც ვიცით, ასეთია: 1) თვითოეული რიგის ერთეული ათჯერ მეტია შემდეგი რიგის ერთეულზე და ათჯერ ნაკლებია წინა რიგზე, 2) თვითოეული რიგის ერთეული განსაკუთრებულს ადგილზე იწერება: პირველ ადგილზე — ერთეული, მეორეზე — ათეული, მესამეზე — ასეული და სხვ. გამოვიყენოთ ეს ცოდნა ათწილადი ნაწევრების შესწავლაში.

ცნება ათწილად ნაწევრებზე და მათი მრიცხველობა.

ავიღოთ მაგალითად მთელი რიცხვი 1111. ჩვენმიერ ზემოდ ნაჩვენებ წესის პირველი მუხლის მიხედვით—მეორე რიგის ერთეული ათჯერ მეტია პირველი რიგის ერთეულზე, მესამე რიგის ერთეული ასჯერ მეტია პირველი რიგის ერთეულზე, მეოთხე რიგის ერთეულიც ათასჯერ მეტია პირველი რიგის ერთეულზე, ერთი სიტყვით თვითოეული ერთეული პირველი რიგიდან მარცხნივ მეტია ამ ერთეულზე 10, 100, 1000 ჯერ. ახლა რომ დავსწეროთ იგივე რიცხვი 1111, გავაცალკევოთ მძიმეთი და მარჯვნივ მივუწეროთ ერთი ერთეული, მაგალითად: 1111,1; მეორე: 1111,11; მესამე: 1111,111; — მაშინ იმავე პირველი წესის

პირველი მუხლის მიხედვით ერთეული, რომელიც პირველს ადგილზეა, მძიმეს შემდეგ, ათჯერ ნაკლები იქნება პირველი რიგის ერთეულზე; მეორე ადგილზე დაწერილი ერთეული ასჯერ ნაკლები იქნება; მესამე ადგილზე დაწერილი ერთეული ათასჯერ ნაკლები იქნება ე. ი. თვითოეული ერთეული, რომელიც მარჯვნივ არის პირველი რიგის ერთეულიდან, ნაკლებია 10, 100, 1000 ჯერ; მაშასადამე ისინი შეადგენენ ერთს ათეულს, ასეულს და ათასეულს ნაწილს მთელის ერთეულისას და იწოდებიან ათეულ ნაწევრებად, იმიტომ რომ თვითოეული ნაწილი ნაწევრდება მეორეზე მეტად თუ ნაკლებად ათჯერ. აქედან თავისთავად სჩანს, რომ მარჯვნივ პირველი რიგის ერთეულისა (ყოველი მთელი რიცხვის შემდეგ), პირველ ადგილზე მძიმეს შემდეგ, იწერება ერთეულის მეთაფი ნაწილი, მეორეზე — მესადი, მესამეზე — მეთასადი და სხვ.

აგრეთვე ცხადია, რომ საზოგადოთ ათწილადი ნაწევარი ჰქვიან ერთს ან რამდენსამე ათეულს, ასეულს და ათასეულს ნაწილს და სხ. ამის შემდეგ ადვილია დაწერა რომელიც გინდა ათ წილად ნაწევრიან რიცხვისა, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ ათწილადის ნაწევრისა. ვთქვათ უნდა და ვწეროთ ორი ათეული. რადგანაც მთელი ერთეული (ან საზოგადოთ მთელი რიცხვი) არ გვაქვს, ამიტომ იმის ადგილს დავსწერთ ნულს, დავუსვამთ მძიმეს და პირველს ადგილზე დავსწერთ ორს, ასე: 0, 2 და ვკითხულობთ ნული მთელი და ორი ათეული. რომ გვინდოდეს ოც და ხუთი მთელი (ერთეულის) და ასოცდა ხუთი ათასეული (ნაწილის) დაწერა, ჩვენ უნდა დავსწეროთ მთელი რიცხვი 25, დავუსვათ მძიმე და მივუწერ-

რომ 125 ათასეული ნაწილი, ამ სახით მივიღებთ: 25, 125 და ვკითხულობთ ასე: 25 მთელი და 125 ათასეული ე. ი. ვკითხულობთ ათწილად ნაწევარს, როგორც მთელ რიცხვს და ბოლოს ვამბობთ უკანასკნელი ნაწილის სახელს.

ამ სახით წერა და კითხვა ათწილადი ნაწევრებისა სწორედ ისე სწარმოებს, როგორც მიღებულია ათეული სისტემის წესით, როგორც წერა და კითხვა მთელი რიცხვებისა—არავითარი განსხვავება არ არის.

შედაჩება ათწილადის ნაწევრებისა.

რამდენისამე რიცხვის ერთად შედარების დროს ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ უუდესს რიგებს და თუ თანასწორნი არიან, შემდეგ იმის მიმყოფ დაბალ რიგზე გადავივარდ და შეუცდომლად გამოვიცნობთ—რომელი რიცხვია დიდი და რომელი პატარა. სწორედ ასევე ხდება ათწილადი ნაწევრების შედარებაც. ჩვენ ვამბობთ ნაწევარი 0, 5 მეტი 0, 3-ზე, რადგანაც ათეული ნაწილი პირველში მეტია, ვიდრე მეორეში; 0, 85 მეტია 0, 75-ზე, რადგანაც, თუმცა ასეული ნაწილები თანასწორია, მაგრამ ათეული ნაწილი პირველ ნაწევარში მეტია.

დაშლას ათწილადის ნაწევრებისა

1 ასეული=10 ათეულს=100 ერთეულს. მაშასადამე ასეული შეგვიძლია შევცვალოთ ათ ათეულად ან ას ერთეულად. ეს იქნება დაშლა—დახურდავება მსხვილი ერთეულისა წვრილად. და პირიქით, ავიღებთ ას ერთეულს ათი ათეულის ან ერთი ასეულის ნაცვლად, ამ დროს ჩვენ მეორე გვარად ვახურდავებთ, წინააღმდეგ პირველისა ე. ი. გადავაქცევთ წვრილს (პატარა) ერთეულებს მსხვილად

(დიდად). აქ ნათქვამის ანალოგიით ჩვენ შეგვიძლია დავსწეროთ, რომ ნაწევარი

$$0,1=0,10=0,100,$$

$$0,8=0,80=0,800,$$

როცა ერთ მეათედს ნაწილს ვცვლით ათი ასეულით, ან ასი ათასეულით, ან როცა რვა მეათედის მაგიერ ვიღებთ ოთხმოც მეასედს, ან რვაას მეათასედს, არსებითად ეს იგივეა, რაც მსხვილი ნაწილების წვრილად დაშლა. ამის წინააღმდეგი მეორე თანდათანობითი შეცვლა იქნება წვრილი ნაწილების მსხვილად გადაქცევა. ამიტომ 0,800 მაგიერ ყოველთვის სწერენ და და კითხულობენ სიდიდით მის თანასწორს რიცხვს, მაგრამ გამოხატულს მსხვილს ნაწილებში ნაწევარს 0, 8. აქედან სჩანს, რომ ნულის მიწვრით მარჯვნივ ათწილად ნაწევრების სიდიდე არ იცვლება, იცვლება მხოლოდ მისი გარეგანი სახე: ნულის მიწვრით ჩვენ მხოლოდ დავშლით აღებული ნაწევარს წვრილ ნაწილებად, ნულების წაშლით კი ნაწევარს მსხვილ ნაწილებად ვაქცევთ.

შემოკლება ათწილადის ნაწევრებისა და მათი ერთგვარ ნაწილებად გამოხატვა.

ამ თვისებაზეა დამყარებული ნაწევრების შემოკლება და მათი ერთგვარ ათწილად ნაწილებად გამოხატვა; მაშასადამე ათწილად ნაწევრების შესამოკლებლად—საჭიროა მოაშოროთ მარჯვნივ ყველა ნული, რამდენიც არის, მაგ. ნაწევრებში 0,700 და 0,250 რომ წავშალოთ ნულები, მივიღებთ ამ ნაწევრების სათანადო სახეს—0,7 და 0,25;—რომ გამოვსახოთ ყველა მოცემული ნაწევრები ერთგვარ ნაწილებად,—საჭიროა მხოლოდ ათწილადი ნიშნების რიცხვი (ციფრები) ნაწევრებისა შევავსოთ ნულებით მარჯვნივ ე. ი.

რომ მივუწეროთ ნაწევრებს 0,2, 0,34 და 0,125 სათანადო რიცხვი ნულებისა, მივიღებთ

0,200; 0,340 და 0,125—

ყველა ათწილად ნაწევრებად არის გამოსახული, რაც ადვილად ხდის ეხლა მათს ერთმანეთთან შედარებას.

გაბეგრება და დამცირება ათწილადის ნაწევრებისა.

მთელი რიცხვების გამრავლების თეორიიდან ვიცით: რომ გავაბევროთ რომელიმე მთელი რიცხვი 10, 100, 1000 და სხვაჯერ, უნდა მარჯვნივ მივუწეროთ ერთი, ორი, სამი და სხვა ნული. ავიღოთ მაგალითად რიცხვი 35, ეს რიცხვი რომ გავამრავლოთ 10—100-ზე, მივიღებთ 35, 350, 3500. მიღებული ნაწარმოებები რომ შევადაროთ, დავინახავთ, რომ პირველი რიცხვის ერთეული მეორეში ათეულად გადაიქცა, მესამეში ასეულად, ათეულები კი — მეორეში ასეულად და მესამეში—ათასეულად. ამიტომ დავასკვნით, რომ მთელი რიცხვის ათზე, ასზე და სხ. გამრავლება ნიშნავს თვითოეული რიგის ამდენჯერვე გაბეგრებას.

რომ გავყოთ მთელი რიცხვი ამავე რიგობით ერთეულებად (10, 100, 1000-ად), როგორც ვიცით მთელი რიცხვების გაყოფის წესებიდან, უნდა მარჯვნიდან მარცხნივ გავაცალკევოთ მძიმეთი ერთი, ორი, სამი და მეტი ციფრები ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ თვითოეული რიგი დავამციროთ ზემო ნაჩვენებს რიცხვჯერ

ავიღოთ ეხლა ათწილადი ნაწევრები: 1,1; 1,11; 1,111. გავამრავლოთ თითო მათგანი 10. ვმსჯელობთ ასე.—ერთი ათეული ავიღოთ ათჯერ,—იქნება ათი ათეული, ანუ ერთი მთელი ერთეული.

ათი ათეული და ერთი ერთეული — იქნება 11. მაშასადამე, $1,1 \times 10 = 11$.

ასეთისვე მსჯელობით $1,11 \times 10 = 11,1$; $1,111 \times 10 = 11,11$. ასზე რომ გავამრავლოთ, მაშინ მივიღებთ:

$1,1 \times 100 = 110$; $1,11 \times 100 = 111$; $1,111 \times 100 = 111,1$.

მიღებული ნაწარმოებნი რომ შევადაროთ მოცემულს ნაწევრებს დავინახავთ, რომ

| | | | |
|-------|-------|-------|----------|
| 11 | მეტია | 1,1 | } ათჯერ. |
| 11,1 | მეტია | 1,11 | |
| 11,11 | მეტია | 1,111 | |
| 110 | მეტია | 1,1 | } ასჯერ. |
| 111 | მეტია | 1,11 | |
| 111,1 | მეტია | 1,111 | |

ამ სახით ათწილადი ნაწევრების ათზე გამრავლებით, თვითოეული მისი რიგი, როგორც მთელს რიცხვებში, გაბევრდა ათჯერ, ასზე გამრავლებით—ასჯერ, და მძიმეც ამის მიხედვით გადაგვექონდა მარჯვნივ ერთის ან ორი ციფრის შემდეგ. პირუკულმა მოქმედების დროს ე. ი. გაყოფის დროს, როგორც მთელი რიცხვებისა, თვითოეული რიგი თანაბრად მცირდება, და მძიმეც იმდენივე ციფრის შემდეგ მარცხნივ დაისმის.

აქედან ცხადად სჩანს პრაქტიკული (მექანიკური) წესი ათწილადი ნაწევრების გაბეგრებისა და დამცირებისა: რომ გავაბევროთ ან დავამციროთ ათწილადი ნაწევრები 10, 100, 1000-ჯერ, უნდა მძიმე გადავიტანოთ მარჯვნივ ან მარცხნივ ერთი, ორი, სამი ციფრის შემდეგ. ყველა ეს მსჯელობა, როგორც სჩანს, დაფუძნებულია და სასტიკად შეესაბამება მრიცხველობის სისტემის მეორე მუხლის წესს— ე. ი. თვითოეული რიგის ერთეული განსაზღვრულს ადგილს იწერება, ან სხვანაირად რომ ვთქვათ—თვითოეული ერთეუ-

ლის მნიშვნელობა დამოკიდებულია იმ ადგილზე, რომელიც მას უჭირავს: თუ გადატანილი იქმნა ციფრი მარჯვნივ მიმყოფ ადგილზე—მისი მნიშვნელობა ათჯერ მცირდება; თუ მარცხნივ გადატანილი იქმნა—მისი მნიშვნელობა ათჯერ ბევრდება. მაშასადამე არსებობს სრული მსგავსება მთელი რიცხვების გამრავლება გაყოფისა ერთეულზე ერთის ან რამდენსამე ნულით და ათწილადი ნაწევრების 10, 100, 1000-ჯერ გაბევრება დამცირების შორის.

მოქმედებანი ათწილად ნაწევრებზე.

რაც შეეხება ჩვენი საკითხის უმთავრესს საგანს—არითმეტიკის ოთხი მოქმედების წარმოებას ათწილად ნაწევრებზე, აქ უნდა აღვნიშნოთ სრული მსგავსება ათწილადი ნაწევრებისა და მთელს რიცხვებს შორის. შეკრება და გამოკლება ათწილად ნაწევრებისა სრულიად ისე სწარმოებს, როგორც მთელი რიცხვების შეკრება და გამოკლება. ამიტომ სიტყვის გაგრძელება მეტად მიგვაჩნია. მოვიყვანთ მხოლოდ ჩვენის აზრის დასამტკიცებლად რამდენსამე მაგალითს.

| | | | |
|--|--|---|--|
| $\begin{array}{r} 5,2 \\ + 0,17; \\ \hline 5,37 \end{array}$ | $\begin{array}{r} 8,09 \\ + 2,85; \\ \hline 10,94 \end{array}$ | $\begin{array}{r} 4,25 \\ - 2,2 \\ \hline 2,05 \end{array}$ | $\begin{array}{r} 7,05 \\ - 3,47 \\ \hline 3,58 \end{array}$ |
|--|--|---|--|

ათწილადი ნაწევრების გამრავლება ნაწარმოების შეცვლაზეა დამყარებული, გაყოფა კი—ნაწილადის შეცვლაზე. თვითონ მოქმედებანი კი ისევე სწარმოებენ, როგორც გამრავლება და გაყოფა მთელის რიცხვებისა.

რომ გვინდოდეს 2, 3 გამრავლება 4, ასე ვმსჯელობთ: სამრავლში რომ წავშალოთ მძიმე, ის გაბევრდება ათჯერ და ამის გამო ნაწარმოებიც ათჯერ მეტი იქნება. ახლა მთელი რიცხვი $23 \times 4 = 92$.

ეს ნაწარმოები ნამდვილზე ე. ი. იმაზე, რაც უნდა მიგველო, ათჯერ მეტია. ამიტომ იგი უნდა დავამციროთ იმდენჯერვე, მაშასადამე უნდა გავყოთ 10, ან მარჯვნიდან მარცხნივ ერთი ციფრის შემდეგ დაუწეროთ მძიმე, მივიღეთ 9, 2. რადგანაც სამრავლისა და მამრავლის ერთის მეორეს ადგილზე გადასმით ნაწარმოები არ შეიცვლება, მაშ ამ მაგალითში 4 რომ 2, 3 გავამრავლოთ, მივიღებთ იმავე შედეგს და იმგვარსვე მსჯელობას. მაშასადამე სულ ერთია მთელს რიცხვს ნაწევარზე გავამრავლებთ, თუ ნაწევარს—მთელს რიცხვზე.

მოვიყვანთ მეორე მაგალითს: $25,7 \times 13,6$ წავშალოთ მძიმეები და გავამრავლოთ როგორც მთელი რიცხვები—

$$\begin{array}{r} \times 257 \\ \hline 136 \\ \hline 1542 \\ 771 \\ \hline 257 \\ \hline 34952 \end{array}$$

მიღებული ნაწარმოები, რადგანაც სამრავლი და მამრავლი მთელ რიცხვებად ვაქციეთ, გაბევრდა 100-ჯერ (სამრავლი დან 10-ჯერ, მამრავლიდანაც 10 ჯერ, სულ $10 \times 10 = 100$), ამიტომ იგი 100-ჯერ უნდა დავამციროთ, ე. ი. მარცხნიდან ორი ციფრის შემდეგ დავსათ მძიმე, აი ასე 349, 52.

აქედან ცხადია: რომ გვინდოდეს ათწილადი ნაწევარის ნაწევარზე ან მთელ რიცხვზე გამრავლება, უნდა გავამრავლოთ როგორც მთელი რიცხვები, ყურადღება სრულიად არ უნდა მიექცეს მძიმეებს და ნაწარმოებში კი მარჯვნიდან მარცხნივ იმდენის ციფრის შემდეგ უნდა დავსვათ მძიმე, რემდენიც ათწილადი ნიშანი იყო ერთად სამრავლში და მამრავლში.

ახლა ვთქვათ გასაყოფია 2,24 : 4. მძიმე რომ წავშალოთ, მივიღებთ რიცხვს 224. გავყოფთ მთელს რიცხვს მთელზე: $224 : 4 = 56$. როდესაც გასაყოფი გავაბევრეთ 100-ჯერ, იმდენჯერვე გავაბევრეთ ნაწილადიც. ამიტომ ნამდვილი ნაწილადი რომ მივიღოთ, საჭიროა მისი ასჯერ დამკირება, ან მარჯვნიდან მარცხნით მძიმეს დასმა ორი ციფრის შემდეგ და მივიღებთ 0,56. (მთლიანი ერთეული არ არის, ამიტომ მის ადგილას ვსწერთ 0).

ამ მაგალითებში ჩვენ იმ შემთხვევას შევხებით, როცა გაყოფა უნაშთოდ ხდება, მაგრამ მთელი რიცხვებისა და ნაწევრების გაყოფის დროსაც ისეთი შემთხვევები არის, როცა რიცხვი მთლად არ იყოფება მეორე რიცხვზე, გვრჩება ნაშთი და ნაწილადიც სწორი არ იქნება, არამედ ნამდვილზე ნაკლები. ჩვენის აზრით ასეთს შემთხვევებს და მაგალითებს დასაწყისის სკოლებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, იმიტომ რომ დაუსრულებელი ნაწევრები არამც თუ ცხოვრებაში მეცნიერებაშიაც იშვიათად შეგხვდებით და მისი ცოდნაც დასაწყისი სკოლის მოწაფეთათვის არაფრის მაქნისია.

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი. გავყოფთ ნაწევარი ნაწევარზე: 2,28 : 0,6. ვყოფთ ისევე, როგორც მთელს რიცხვებს, უყურადღებოთ ვსტოვებთ მძიმეებს. — $228 : 6 = 38$. ნაწილადი 38 ნამდვილი არ არის, რადგანაც გასაყოფში, წერტილის წაშლით, ჩვენ იგი 100-ჯერ გავაბევრეთ, რის გამოც ნაწილადიც ასჯერ გაბევრდა; გამყოფში წერტილის წაშლით იგი ათჯერ გავაბევრეთ და ამის გამო ნაწილადიც ათჯერ დავამკირეთ. პირველად ნაწილადი გაბევრდა ასჯერ, შემდეგ იგივე ნაწილადი დამკირდა ათჯერ; საერთოდ ნაწილადი მაინც ათჯერ გაბევრდა, ამი-

ტომ იგი ათჯერ უნდა დავამკიროთ და შეიქნება 3,8.

ავიღოთ კიდევ მაგალითი: 48 : 0,6. გავყოფთ, როგორც მთელი რიცხვები. გამყოფში მძიმის წაშლით ჩვენ მას ათჯერ ვაბევრებთ. ნამდვილი ნაწილადი რომ მივიღოთ, იგი ათჯერ უნდა გავაბევროთ; მივიღებთ 80. ნაწილადი გასაყოფზე მეტია. ეს ისე უნდა გვესმოდეს, რომ ექვსი მეათედი 48 მთელ ერთეულში 80-ჯერ არის.

გავყოფთ კიდევ 1 : 0,4. წავშალოთ გამყოფში მძიმე, (ამ სახით ნაწილადს ათჯერ ვამკირებთ) მივიღებთ ისეთს შემთხვევას, როცა პატარა რიცხვი დიდს რიცხვზე უნდა გაიყოს, რასაკვირველია ერთი ერთეული ოთხად არ გაიყოფა, ამიტომ გასაყოფს ვაქცევთ ათეულ ნაწილებად და ვყოფთ ოთხზე, მივიღებთ ნაწილადში 2 და ნაშთად ორ ათეულს, ამ უკანასკნელსაც ასეულ ნაწევრებად ვაქცევთ და გავყოფთ ოთხად, მივიღებთ ნაწილადის მეორე რიცხვს უნაშთოდ.

თვითონ მოქმედება შეიძლება ასე დავალაგოთ:

$$\begin{array}{r} 1 \quad | \quad 4 \\ \hline 10 \quad 0,25 \\ 8 \\ \hline 20 \\ 20 \\ \hline \end{array}$$

მაგრამ, როგორც ზემოთა ვთქვით, მიღებული ნაწილადი 0,25 ათჯერ ნაკლებია ნამდვილზე, ამიტომ იგი ათჯერ უნდა გაბევრდეს და მივიღებთ 2,5.

ნაწევრების მთელს რიცხვზე გაყოფისა და აგრეთვე ნაწევრის ნაწევარზე გაყოფის ყველა შემთხვევებს რომ თავი მოეუყაროთ და ვიგულისხმოთ ის წესი, რომ გასაყოფისა და გამყოფის ერთსა და იმავე რიცხვ-

ზე გაბეგრებით ნაწილადი არ შეიცვლება, ჩვენ შეგვიძლიან ათწილადი ნაწევრების გაყოფისათვის დავადგინოთ ერთი საზოგადო პრაქტიკული წესი: გაყოფის დროს გასაყოფში და გამყოფში ათწილადი ნიშნების რიცხვი (ათწილადი ნაწევრის ციფრები) უნდა გავათანასწოროთ მარჯვნივ ნულების მიწერით, წავშალოთ მძიმეები და გავყოთ როგორც მთელი რიცხვები.

ყველა ზემო ნათქვამს რომ თავი მოვუყაროთ, დავინახავთ, რომ ათწილადი ნაწევრები ჩნდება ათეულიან მრიცხველობის სისტემის მიხედვით, როგორც ყოველგვარი მთელი რიცხვი და მოქმედებანიც მათზე ისე სწარმოებენ, როგორც მთელს რიცხვებზე.

ამიტომაც ათწილადი ნაწევრები ბუნებრივი და ლოღიკური გაგრძელებაა მთელი რიცხვების შესწავლისა და ამიტომ

მეთოდურის თვალსაზრისით დამოუკიდებლად უნდა მიჰყვებოდეს მთელს რიცხვებს. თუ მასწავლებელს შეგნებულად, გონიერად და მკაფიოდ უსწავლებია მრიცხველობა და მოქმედებანი მთელს რიცხვებზე, და ამასთანავე მოწაფეების განსაკუთრებული ყურადღება მოქმედებათა ელემენტებისა და მათი შედეგების დამოკიდებულებაზე მიუქცევია, ათწილადი ნაწევრების სწავლებაც არავითარს სიძნელეს არ წარმოადგენს. სწორედ ამაზე გვინდოდა მიგვეყარო მასწავლებელთა ყურადღება და დაგვერწმუნებინა ისინი, რომ მთელს რიცხვებზე ოთხი მოქმედების შესწავლის შემდეგ უნდა ასწავლონ ათწილადი და არა მარტივი ნაწევრები, როგორც ამ ჟამად იქცევიან.

კახაბერი.

ლეგენდის განმარტება*)

1. ჩიხორიში.

მთის პატარა მდინარე ჩიხორიში ბუნებრივი საზღვარია მესხეთისა და ჯავახეთის შორის. სათავეთ ოზოლეთის (ნაოხარია) წყაროები აქვს, კობარეთის მთის ძირას. ერთვის მტკვარს მარჯვნიდან და აქ შესართავთან ჩიხორიში აშენებულია რკინის ხიდი, რომელიც სანაქებო გზატკეცილით (ფოსტის გზით) აერთებს ახალქალაქს და ახალციხეს.

2. ხველიშა

ჩიხორიშის ხიდიდან ასპინძისაკენ რო გაემართებით, ერთი ვერსის მანძილზე, გზა ტკეცილის ნაპირად, მარჯვნივ სდგას გუმბათ ჩანგრეული ძველი ეკლესია ხვე-

ლიშა ანუ ხვეჯისა. ხალხის რწმენით ვინც ხველით ავადობს, აქ ლოცვით იკურნება. ამ საყდრის სახელი დარქმევია მთის პაწია მდინარეს, რომელიც გვერდზე ჩამოუბრის და მტკვარში ათავებს თავის სახელს. ვილაც სომეხს, გზის მუშას, უხუმრია და ამ საყდარზე ზეთიანი წამლით დიდრონი სომხური ასოები დაუხატავს. აი ამაზედ არის ნათქვამი: „უპატრონო ეკლესიას ეშმაკნი დაეპატრონებინაო“.

3. ტამალა.

მთის გვერდაზე, ჩავარდნილ ადგილას, ფართე ლელეში გაშენებულია სოფელი

*) იხ. „განათლება“ № 5 ლეგენდა „სამშობლოს სიყვარული“.

ტამალა ანუ დაშაჲს, რომელსაც მდ. ჩიხორიში ჩამოჴრბის. ეს სოფელი საუფლისწულო ყოფილა, ამათ ბეგარად ედოთ მეფის კარზე ქორითა და მეძებრებით ნადირობა, სამსახური.

ასპინძის ომის დროს, აი, აქ დამალაში იყო სათადარიგო ჯარით ჩასაფრებული ტახტის მემკვიდრე გიორგი XII. თვითონ გიორგი მცირე ამალით ჩიხორიშის საყდართან ან ციხესთან იჯდა და ჟამს ელოდდა: „მამაჩემს მოჴკლავენ და მეც საჩქაროდ ჩავიჴრები თბილისში და მეფედ გამოვაცხადებ ჩემს თავსაო“... ბევრი უძახა მხცოვანმა მეფემ ირაკლი II: „სასწრაფოდ მოგვეშველე შესვენებული ჯარით, თორემ განსაცდელში ვართ, ომს წავაგებთო“... ბევრი ეხვეწა თვით შიკრიკი ექიმბაში ჩქარა, ბატონიშვილო, თორე მეფე გაცხარდა და ხმალდახმალ თავგანწირული ჩაერია ლეკთა ჯარშიო... ვშიშობ ცოცხალი ველარ ნახოო... გიორგი იმდენად რეგენი იყო, რომ სწორედ მაგ წამს ელოდა და მასთან ერთად ელოდნენ ირაკლის დაღუპვას ისინიც, ვინც ამ ომში ძალად ჩააბა...

ტამალაში დღეს არზერუმიდან გადმოსახლებული სომხობა ასახლია, ამათ აბარა ტრადიცია მოეთხოვებათ და ამათ მეზობელ სოფლიდან, ხიზამბაჩიდან *) დღესაც ჩვეულებად აქეთ ყოველწლივ ქუთაისში მიჴყავთ გასასყიდათ მეძებრები და უფრო კი ცხვრის ანუ ეზოს ქოფაკი ძაღლები...

ტაბალას მიდამოში დღესაც ქორი ბლო-

*) ქართველი კათოლიკენი ასახლია 2000 სულზე მეტი. საინტერესოა რა მსახურებით აუდიანთ და ოფიციალურად ეს ჴემსარიტი ქართველები მშვენიერი ქართულით მოლაპარაკებენ ხალხი სომხებად ჩაუწერათ.

მად ბუდობს და მეძებრებსაც ბევრს ინახვენ მეტადრე ბეგები: შალაშეთში მახაბლები, ოშოჩაში ავალიშვილები, ხოსნიაში ფალავანდიშვილები, ტოლთში ხიდირბეგიშვილები და სხვ.

4. სელიმ ფაშა ხიმშიშვილი

აქარის ბატონ-პატრონებად უხსოვარდროიდან ხიმშიშვილები იყვნენ და დღესაც პატივცემულ არიან აქარაში ზემოდ და ქვემოდ. სელიმ ფაშა თათრობის დროს დიდად განთქმული იყო. სულთანის შემდეგ პირველ დიდებულად ითვლებოდა მთელს ოსმალეთში. მაგრამ, ამასთანავე სელიმ ფაშამ საზარელი სახელი გაითქვა თავის ბოროტებით, მძვინვარებით. მისი ფართე ეზო ადამიანთა საყასპოთ იყო გადაქცეული. ამისთვის საგანგებოთ ჰყავდა ყიზილბაში ჯალათები დაქირავებული. ისე თვე როგორ გავიდოდა, რომ მის ეზოში რამდენიმე კაცი არ ყოფილიყო ბოძზე მიჯაჭული, რომელნიც ჯერით უცდიდნენ ტიჩანის *) ბრძანებას, ჯალათის ხმაოს; ჯალათს ხმლის ერთის შემოკვრით უნდა გაეგდებინებინა თავი, თორემ ვაი ახლა მისი ბრალი. ამ დროს თვით სელიმ ფაშა კოშკის აივნიდან სვირს უყურებდა, სტკებოდა, აღტაცებით შეაქებდა ჯალათის მარჯვენას, მის ბასრ ხმაოს. — ხალხის უმანკო სისხლი ცათამდე სჩქეფდა, სამართალს სთხოვდა ზეციერ მამას.

ისკანდერ-ბეგმა ეს მტარვალობა ასე ამიხსნა: „მაშინდელ დროში ეგ ადათად იყო — ვისაც უნდოდა სახელი გაეთქვა, ის სცდილობდა ხალხისთვის მეტი შიშის ზარი დაეცა — შიში ჴქმნიდა პატივსა. სელიმ ფაშას სახელის გაგონებაზე ყველა ცახცახებდა, მუხლები ეკეცებოდა. —

*) ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს მტარვალს.

— კარგი და პატიოსანი, ისკანდერ ბეგ, ეგ ვსტკვათ სელიმ ფაშა რუსეთი მეფის იოანე მრისხანეზედ უარესიც იყო, მაგრამ ე ხალხს რაღა ღმერთი გაუწყრა, როგორ უთმენდა ემოდენ სიმხეცეს?..

— რა უნდა ექმნა, როდესაც ხალხსაც ძმობა და ერთობის ძალა არ ესმოდათ, თორემ ერთს კაცს რა გაუვიდოდა. აი რა მოგახსენოთ, განაგრძო ახლა მუსტაფა ბეგმა: „ერთი აჭარელი ვილაც ბეგი წინაღულდგა სელიმ ფაშას და მოკვლას ემუქროდა, ეს რო სელიმ ფაშას მოხსენდა, წამსვე ბრძანება გასცა: „ვინც ცოცხალს მომგვრის ამა და ამ ბეგს 600 მან. მიიღებს და ვინც მკვდარს მომიტანს 400 მან. აკი გამოჩნდნენ ფულის სიხარბით დაბრმავებულნი. ყაჩაღათ გასული ბეგი ტყეში ბინადრობდა თავის მხლებლებით და აი როდესაც ეძინა, მძინარეს დაეცნენ (ალბათ მხლებლების ღალატით), შებოჭეს და მიაართვეს სელიმ ფაშას; ამ ფაშამ ლანძღა და ბეგიც რაღას დაერიდებოდა, სულ ერთია იცოდა, რო სიკვდილი ელოდა. ბოლოს სელიმ ფაშამ თავის ხელით ორი ტყვიით გასტენა დამბაჩა, ამოიღო ნიშანში და ორივე ტყვია შიგ გულში დასცა. ბეგი უსულოდ დაეცა. სელიმ ფაშამ გულზე ყური დაადო მომაკვდავს და სულ იმას სჩიოდა შე დონღუზო რა ერთბაშად მოკვდი არ დამაცალე ერთი ტყვიაც დამეხალა თავშიო“...“

ამ ამბავს მეორემ დაუმატა:

— მაგრამ რა; ბოლოს ის მოხდა, რომ სტამბოლიც კი შეძრწუნდა მტარვალის მხეცობით და სულთანმა ფირმანი გამოსცა: სელიმ ფაშას თავი გააგდებინეთ და აქ მომართეთო. სწორეთ იმავ ყიზილბაშმა ჯალათმა ხმლის ერთი შემოკვრით მწვანე მდელიოზე გაავარა სელიმ ფაშას ბოროტი თავი და მით უწია ხალხის ცო-

ლომ. კოშკიდან ჯერ სახლამდე არც კი მიეტანათ სელიმ ფაშას თავი, ჯერ სისხლი არც კი გაციებულიყო, როდესაც მეორე შიკრიკმა მოაქენა აქაფებული ცხენი: „სულთანის ფირმანია—ეპატიოსო“, მაგრამ გვიანლა იყო.

უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომის დროს (1877 წ.) ხიმშიშვილებში განთქმული იყო შარიფ-ბეგი, ბატონი და პატრონი ზემო და ქვემო აჭარისა. რუსებს ძლიერ ეფიქრებოდათ, შეუძლებლად მიაჩნდათ ამ მიუღდგომელ მთაადგილების აღება, მთის შვილების პარტიზან აჭარლების დამორჩილება, რომელთაც ტყეში ჩასაფრებულებს ათ პარტიზანს შეეძლო ასი ჯარის კაცის ამოხოცვა.—ძლიერაც რო ემძღავრა რუსს, მაინც დიდ ჯარს ჩაღუპავდა და საქმეც ძლიერ გაჭიანურდებოდა, მეორე დაღესტან შამილად გადაიქცეოდა, ამიტომაც ისევ ხერხს მიმართა რუსის მთავარ სარდალმა. შარიფ-ბეგის მეგობრული განწყობილება ჰქოდა ახალციხელ მიხეილ მეფისაშვილთან, რომელიც ცნობილი წინა კაცი იყო. აი ამ მეფისაშვილის რჩევით და მეგობრობით, თანაც დიდი უპირატესობის და ჯილდოს დაპირებით შარიფ-ბეგმა ნებაყოფლობით დაუთმო თავის სამფლობელო და შეუერთა საქართველოს თავის ღვიძლ დედას.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ რამ აიძულა შარიფ-ბეგი, რომ თავის წინაპრების რჯული, ქრისტიანობა მიიღო—ეს კი აღარ გვესმის, ნათლიად თვით იმპერატორი ალექსანდრე II იყო, რომელმაც ღენერალ ალიუტანტობაც ზედ დანათოლა.

ერთხელ კ. მეფისაშვილმა გვიამბო—ნევსკის პროსპექტზე შევხვდი ღენერლის მუნდირში გამოწყობილს შარიფ-ბეგს, ახლად მონათლულს,—მიულოცე ესოდენი

პატივი და დიდება—генераль Ачарский გამხდარხარ, ხიმშიშვილობას აღარ იკადრებ-მეთქი.

— „ვინჩხოზი კოსტა-ჯან; დამიხსენ წამიყვა აქედან, სული მეხუთება აქაურობაში“ და თან მუნდირის საყელოში იტაცა ხელი, კინალამ ჩამოიგლიჯა. —

ვისაც კი აქარაში უმოგზაურია, ყველა გაკვირვებულს არის: ან უწინ ქართველებმა როგორ დაუთმეს ოსმალს ეს მშვენიერი ქვეყანა აქარა, ან კიდევ რუსის ომის დროს ამისთანა მიუღდგომელ მთიან და ტყიან ქვეყანას და მის გულად ხალხს პარტიზანებს განა რა ძალა დაიმორჩილებდაო... მაგრამ მიხეილ მეფისაშვილის დიპლომატიამ და ისიც არავინ იცის იქნება რო შარიფ-ბეგსაც წრფელი გულით უნდოდა აქარელი ქართველი მაჰმადიანები დაებრუნებინა ისევ თავის ამაგდარ დედისთვის საქართველოსთვის. ამ გვარად ამ მთის, არწივმა შარიფ-ბეგმა გადუწყვიტა ბედი აქარის ხალხს და მათდა საკეთილდღეოთაც (ჩემის აზრით), რადგან ოსმალს ხელში მის ღღეში ვერ მიღწევდნენ ვერავითარ კულტურას, ამ აზრში მგონი რო ყველა აქარელიც დაგვეთანახმება. მხოლოდ ვიტყვი კი განმეორებით: რამ აიძულა შარიფ-ბეგი, რა საჭირო იყო, რომ მოინათლა—ეს კი ვეღარ აგვიხსნია. ნუ თუ არ შეიძლება მაჰმადიანად დავრჩე და იმავე დროს გულით და სულით ქართველი ვიყო, რადგან სისხლით და ხორციით მართლაც ქართველი ვარ ხომ, ნუ თუ მაჰმადიანობა დამიშლის ჩემს საყვარელ სამშობლო საქართველოს ბედნიერებას შევწირო ჩემი სიცოცხლე!.. აი ეს არის ღღევანდელი ჩვენი ქეშარიტი მცნება, ამას მოითხოვს ღღეს საქართვე-

ლოს ინტერესი და არა ქართველ მაჰმადიანების დანათვლას*).—

კულტურა, განათლება, ევროპიელების დაწვევა, გაევროპიელება, მათთან გვერდში ამოდგომა მეცნიერებით, ხელობით, ვაჭრობა-მრეწველობით—აი ჩვენი მიზანი რა უნდა იყოს და აი რა უნდა დავანთოლოთ ჩვენს ნაპოვნ მოძმეებს აქარელებს—დიად ბატონებო კულტურის ყოველი დარგი უნდა შევისწავლოთ და შევასწავლოთ უმცროს ძმებსაც. კულტურა და და ძმობა-ერთობის დედა-აზრი ბოლოს უეჭველად შეგვაერთებს ერთ მოსისხლხორცე ქართველებს რა რჯულის ქითაზუნდაც უნდა აღიარებდნენ ქეშმარიტ ღმერთს. ღმერთი ერთია და მისკენ ქართველები მისწრაფიან სამის გზით: 1) გზა მოსესი, 2) ქრისტესი და 3) მაჰმადისა.

მეოცე საუკუნეში რაღა დროს რჯულზე ლაპარაკია, ვის მოგიცილიათ ნეტავ ვიცოდეთ! ჩვენი წმინდა მოვალეობაა მომავალი თაობის წინაშე ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი—კულტურული ძალა, რომელმაც უნდა შესძლოს ევროპიელებთან მეტოქობა ინდუსტრიის ყოველ დარგში. თორემ... წავილეკებით, წავიშლამებით, ნიაღვარი ჩაგვთქამს, ჩაგვმარხავს. მარტოოდენ ქრისტიანობა ვერ დაგვიხსნის სამარცხვინო მონობიდგან, ყველანი თუ გინდ წმინდანებადაც გადაიქცეთ.

წ. ენგიჩარი.

ენგიჩარი ანუ ენიჩარი ოსმალური სიტყვაა, ნიშნავს ახალ ჯარს, რომელიც

*) ჩემს ახალგაზდობაში მეც გახლდით შემდგარი აზრისა. სხვა და სხვა დროს სსში სული ქართველი მაჰმადიანი მოფხათე. დიად ნათლია გახლავართ და სსსხელოთაც მიმანდა, მაგრამ ახლა კი მივხვდი ჩემს შეცდომას.

დაარსა 1330 წელს სულთანმა ურხან-მა*), ბროსეს გამოკვლევით უკანასკნელი ფაშა ათაბაგების (ჯაყელების) შთამომავლობისა იყო უსუფ III (1737—1744). უსუფ ფაშის (ჯაყელის) შემდეგ კი ოსმალოს სულთანი ახალციხის ფაშად ვისაც მოიქციებოდა, იმას ნიშნავდა ოსმალოთა გვარისას. აი, ამ დროს მეტად გაძლიერდნენ ახალციხეში ენგიჩრები და დალიბაშებიც.

სტამბოლში ენგიჩრებად იღებდნენ ქრისტიანთა შვილებს. რისთვისაც დამორჩილებული ქრისტიანი ქვეყნები მოვალენი იყვნენ ხარკის მაგივრად ყოველ წლივ ეძლიათ ათასი ყმაწვილი. მართლაც და სულთან ურხანის დროს ენგიჩართა რეგულიარული ქვევითა ჯარი ათას კაცისაგან შესდგებოდა, ბოლოს კი, როგორც ენახავთ, ბარე ასჯერაც იმატა—(ზოგი მკვლევარის სიტყვით თითქმის 200 ათასამდე ავიდა).—

ქრისტიან პატარა ბიჭებს ოსმალოს მთავრობა ურიგებდა თავის წინა კაცებს, რომელნიც ზრდიდნენ მაჰმადის რჯულზე, ასწავლიდნენ სამხედრო ხელობას, ვარჯიშობას და სრულ წლოვანებს ჩარიცხავდნენ ხოლმე ენგიჩართა ჯარში. სხვა ჯართან

*) ეს იყო შვილი და ტახტის შემკვიდრე ოსმანასი, რომელმაც დაარსა დინასტია 1299 წ. ამისაგან (ოსმანასაგან) მიიღეს თურქებმა სხელი ოსმანე, ოსმალო. ეს თარიღი (1299 წ.) იმას გვიმტკიცებს, რომ ოსმალონი თამარ მეფის შემდეგ გამოჩნდნენ, სხეულდობრ 87 წლ. შემდეგ. მაშასადამე ოსმალოებს არავითარი ბრადი არ მიუძღვით იმ ბარბაროსობაში, რომელსაც ჩვენი ისტორიკოსები (დიმიტრი ბაქრაძეს გარდა) ოსმალოთ მიაწერენ დავით აღმაშენებელის დროს და შემდეგშიაც.

ი. აღბ.

შედარებით ენგიჩრებს დიდი უპირატესობა და უფლებანიც ჰქონდათ. სამხედრო დავლა (ნადავლი) ხო მათი იყო და ამის გარდა კარგი ჯამაგირიც ეძლეოდათ ხაზინიდან. სწორედ ეს გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ მუსულმანებსაც სასახლოდ და საპატიოდ მიაჩნდათ ენგიჩრობა, მაგრამ მაინც ქრისტიანები (რენეგატები) ყოველთვის სჭარბობდნენ.

პირველი ერთი საუკუნე ენგიჩრების ჯარი მართლაც და დიდად სახელოვანი იყო თავის გულადობით, ომებში თავგანწირულ ბრძოლით და გამარჯვებით. ეს თავზე ხელ აღებული, ერთგული მხედრობა დიდს, დაუფასებელ სამსახურს უწევდა თვით სულთანების საქმესაც. ბოლოს და ბოლოს კი ენგიჩრები იქამდე თავს გავიდნენ, გათამამდნენ, რომ მათში აღარავითარი დისციპლინა აღარ არსებობდა. მათმა თავგასულობამ, აღვირწყაყრილობამ უკვე XV საუკუნეში იჩინა თავი. ამ ხანიდან ენგიჩრები იქამდე გაძლიერდნენ სტამბოლში, რომ მთელ ოსმალეთის პოლიტიკას, როგორც სურდათ, ისე ატრიალებდნენ. თვით სულთანები შიშით ძრწოდნენ, ხმას ვერ იღებდნენ. მხოლოდ სულთანმა სოლიმანმა (მე-XV საუკ.) გაბედა ენგიჩრების შემცირება, 40,000 დაიყვანა. მაგრამ შემდეგში ისევ 100,000 ავიდა. ადვილი წარმოსადგენია რა ძალასაც შეადგენდა სტამბოლში ეს თავის ნება მხედრობა.—

1699 წ. ენგიჩრებს ნება მიეცათ ცოლის შერთვისაც და მას მერე ენგიჩრობა უფრო განსაკუთრებულ კასტად გარდაიქცა—მემკვიდრეობითი წოდებად გახდა, მამის უფლება შვილზე გადადიოდა და სხვ...

ენგიჩრები რამდენსამე ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. თანაც უფლებებით, ჩაცმულობით, იარაღით ბევრად განირჩეოდა-

ნენ.—მეტი ნაწილი მხედრობისა ბოლოს და ბოლოს უჯამაგიროდ მსახურებდა და მაშასადამე ენგიჩრებს სრულებით კანონიერად მიაჩნდათ ხალხის დახარკვა თავის ოჯახის სასარგებლოდ. ვერც თუ ხალხის დარბევას, ცარცვა-გლეჯას დაუფიცვდით რასაკვირველია.

შეთვრამეტე და მეტადრე მეცხრამეტე საუკუნოებში ენგიჩრები იმდენად ჩამორჩნენ ევროპიულ სამხედრო ხელობას, რომ სრულებით დაიჩრდილა მათი სახელი. სამაგიეროდ პოლიტიკაში კი უფრო და უფრო ბრძანებლობდნენ. ენგიჩრები ხშირად ახდენდნენ ამბოხებას შიგ სტამბოლში. ამბოხებას ისიც უწყობდა ხელს, რომ მეტი ნაწილი ენგიჩრებისა შიგ სტამბოლში იდგნენ.

სულთან ახმედ პირველის ძმა მუსტაფა ხაზინის ოქროს მილიონობით აყრიდა ენგიჩრებს, ამითი მოიგო ამ ჯარის გული. მართლაც და 1617 წ. სულთანი ახმედი პირველი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მაგიერ ტახტზე დასვეს თავიანთ სასურველი მუსტაფა პირველი. მაგრამ სამ თვეზე მეტი არ უმეფნია—მუფთის ფეტმამ სულთანი მუსტაფა ჰკუთხე შეშლილად გამოაცხადა. ტახტზე ავიდა ახმედის შვილი ოსმანა მეორე (1618—22). ამის მეფობაში ენგიჩრებმა ომი წააგეს კაზაკებთან. სულთან ოსმანამ ისარგებლა ამ გარემოებით და განიზრახა სრულებით მოსპობა ენგიჩართა ჯარისა, რომელნიც ევროპიელებთან ომში აღარათ ვარგოდნენ, უფროც აფერხებდნენ ბრძოლის წესს, სამაგიეროდ კი პოლიტიკას და სახელმწიფო წეს-წყობილებას თავიანთ ქეიფზე ატრიალებდნენ. მაგრამ ენგიჩრებმა დაასწრეს: სულთანი ოსმანა მოჰკლეს და ტახტზედ ისევ ის თავისი საყვარელი სულთანი მუსტაფა პირველი დააბრუნეს.

1648 წ. სულთანი იბრაგიმი ენგიჩრებმა ჯერ ჩამოაგდეს ტახტიდან და მერე დაახრჩეს. ტახტზე დააბრძანეს მისი შვილის შვილი, შვიდი წლის ბავშვი, მაჰომედი მეოთხე (1648—87); ნამდვილად კი სულთანის მცირე წლოვანების დროს მთელს სახელმწიფოს ენგიჩრები განაგებდნენ—დიდ ვეზირიდან მოყოლებული უმცირეს მოხელემდე ენგიჩრები სულ თავიანთ სასურველ კაცებს ნიშნავდნენ.

1687 წ. ევროპიელებთან ომის დროს საშინლად დამარცხდა დიდი ვეზირი სულეიმან ფაშა (მოგაჩასთან). ამ ამბავმა დიდი თავზარი დასცა სტამბოლს, დიდად დაამცირა ოსმალოს პრესტიჟი, სახელი გაუტეხა. სტამბოლში დარჩენილი ენგიჩრობაც დიდად ააღელვა სულეიმან ფაშის დამარცხებამ,—მიჰყვეს ხელი სტამბოლის ცარცვა-გლეჯას, ხოცვა-ჟლეტას. სულთან მაჰომედმა აღარ იცოდა რა ექმნა. ენგიჩრების დასამშვიდებლად ფიანდაზზე მიართვა ენგიჩრებს სულეიმან ფაშის მოჭრილი თავი. მაგრამ მაინც ვერ გადაურჩა თვით სულთანი ენგიჩრების რისხვას. მაჰომედი მეოთხე ენგიჩრებმა ტახტიდამ ჩამოაგდეს და ჰის ნაცვლად ძალად აიყვანეს ტახტზე მისი ძმა სულეიმან მესამე (1687—94).—

ვერ იქნა და ვერავინ მოახერხა ენგიჩრების ან ალაგმვა, ან სრულებით მათი მოსპობა, დაქსაქსვა. მხოლოდ სულთანმა ახმედმა (1703—1730) მოულოდნელად გამოიჩინა დიდი გამჭირიანობა, უნარი და არ გაგონილი გაბედულობა. თუმცა თვით სულთანი ახმედი ენგიჩრების ამბოხების წყალობით იყო ტახტზე ასული, მაგრამ ვერ აიტანა ენგიჩრების თავგასულობა, მათი ბრძანებლობა. სულთან ახმედმა მწრაფლ დააპატიმრა ჯერ ენგიჩრების სარდლები, უფროსი აფიცრები და ყველა-

ნი მწრაფლვე სიკვდილით დასაჯა. თვით დიდი ვეზირი ახმედ ფაშა (ენგიჩრების დანიშნული) სტამბოლიდან მწრაფლ გააძევა, დაჰკარგა. ამ ზომებით მაინც ვერ შესძლო სულთანმა ენგიჩრების სრულებით მოსპობა, რომელთაც ისევ მოიკრიფეს ძალა, შეისხეს ფრთები და ახლა გამოჯაფრებული უფრო არ ასვენებდნენ სულთანს და სტამბოლს.

სულთანმა სელიმ მესამე (1789—1807), რომელიც ჭკუით და განათლებით ძლიერ მაღლა იდგა წინეთ ყოფილ ყველა სულთნებზე, უმთავრესი ყურადღება მიაქცია ჯარის და მხედრობის ევროპიულ წესზედ ახლად გაწყობასა. ამისთვის საფრანგეთიდან მოიწვია ინსტრუქტორები და სხვ... მიღვა ახლა ჯერი ენგიჩრებზე, მაგრამ არ იცოდა როგორ მოესპო ეს თავზე ხელ აღებული ავაზაკები, სახელმწიფო ორგანიზმოს საშინელი წყლული, დამპალი იარა. ბოლოს დაანება თავი ამ საკითხს. მაგრამ სწორედ ამ ნიჭიერ სულთანის დროს სტამბოლში მოხდა საშინელი ამბოხება და სისხლის ღვრა. ოსმალთ ფანატიკოსებს და მათს სასულიერო წოდებას, რომელთაც სათავეში ედგათ შეიხ-ულ-ისლამი (ჩვენებურად ქათალიკოზი), არ მოსწონდათ სულთან სელიმის გიაურებთან დაახლოება, ევროპიული რეფორმები. ისარგებლეს შემთხვევით; როდესაც ჯარი და მხედრობა, თვით დიდი ვეზირი და დიდებულნი წასულნი იყვნენ რუსეთთან საომრად (1806—12). აი სწორედ ამ დროს შეიხ-ულ-ისლამს ენგიჩრებიც მიეშველნენ, დანიშნულ დღეს უეცრად, სრულებით მოულოდნელად დაეცნენ სტამბოლში მყოფ ჯარს და ხოცვა-ჟლეტვა დაუწყეს. მთელი ორი დღე სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა. ენგიჩრების

მეორე რაზმმა იმავე დროს ალყა შემოარტყა სულთანის სელიმის სასახლეს და მოსთხოვეს სულთანს დღესვე სიკვდილით დაესაჯა ენგიჩრების არა სასურველი დიდებულნი და გამგებელნი. სულთან სელიმმა იმდენი გულადობა გამოიჩინა, რომ უარი შეუთვალა. მაშინ ენგიჩრებმა დააპატიმრეს სულთანი და დარაჯები მიუყენეს, ხოლო ტახტზე დასვეს მუსტაფა მეოთხე (1807—08)...

კიდევ ბევრი ოინები ჩაიდინეს ენგიჩრებმა, მაგრამ ბოლოს მათაც დაუდგათ აღსასრულის დღე. 1826 წელს სულთანმა მახმუდმა მეორე (1808—39) მიუხედავად იმისა, რომ ევროპიელებთან ჰქონდა ყველა მხრიდან დიდი ომი და საბერძნეთიც დაჰკარგა (1827 წ.), სწორედ ამ დროს გაბეზრებულმა სულთან მახმუდმა გამოაცხადა წმიდა მაჰმადის სახელით ნაკურთხი ომი ენგიჩრების წინააღმდეგ და მათ ამოსაწყვეტად. დაურიგა სტამბოლის მოქალაქედ თოფ-იარაღი და თვითონაც რეგულიარული ჯარით მედგარი იერიში მიიტანა ენგიჩრებზე. ხოცვა-ჟლეტვა მოხდა თვით სტამბოლის ქუჩებში და ენგიჩრების კაზარმებში. მთავრობის მომხრენი გააფთრებული უცვივდებოდნენ ენგიჩრებს პირდაპირ სახლებში და იქ ხოცავდნენ დაუნდობლად ენგიჩრების მთელს ოჯახს, ცოლსა და შვილს. ეს საზარელი ამბავი ისე უეცრად მოხდა, ისე მოულოდნელი იყო ენგიჩრებისთვის, რომ თავზარდაცემულებმა ვეღარაფერი წინააღმდეგობა ვეღარ მოასწრეს, ვეღარ მოახერხეს. ამ გვარად ორიოდ დღეში ამოწყვიტეს 20 ათასამდე ენგიჩარი და მათი გვამები ბოსფორში გადაყარეს. დანარჩენები დაიქსაქსენ, ძლივსლა მოასწრეს თავის შევლა. ამათვანი ზოგი ავაზაკთა ბრბოს მეთაური გახდა. ამავე დროს ზოგიერთა პროვინ-

ციებშიაც ამოჟლიტეს ენგიჩრები. ვინც შეიბრალებს, ისინიც ჯარებს დაუბრუნეს, სხვა და სხვა პოლკებში ჩარიცხეს თითო ოროლა. — სულთანმა მახმუდმა არც თუ დერვიშები ბექტაკები დაივიწყა, რომელნიც ყოველთვის დიდი მომხრენი იყვნენ ხოლმე ენგიჩრებისა. სულთანის ბრძანებით, თუ ფეტივი მუფთიას ძალით, ეს დერვიშებიც ყველანი დახოცეს, გაჟლიტეს.

სწორედ ამ სულთან მახმუდის მეფობაში რუსეთმა აზიის მხრიდანაც აუტეხა ომი და ახალციხე ამ დროს (1828 წ.) აიღო რუსეთმა. აზრუმის სერასკირმა თურმე ქოსა-ფაშა გამოგზავნა ახალციხის მისაშველებლად, მაგრამ გზაში გადაეღობნენ ენგიჩრები, რომლებიც იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ უკან გააბრუნეს ქოსა-ფაშა თავის ჯარით. ჩვენ აქ ვიყვეთ და მაშ თავი ცოცხალი რაღათ გვინდა, რომ ჩვენ

თვითონ ვერ დავიცვათ ახალციხე — აქედან ადვილი წარმოსადგენია რა დიდძალი ენგიჩრები აწვებოდნენ ხალხს ახალციხეში და მის მაზრაში. ახალციხეშიაც ბევრჯერ ჩამოუგდიათ თავის უნებური ფაშა და სხვა დაუსვამთ. ენგიჩრებს მკლავზე დადალული ნიშანი ჰქონდათ ენგიჩრობისა და სოფლად რო დაძრწოდნენ, მკლავზე ნიშანს კი აჩვენებდნენ და ის იყო და ის, ვინ ლა გაბედვდა ენგიჩრის წინააღმდეგობას, რასაც კი მოისურვებდა გალადებული ენგიჩარი, ყველაფერს უსრულებდნენ. დატანჯულები იყვნენ მეტადრე ქართველი სოფლები. აშკარაა ქრისტიანები ხო წამებულნი იყვნენ ყველა მხრიდან და ყველასაგან.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ერთი დღე თავისუფლად

მეცემ გადინდა. მისი აღმაცერი სხივები კიდევ ნახად ეამბოკება საცნებო არე-მარეს. რაჭის გზატკეცილზე ხან გამოშვებით ეტლები მიჰქროლავს. ვინ სამკურნალო წყლებზე მიემგზავრება, ვინ თავის ოჯახში, ქალაქის აფორიაქებულ ცხოვრებისაგან მოქანცული, დასასვენებლად მიეშურება. რევას გაბლადის ოჯახობასაც მიაქანებს ეტლი. რევასი დიდი ხანია რაც ქალაქში ცხოვრობდა, რაც ქალაქში გადმოვიდა, აქ დაცოლში იდდა, აკერ 11 წლის ვაჟი დათოცა ჰყავს, რომელიც რაჭაში არ უოფილა, თავის მამის სამშობლო სოფელი არ უნახავს. სამსახური რევასმა დაბადს საფეხურებიდან დაიწყო და უფრო მეტათ ხელმოკლეობა

იყო მიზეზი და არა თავის კუთხის უსიყვარულობა. წელს კი კარდაწვეტიტა ზაფხული რაჭაში, თავის სამშობლო სოფელ წრამში გაეტარებინა. ამ გადაწვეტილების ყველანი კმაყოფილნი იყვნენ, დათო კი უკვლავ შეტათ. ის შირდაშირ აღტაცებული იყო. მართალია ზოგ ზაფხულს აკარაკზე ატარებდნენ, მაგრამ ნამდვილი სოფელი კიდევ სხვაა. სოფლის ყოფა ცხოვრებაზე ხშირად უკითხავს დათოს და ენატრობდა, გულით ენატრობდა ერთი სოფლის ცხოვრების ნახვა, იქური სიამოვნების განცდა. ამიტომაც იყო დათო აღტაცებული. განა დათოს აკლდა რამე? ის ხომ დედის ერთა იყო, სათუთად ნახარდი,

რეაზი და მისი მეუღლე ელენე რას დააკლებდნენ, დათოს სურვილს სიამოვნებით ეგებებოდნენ: საბავშვო წარმოდგენა, სტრეკავო სლამო, ცირკი, ბაღებში სეირნობა, შობის ზე და სხ. ამისთანებები დათოს არ აკლდა.

ამასთან დათოს ადრე დაუწვეს განვითარება. თუ სადმე რასმე ამოიკითხავდნენ ან წიგნს, ან სათამაშოს, გონების გასაფარჯიშებელს, ხელად შეიძინდნენ. მშობლები ცდილობდნენ დათოს უოველმხრივი განვითარება მიეღო. შვიდი წლის იყო, როცა მუსიკის სწავლება დააწეებინეს, ამას მოჰყვა ხატვა, ცეკვა-თამაში, გერმანული ენა, სიმღერა; ამასთან გიმნაზიისთვისაც ემზადებოდა. ამგვარად დათოს ადრე დაედგა სწავლის უღელი. ხუთი წლისამ უკვე წერა-კითხვა იცოდა. ექვსის იმადენათ ხნოვანებისთან შეუფერებელი განვითარებული იყო, რომ მსხლობლები განცვიფრებაში მოხუავდა.

ცხრა წლის დათო I კლასში მიაბარეს. რის შემდეგ ის თითქმის მთელი დღე მოუცდელი იყო. გიმნაზიიდან თითქმის სამ საათზე ბრუნდებოდა. სადილს შემდეგ დიდი თუ საათ ნახევარი თავისუფლად ამოესუნთქა. „აბა, შვილო. მუსიკის გაკვეთილი მოამზადე, თორემ საცა მკვა მასწავლებელი“. მოჩვენა მუსიკას, ახლა დაიკვება ზარი და გერმანული ენის მასწავლებელი გამოცხადდება. ახლა ხატვაც და ამგვარად ერთი მეორეს სცვლის. ამაებს რომ მოჩვენა, აბა ახლა ხვალის გაკვეთილებს ჩაუჯექი შვილო, თორემ საცა ძილის დრო მოგიწევს, ეტყობა დედა. ამას კარდა, მამა რომელმაც ცოტა სიმღერა იცოდა, ხშირად ამღერებდა დათოს, აი ასე გადიოდა დრო და უაში დათოსთვის. ის კი მეტად მოძრავი, მკვირცხლი ბავშვი იყო. უუვარდა ბუნება, ცხოველები, თამაში, ჩაქუჩით და ხერხით მუშაობა, ჩიტების მახის დგება, ამხანაგობა, მათთან უახლობას თამაში, ის უოველთვის უახალი იყო, სხვები კი მღვერები და როცა

მას მოჰგლეჯდნენ თავის სუფარულ „საქმეებს“, აბა ახლა ეს ისწავლე, ახლა ესო, მართალია უარს არ იტყოდა, უხმოდ დაემორჩილებოდა, მაგრამ უნებურად გრძობდა, რომ სწავლა იყო მიზეზი მისი თავისუფლების შეზღუდვისა, და რაღაც სიძულვილის ნაპერწკალი გულში უღვივოდა.

აკერ დათო თავის ცუგრას უკანა ფეხებზე დგომას ასწავლის, აი, აი დადგა კიდევ. გაიღება ფანჯარა. „დათო, მუსიკის გაკვეთილის მომზადების დროა“. გამოსასხებენ.

აი, ეს არის გაბების ის გულ-წითელა გაბების, რა ლამაზია—აი, აი, ეს არის, ეს არის“, ფიქრობს კარს უკან ატრუსული დათო და მისჩერება კაპანათს. „დათო ხატვის მასწავლებელი მოვიდა“, გამოსასხებენ მას; ასე და ამ რიგად სულ ერთი და იგივე.

ეხლა კი დათომ ვველაფერი დავიწყებას მისცა. სოფელში მიდის და სიხარულით უიარაზე გადადის. „ცუგრა, ცუგრა, ჩემო ცუგრა, იცი, ჩვენ სოფელში მივდივართ, სოფელში. ერთი გაჩვენო ცუგრა მინდოდა, ველი, წყაროები, ურემზე დავსო, სამწიქსურში წაგიყვანო. იქ მგლებს ჰამ, ჰამ უთხარი, ცუგრა, კი არ შეგეშინდეს, კუდი არ ამოიძო. სოფლის ძაღლებში თავი არ შეირცხვინო, შენ ქალაქელი ხარ. წყალშიც გაბანავებ, გაგრილდები, ერთად ვიცურათ. ჰე, ჩემო ცუგრა, რას არ გაჩვენებ: იმდენი რამე ნახო, სიზმარშიაც არ მოგლანდებოდეს. სწავლისაგან კი გაგანთავისუფლებ. აღარ გასწავლი უკანა ფეხებზე დადგომას, აღარც „სტოიკას“, დაისვენე, არ გინდა სწავლა, ზაფხულზე თავისუფლება უნდა. აკი ჩვენც გაგვანთავისუფლებს სამი თვით! შენც ისე დათხრინილი ბრძანდებოდე სზაფხულდოთ; ჰე, მე კი, მე გამოცდა მაქვს, სთქვა დათომ და სახეზე დრუბელმა გადაურა.

რეაზის სამშობლო სოფელი წრობი ერთ საოცნებოთ მწვანით შეფუთვნილ მთის კალ-

თას იყო შეხიზნული. ამ მთის ძირში კი მდინარე რიონი ღრუღდა და გადადუღდა. უხლოვდება თუ არა სათავეს რიონი, კალაპოტს ქვითინი აქვს და ასე გეგონება მდინარე დულსო. რევაზმა თავის ოჯახობით სწორედ იმ დროს მიაღწია ს. წრობს, როცა მზე თავის უკანასკნელ სხივებს ამ მთის კალთას ჭებუნდა და უკან ჩასრდილი მკრთალი სხივები რიონის მდულარე ზვირთებში ჰქრთოდა. ჰქაერი სუფთა, შხატე, და გრილი იყო. დათო კარინდული იჯდა. მისი სრიალა თვალები ელვის სისწრაფით ერთი სურათიდან მეორეზე გადადიოდა. ამ დროს რომ გეკითხა რამე, ის ზასუნსაც ვერ მოგცემდა. ჩანთქა ბუნების მრავალეურობამ! დათო და ბუნება ამ წუთში განუერყვლი შეიქნა.

დათო ნელ-ნელა გაიტაცა სოფლის ცხვრებამ, რა თავისუფლებამ! მისი ტოლბი ბიჭები მიდი-მიდიან, საქმობენ, ქალაქში ურბი მარტო მიჰყავთ, გასასულიათ ქალაქში ხილი მარტო მიაქვთ, სამწყურში მიდიან, ზურგზე ჩანთით საგზალი მიაქვთ, წყალში ბანობენ მარტო, თეჯობენ, ყანასა და ბოსტანში მუშაობენ, ჩიტებზე ნადირობენ, ზოგს თოფიც კი აქვს, უვლას ამას შათი დედები არა თუ უშლიან, ავადებენ კიდევ ამა-თუ იმ საქმის მოგვარებას, ისე როგორც დიდებს. გზავნიან კიდევ ერთი სოფლიდან მეორეში, ქალაქში; არ ეშინიათ?! იმათ ისე უყურებენ როგორც დიდებს, ერთი სიტყვით ისინი ზატარა დიდები არიან. დათო გაიტაცა ამ დამოუკიდებლობამ, თავისუფლებამ, მათსავით საქმიანობა, წასვლა-წამოსვლა, ისე ძალზე მოესურვას, რომ თავის მოკრძალება გადალახა და დედას ნელ-ნელა შეაპარა და ბოლოს ძალზე დაუინებით მოთხოვნა დაუწყო: დედა, ტყეში გავევები ურემს, დედა ქალაქში წავალ, სამწყურში წავალ, საგზალი მამე, საბანათ გამიშვი, სათეჯზოთ, ესლა ცხენზე შემსვი,

ესლა თოფი მინდა, ჩიტებზე უნდა ვინადირო და სხვ. და სხვ.

— „როგორ შემოძლია, შეილო, ცხენმა რომ გადმოგაგდოს, რადა მეშველება, წყალში დაინრობი, სამწყურში ვინ იცის რა ბიჭებში ტაერევი, ურემი რომ გადაბრუნდეს და ქვეშ მოგიტანოს? თოფი ხიფათა, უერათ გავივარდეს, ვინ იცის“. აი ასეთ ზასუნებს დებულობდა დათო დედისაკან. როცა უველაფერზე უარის თქმა შეუძლებელი შეიქნა, დედა დათოს დაჩაჯათ თავის ძმას გააყოლებდა ხოლმე, რომ თვალყური დაეკავებინა, დათოს არაფერი დაშვებოდა. დათოს ეს არ მოსწონდა. ხშირათ წასვლაზე უარს ამბობდა. ავი დადიან, და არავინ მისდევს ხოლმე ვანოს, ჰეტრეს, ზარმენს, მე რადა ვარ? რატომ მე არ შემოძლიან?

ამ ვაი ვაგლახში ზათხულიც იზარებოდა, დათოს წასვლის დრო ახლოვდებოდა, და მასთან გამოცდის დროც. დათო კი მთელი ზათხული სწავლაზე გულ აურილი იყო. როცა სამცხადინთ დაუძახებდნენ, ის ხან ერთ კარში გაძვრებოდა, ხან მეორეში, ხან იგვიანებდა, ხან რადაც საქმეს მოიგონებდა, რომ მცხადინეობისთვის დროებით მანც თავი დაეღწია. რევაზ და ელენე დარდით აღარ იფუნენ: „რა ვქნა, დათოს ვეღარ ვცნობ, სწავლა შეძულდა, რა მეშველება, ეგზამენს ვეღარ ჩააბრებს“, თითქმის ტირილით იტყოდა ელენე. „გამიფუჭეს ბავშვი ამ შეჩვენებულენმა, ვის გაუგობია მაგის ურჩობა! დმერთო, რა მეშველება!“

მარიაობა დღე გათენდა. რევაზი და ელენე მახლობელ სოფელში დაპატოებულნი იფუნენ დღეობაში. რადგან იქ სმა და ქეიფი მოსალოდნელი იყო, უხერხულად ჩათვალეს დათოს წაფუნა.

რევაზის და ელენეს წასვლის შემდეგ არ გასულა ერთი საათი, რომ დათომ საბანათ წასვლა ითხოვა. მეც წამოვალ, დათო, უთხრა

ბიძამ, მარტო ვერ გაგვიშვებ.—ვერსად ვერ გამიშვებთ, ეს არ შეიძლება, ის არ შეიძლება; აქ ეს მოგივია, იქ ის! მეც არ შემიძლია, აი ვიკარგებო, მე ეხლა სულ ვიკარგები, ალარ მოვალ სახლში, ვეღარ მნახავთ, მიაფარა ზედიზედ სხაპასხუბით დათომ; მოწყდა ადგილს და მისცა თავი ტყეს. გაჭქრა დათო, მიიმალა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, უძახიან, ხმა არსით ისმის. მეზობლებში გაგზავნეს კაცები, არ არის. მთელი ოჯახი ფეხზე დადგა, გადიოდა საათები და დათო არ ბრუნდებოდა. მოვიდა მთხრობელი, დათო ტყეში ვნახეთ და აგრე სთქვა: მე სახლში ალარ მოვალ; უკუელ საათში სოფლის ბიჭებს სულ ახალ-ახალი ამბები მოჭქონდათ. დათო ეხლა ვნახეთ, წყალში ბანაობდა, ახლა თეგზაობდა, დათო თოფით ხელში ჩიტებს დასდევდა. ახლა ურემზე იჯდა და ეწერდა მიდიოდა. ახლა მწვესებში ერია და სხ. ტყუილიც არ იყო, დათო იმისთვის გავრდა, რომ ერთი თავისუფლათ გამოეცადა უკვლა ის სიამოვნება, რომელითაც სხვა სოფლის ბიჭები სარგებლობდნ და ის კი მოკლებული იყო. გარეგნულადც უნდოდა მათ დამსგავსებოდა. არ უფრთხილდებოდა ტანისამოსს, ეკალი რომ გამოედებოდა, გასწევდა, გახულოყო არ დასდევდა, ტალახში ამოგანგვლას არ ერიდებოდა. გაჯერდა დათო. საღამომაც მოაწია. ბუერი ეხვეწნენ სოფლის ბიჭები, თავიანთ სახლში ეხატვიებოდნენ, მაგრამ არ დასდათანხმდა.

შემოდამდა. დათოს ბიძაშვილმა, ახალგაზრდა თეკლემ, ნაკუწ ქაღალდზე ნახშირით დაწერილი შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო: „ჩემო თეკლე, ცოტა პური გამომიგზავნე, მთელი დღე მშვიერი ვარ. შენი სამუდამოთ დაკარგული დათო“.

თეკლე მამინვე ტყისკენ გაეშურა და წერილის მომტანის საშუალებით მიაგნო ხის ძირში მჯდომარე, ტანისამოს შემოფხრეწილ, ტალახში ამოგანგვლულ, სიმშლისგან შინაგებულს ჩვენს ვეზად გაჭრილს დათოს.

ძალზე რამ დადამდა, თეკლემ მშვიერ-მწვეურვალე დათო სახლში შეანარა. გაუნრდეათ მიეგდო დათო და მაგრათ დაიძინა, სრულიად დაკმაყოფილებული იმით, რომ უღარაჯრათ თავისუფლად განიცადა უკვლა სიამოვნება.

გავიდა ზაფხული. ქალაქში გამგზავრების დრომ მოადწია, დათო ნადვლიანათ ეთხოვებოდა საუკარელ არე-მარეს. და თან გულში ვარდათ მიჭქონდა მოგონება ამ ერთ თავისუფლად გატარებულ დღეზე.

დიდის შიშით წარადგინეს მშობლებმა დათო გამოცდაზე. დათოს მისცეს დასაწერათ: „როგორ გაატარე ზაფხული“.

დათომ სათაური შესცვალა: „ერთი დღე თავისუფლათ“. დათოს თხზულება საუკეთესო გამოდგა. ის ღდავიდა შემდეგ კლასში.

ლ. ელიავა.



უფსკკული

ხიდან მოწყვეტილი ფერ მიხდილნი ფოთოლნი უკანასკნელ ლოცვით ავედრებენ თავს ქარიშხალს...

სამარისებური დუმილი მეფობს სკოლაში. ფიქრებით გარემოცული მასწავლებელი მდუმარედ სდგას შეგირდების წინ.

მისი ხანგრძლივი სურვილი აღსრულდა, სურდა განათლების მფრქვევე ჩირაღდნით ევლო ბნელ წყველიან მოცულ სოფელში, მიაღწია სანატრელ მიზანს, უკვე სდგას შეგირდების წინ და რად მოჰფენია სევდა მის სახეს? რაღაც ეჭვი ღრღინის მის სულს. ნუ თუ შესძლებს ამოდენ შეგირდების აღზრდას? დაჟინებით შესცქერიან: შავი, ცის ფერი, ჭროლო, თაფლის ფერი თვალები და მოუთმენლად ელოდებიან პირველ სიტყვას თვის აღმზრდელისას.

რას ჩაფიქრებულხარ მასწავლებელო? გაგვაგონე შენი პირველი სიტყვა, ღრმად ჩავიმარხავთ მას გულის სიღრმეში. გვითხარი რამ მასწავლებელო.

რა უთხრა? რა ვიცი ვის წინ ვსდგევარ, შესაძლოა მათ შორის ბოროტნი, კაცის მკვლელებიც არიან, რა ვიცი რას უმზადებს მათ მომავალი? აღზარდე ისინი, მოჰკრიფე ყოველი კეთილი სიტყვა და მით აამეტყველე უსუსურთა ბავენი, შენ შეჰქმნი მათგან კეთილსა და ბოროტს უპასუხებს მისივე დუმილი.

მასწავლებელო! გვითხარი რამ.

— ბავშვებო! გიყვარდეთ ერთმანეთი... მისი ხმა თრთის, თავს ცუდათა გრძობს და ღონე მიხდილი ეყრდნობა მაგიდას.

მალე შეეჩვია შეგირდებს, აღარ აკრ-

თობს მათ თვალთაგან გამონატყორცნი ისრები, მაგრამ მისი სახე კვლავ სამგლოვიარო ქსოვილებით არის მოცული. იღუმალ ფიქრთან შეპყრობილი სული იწურვის მარტოობაში. რამოდენი გრძობა, ახალი შემეცნება ატივტივდება მის ფიქრთა მორევში და ვის განუზიაროს თვისი წუხილი? ბუნების მკერდს შეეფაროს? ბუნება ცუდათ გრძობს თავს, გრძობს სიკვდილის მოახლოებას და ქვითინით ესალმება სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს...

შორს, შორს გაისმის ზარის მწუხარე ხმა. ქვითინებს ლითონი და მისი ქვითინი ყრუდ ინთქება მღვევივით აზიდულ მთის ნაპრალებში; მდუმარედ გადასცქერის სამრეკლოს თალიდან სოფელს წამების ჯვარი. „მოვედით ჩემდა ყოველი მაშვრალნი და ტვირთ შიძიმენი“ უხმობენ მართლმორწმუნეთ. დღეს იქ შეიკრიბებიან გლეხები და ახალგაზდა მასწავლებელიც იქით მიეშურება გულოჩათბრობილი.

„მიწყალე მე ძეო ღვთისაო! მიწყალე მე“, გრძობით ჩურჩულებენ და სასოებით შესცქერიან ნაზარეველის სახეს. თრთიან და ნაზი შუქით ეღვარებენ სანთელნი...

უსაზღვრო სევდა მოჰფენია მლოცველთა სახეს, შეურაცხყოფილი სული ნათელ ისრებს ვერ ჰფენს ირგვლივ, ჩაღრმავებულ თვალებში გამკრთალა ღვთიური ცეცხლი, ფარულ ძალთა ძიებისთვის ისინი აღარ მხედველობენ. უგრძობია და ჩლოუნგი მათი სახე, მიწის მეფეს გულში ჩაუკლავს წყურვილი ნეტარებისა.

მასწავლებელო! შენი ვალია იხსნა ისინი ამ გვარ ყოფიდან, განკურნე მათი

დასახიჩრებელი გრძობა, კვლავ ალაღვი-
ნე მათ ხსოვნაში ტკბილი ხმა ნეტარები-
სა. ძრწოდე მთელი არსებით მომავლის
წინაშე, თუ არ ძალგის ნათელ სვეტათ
ექმნე ამ ბუნების წიაღში სახარლად მგმი-
ნავ გლახობას; ჩასჩურჩულებს მას იღუმა-
ლი ხმა და გამოურკვეველ ძალით შეპ-
ყრობილი ამ გვარ სიტყვებით ეგებება
ხალხს წირვის შემდეგ: — „მობრძანდით თა-
ვისუფალ ღროს სკოლაში, თქვენც ხომ
ადამიანები ხართ, ხომ გწყურიათ იცოდეთ
ცხოვრების სიტკობა და ნეტარება, მე
გაგიზიარებთ ყოველსავე ცოდნას, რაც
უძლიურმა მუშაკმა მოვიპოვე ფარულ ძალ-
თა ძიებაში“. მძიმედ დახარეს თავი, თით-
ქოს არც კი სმენიათ მისი მთრთოლვარე
ხმა, არასფერი უპასუხეს, მძიმე ნაბიჯით
მიეშურებიან თვის ქოხისაკენ.

მასწავლებლო! ამაოა შენი ლოდინი.
არც ერთი გლახი არ მოვა დღეს შენთან,
რომ გაეცნოს თვის ცხოვრების ბედს,
ისინი აღარ სუფევენ ამ ცხოვრებისთვის,
ვერავითარი ცხოველმყოფელი სხივი ვერ
მოაშორებს მათ გონების სივრცეს უმეც-
რების ნისლს. ის არასდროს არ მოით-
ხოვს პასუხს, თუ რად მიიყვანეს ამ გვარ
ყოფამდის. ზარის გოდების ხმაზე ტაძარ-
ში შეიკრიბებიან, თვის სულის ზენაარსს
შეავედრებენ და იმედ მიხდილნი დაუბ-
რუნდებიან თავიანთ კერას, მაგრამ შენთან
არიან ისინი, რომელნიც უნდა შეეგ-
მენ თვის მშობელთა მძიმე უღელს, ისინი
იხსენ ბნელ ძალთაგან, სიცოცხლის ლამ-
პარი აღანთე მათ გონების სიღრმეში. ნუ
დალონებულხარ, რომ არვინ მოდის დღეს
შენთან.

უკანასკნელ სალამს უძღვნის მღუშაძრედ
აზიღულ მთებს და ხრიოკ ტყე-ველს შე-

მოდგომის მზის აღმაცერი სხივები. უკა-
ნასკნელად მიჰყვებიან მაღლა, ჰაერის
ტალღებში ნიავის ფრთებს ძირს ჩამოცვივ-
ნული ფოთლები, რომ ერთხელ კიდევ
გადახედონ თვალუწვდენელ ბუნების წიაღს
და შემდეგ სამუდამოთ მიიძინონ საღმე
ხევ ხუვში. საკმაოდ გრილა, მაგრამ ბავ-
შეების ძარღვებში მჩქეფი მხურვალე სის-
ხლი ვერა გრძობს ამას, და უღარდელ
კიჟინით დარბიან ეზოში.

რალაც გტანჯავს, გაწუხებს, როდესაც
წარმოიდგენ ბავშვობის ხანას, თვალწინ
გიდგას აწმყო, რომელიც სულ განაბული
ელოდება რალაც საშინელს ტანჯვას და
მით უფრო გსურს დაუბრუნდე შენ სი-
ცოცხლის განთიადს, როდესაც მოუფიჭ
რებლათ მხიარულ ღიმილით ეგებებოდ
მომავალს.

მასწავლებელი ერთობა ბავშვების თა-
მაშით და ფეხ აკრეფით უახლოვდება მათ.
აბა ეხლა როგორ ჩამოკრას ზარი, რად
შესწყვიტოს ცელქების მხიარულება? მაგ-
რამ დაფრთხენ ბავშვები მის მოახლოებაზე.

— მასწავლებლო, დავრეკო ზარი?

— ჯერ არა! ვითამაშოთ! აი მეც თქვენ-
თანა ვარ.

ნელ-ნელ ცარიელდება ეზო, ნელ-ნელ
მიწყნარდა მხიარული კიჟინი. ის სათამა-
შოთ იწვევდა შეგირდებს, ისინი კი უკმა-
ყოფილო სახით გარბოდნენ—შენც ხომ
ბავშვი არა ხარ ჩვენთან ითამაშო?

აი იღუმალი პასუხი, რომელსაც ისინი
გამოხატავენ თვის მოქმედებით. ცარიე-
ლია ეზო, მხოლოდ ფოთლები უვლიან
ფერხულს მის ირგვლივ და იქ კი, სკო-
ლის დარბაზში, სადაც ბავშვები გაიქცნენ,
მხიარული ღრიანცელი გაისმის, მაგრამ
მოესმათ მასწავლებლის ფეხის ხმა და ჩა-
მოვარდა მკვდარი სიჩუმე.

ჩვეულებრივ წესრიგით მიჰქრიათ დრონი... რა არ განიცადა მან ამ ხნის განმავლობაში!.. ყველასაგან დავიწყებულს მრავალჯერ გაუტარებია უძილოთ შემოდგომის გრძელი ღამეები. ეძახდა სიყრმის მეგობრებს, სატრფოს, სულის სწორს, ქარიშხლის ფრთებს ატანდა შორეულ სალამს, მაგრამ სიგრცე ღუმილით აძლევდა პასუხს. ერთხელაც არავინ მოიგონა შორს, სოფლად გარდახვეწილი. იგრძნო მან, რომ წარსული არას დროს არ დაბრუნდებოდა, ველარ იპოვიდა მას, ის სამუდამოთ დაკარგული იყო მისთვის და თითქოს შეურვიდა თვის უფერულ აწმყოს, თითქოს დაივიწყა წარსული, თითქოს არც არასოდეს არ ყოფილა ის და ერთგვარ სიამოვნებას განიცდის შეგირდთა შორის. დღეს თუ არა ხვალ უნდა მოიმკოს, რაც დასთესა, რაც მორწყო ფარულ ცრემლებით. იფურჩქნებიან ნაზი კუკურნი, ჯერ კიდევ არ დასრულებულა სურათი, მაგრამ ხელოვანი გრძნობს მის სიდიადეს და აღფრთოვანებულია.

ხომ გინახავთ მცენარე გაშიშვლებული, რომელიც სულ განაბული ელოდება სიცივეს, ყინვას? მაგრამ მალე სულ მალე თოვლი შებურავს მას, ვიდრე გაზაფხული კვლავ არ შემოსავს ნორჩი ფოთლებით. მისი შიშველი სხეული ვინ შემოსოს? ტანთსაცმელი შემოაცვდა, სიტიტვლეს ველარ იფარავს თავმომწონე ქაბუკი. სიცოცხლე მოუწამლა სილატაკემ, არსებობის საღსარი მოუსპვეს მეფანშეებმა, „პური არსებისა“ გამოგლიჯეს ხელიდან. იქსადლაც შორს განმარტოებით მოხუცი დედა, შიმშილით ღონე მიხდილი, ებრძვის უძლურებას, აქ კი სანთელივით დნება ჯანსაღი ადამიანი... შიმშილით გულ-შელონებული შესცქერს შეგირდებს, რომელნიც

არხეინათ შეექცევიან თავიანთ საუზმეს და თავს ძლივს იმაგრებს, კბილების ღრქიალით უძალდება შიმშილის ნებას. ძალაუნებურათ გარეკა ყველანი სკოლის ეზოში, ფარულად გამოიღო მოწაფის მაგიდიდან პურის ნატეხი და თავი შეაფარა თვის ოთახს. ეზოში მხიარული ქრიამულია. რა იციან გულუბრყვილო შეგირდებმა თუ შიმშილით განაწამებმა მათმა აღმზრდელმა ჩაიდინა ის, რასაც „ქურდობას“ უწოდებენ?..

და ამ დროს გალადებული ადამიანი, რომელიც ერთი კალმის მოსმით ფიქრობს ცხოვრების აყვავებას, საშინელ ბრალსა სდებს ამ გვარ პიროვნებათ: „სოფლის მასწავლებელი არას აკეთებენ გარდა იმისა, რომ ქათმები ხრაკონ და რბილ სარეცელზე იგორონო“. ეჰ, შესაძლოა მსაჯულმა გულდამშვიდებით მოაწეროს ხელი სიკვდილის განაჩენს, მაგრამ ვინ შესძლებს წარმოიდგინოს ის სულიერი ტანჯვა, რომელსაც ჯალათი განიცდის, ვიდრე განაჩენს სისრულეში მოიყვანდეს? და ერთს მათგანს მართლმსაჯულს უწოდებენ, მეორეს კი საზიზღარ ჯალათს.

ვერ გაუძლო მკაცრ ტანჯვას და უმწეო ნაბიჯით გაემგზავრა ქალაქისაკენ, სურს ინახულოს თვისი თანამგრძობნი. იქ ხომ მრავლად არიან უკულმართ ცხოვრების წინააღმდეგ მებრძოლნი? ეტყვიან რასმე, დარიგებას მისცემენ, ანუგეშებენ მაინც, იქ შეხვდება სულის სწორს და ერთხელ კიდევ დასტკება მისი ცქერით.....

რა რიგ მოსტყუედა... არვინ აქცევს ყურადღებას, არვისგან სმენია ნუგეშის ხმა, მის სალამსაც კი ეკრძაღვიან, ვის კარებზედაც კი დარეკა ზარა, ყველგან უკმეხათ ეუბნებიან „შინ არ არიან“. უსაზღვრო სევდით აღვისილმა უაზროდ

დაიწყო ხეტიალი ქუჩებზე. ზიზლით უცქე-
რენ დაცვეთილ ტანთსაცმელში გახვეულს,
ხალხის გათვითცნობიერებისათვის მოღვა-
წე მუშავს. მაგრამ აი თვალი მოჰკრა მშვე-
ნიერ ქალწულს, ფერადი ტანთსაცმელი
უმშვენებს ლერწამივით შლილ ტანს, და
თავდავიწყებით გაექანა მისკენ. სიჩქარით
ფეხი წამოჰკრა რალაცას და დაფლეთილ
წალაში დაუფარავ თითზე მწარე ტკივილი
იგრძნო. მიუახლოვდა კიდეც, საიდუმლო
სიტუბოებით გამომეტყველი თვალები მიაპ-
ყრო თვის ხატებას...

შეკრთა ასული, ზიზლი იგრძნო მის
დანახვაზე... მკაცრად შეკრა წარბი და
თვალი აარიდა... მწუხარედ ჩაჰკიდა საბ-
რალომ თავი და ლაწვებზე ცრემლები ჩა-
მოეკიდა...



ისევ დაუბრუნდა სოფელს და აი ეხლა
ფერმიხდილი სდგას შეგირდების წინ. შე-
გირდები სიყვარულით შესცქერიან მას.

— მასწავლებლო! კიდე გვიაშბე რო-
გორ მოსტაცა ამირანმა ცეცხლი ცის სა-
კუთხეველს.

— ეხლა დრო არ არის, გამოცდის
დრო ახლოვდება, გაკვეთილები უნდა
გავიზებროთ. აბა დაიწყე გაბრო?

— Жиль был у бабушки...

— ეგრე არ არის.

— Жиль был у бабушки.

— У бабушки.

მთელი საათი ეწვალა. ვერ შეაგონა
მართლ გამოთქმა, მოთმინება ეკარგვის,
სახეზე სიწითლე აწვება და ოხ, საშინე-
ლებავ! ოჰ, უფსკრულო! მასწავლებლის
ხელის თითები წითელ ზოლებათ დააჩნდა
საწყალ შეგირდის სახეს.

უფსკრული, უფსკრული საშინელი იშ-
ლება მის წინ, როგორღა გაასწოროს
თვისი შეცდომა? მოეფეროს? მიუალერ-

სოს? აღარასფერი შევლის; სამარისებურ
დუმბილში გაისმის ბავშვის ქვითინი, ვით
გულჩათხრობილ ნაკადის დუდუნია.

მტარვალო! უღობივლო! გვეცემე! გვეტან-
ჯე! დასტკბი ჩვენი წამებით, იხატვის ყო-
ველ შეგირდის თვალთა იდუმალ გამო-
მეტყველებაში.

ველარ გაუძლო სინდისის მხილებას და
ყრუ ხმით წამოიძახა:

— წადი სახლში! ყველანი წადით!

განცვიფრებული ბავშვები გარბიან ში-
ნისკენ. უჩვეულო დროს დაიხურა სკო-
ლის კარები.

სიცოცხლის ვნებით დაღლილი გადასცქე-
რის ჩანჩქერს, რომელიც თავგანწირვით
ეხეთქება ძირს ჯურღმულში. სიცოცხლე
უყვარს და რად უნდა სტანჯავდეს სიკვ-
დილზე ფიქრი?

— არავინ მიწვდის სანუგეშოთ ხელს!
რად უარმყავით! რა დანაშაული მიმიძ-
ღვის? რა დაგიშავით რა, ადამიანებო!
სატრფოვ შენც ზიზლით პირი იბრუნე
ჩემგან, თითქოს მე ვიყო დანაშავე, რომ
გამსრისა, გამანადგურა მუხთალმა ბედმა.
იყავ ბედნიერ, მე მაინც ვერას დროს ვერ
გავებდავდი შენს მთრთოლვარე მკერდის
შებებას, რადგან სამუდამოთ დაკარგავდი
უმანკოებას. ცა მიწის წიაღზე გადატყორ-
ცილ წვიმის წვეთებს კვლავ დაიბრუნებს
მის მკერდზე ანარეკ ორთქლით, ქალწუ-
ლი კი ვერას დროს ვერ დაიბრუნებს
უმანკოებას. ვერ გაუძლებ ამოდენ ტან-
ჯვას, მშთანთქავს სამარე და იქ ვიგრძნობ
მწველ ალერსს, შემომეხვევა გველი და
თავდავიწყებით დაეწაფება ჩემს მკერდს!
შენც იყავ კურთხეულ, ჩემო სატრფო, ქვე-
წარმავალო. მხოლოდ ბავშვები შემომ-
ცქეროდნენ სიყვარულით, მხოლოდ მათი
სული მოილტვოდა ჩემსკენ და ჩვენს შო-

რისაც გარდიშალა უფსკრული, ერთს მათგანს ვსცემე ღღეს. ვსცემე! ხა! ხა! ხა! ველურ საშუალებას მივმართე; სალი აზროვნება ხომ დახშულია მშიერთათვის?..

აღმოხდა მას და ცრემლებმა ღვართქაფით იწყო ფრქვევა.

... ნელ ნელ მოსწყდა ჩამავალი მზის სხივი მთის მწვერვალს, წელ-ნელ გაშალა ფრთები ღამის წყვილადმა...

ხის მწვერვალებს დაეცა მთვარის სხივი და ტოტების ჩრდილი შავ გველებივით

გაწვა მიწაზე... მოშორდა ჩანჩქერს... ცაცხვის ძირას დაემხო პირქვე და მწუხარედ აქვითინდა. ნაზად ჩაიკრა გულში მიწამ მისი მხურვალე ცრემლები, დიდხანს სტიროდა, თითქოს წამწამნი ვერ უძლებდენ ცრემლთა მძივების სიმძიმეს და ნელ-ნელ დაიხუჭნენ.

განთიადისას ღონე მიხდილი დაბრუნდა შინ და ფეხ აკრეფით შეიპარა თავის ოთახში.

მის. ბოჭორიშვილი.

ვნახე ყვავილი

ვნახე ყვავილი, ვნახე ია მე,
სულის კავშირი, გულის სიამე,
გაზაფხულისა სხივი პირველი.
თავს დაჰხაროდა, შვების მომგვრელი!
მიველ დავხედე, კოცნა მინდოდა,
ტრფობის ჩიტუნა მისკენ მიჰქროდა—
გული სტკებოდა,
გული სტკებოდა!..

* *
ფრთა შვენებისა ჩემად დავსახე,
მივეალერსე, ხელი შევახე,
მქონდა რწმენა მე—ია ამელო,
გულში ჩამეკრა, გული გამელო!..
ვუთხარ, შვენებავ, მეც გამახარე,
შვების გვირგვინი მორთე, მახარე;
დარჩი, დამატკებე,
დარჩი, დამატკებე!..

* *
დავხედე ყვავილს, ილიმებოდა,
თვალი სიამით ეცრემლებოდა,

სიცოცხლის ფრთები შეისხა ბედმა,
გაინავარდა გულში იმედმა!..

ვაკოცე ყვავილს, ეცინებოდა,
ის მუღმივ ტრფობას მეფიცებოდა,
მეც მიხაროდა,
მეც მიხაროდა!..

* * *
განვლო ღრო-ჟამმა... ვნახე ყვავილი,
ყვავილი ტურფა, არსება ტკბილი,
სევდა მეწვდა, ია სწყრებოდა,
ის ახლა სწვისკენ იცქირებოდა!..

* * *
ეჰ, სიყვარულო, წუთის ყვავილო,
ხან გესლო გველის, ხან თაფლო ტკბილო,
მე მაინც მიყვარს უცხო შვენება,
მარად მას ვეტრფე, გულს ეფინება!..
დეე ვიტანჯო, მას ვენაცვალო;
თუ ჩემი სატრფო სხვაზე გავცვალო!..

გელა.

დიდი-ჯიხაიში.

ზარნაშოს მოთქმა

(ეგ. ნინოშვილის სსენებას)

მაღალ, ცამდე მიბჯენილ მთების ტერფებ შორის გადაშლილიყო ხრიოკი, უნაყოფო ველი.

მნათობთა სხივები მთების შუა წელამდისაც ვერ ახწევდნენ და ყურყუმ ბნელში ცახცახ-თრთოლით იკარგებოდნენ.

თუ მთის თხემები მზის სხივებისგან მო-

ქარგულ ჯილით მშვენიერდებოდნენ—დაბლა ხევ-ხევი უინჯოლის ნისლი მძიმედ სწვდებოდა.

მაღლა მჩქეფრობდა წყარო შვებისა... ძირს გაშლილიყო გლოვის უდაბნო.

მაღლა ისმოდა წინწილ-ებნის უცხო წკრიალი. ძირს ცრემლითა ჩანგზე გაისმოდა საგოდებელი.



ეგნატე ნინოშვილი.

(გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო)

მთების კონცხიდან მგოსანთა გუნდი ოცნების კიბეს აშენებდა ფირუზოვან ცად ასასვლელადა.

დაბლა კი... დაბლა ჰხითხითებდა უიმედობა ყვითელი პირით... ჩონჩხად ქცეულნი ადამის ძენი ცრემლებით სწერდნენ ბნელს მათიანეს ცხოვრებისასა.

მთის მწვერვალებზე ყვავილთა ბუჩქის სურნელოვან მტვრით იტკბარუნებდა პირს ცქვიტი სიო.

დაბლა კი ტოტებ გადმოშვებული იღველფებოდა მწირი ტირიფი.

მის ტოტებზე ჩამომჯდარიყო ზარნაშო და მოსთქვამდა გულ ამოსკვნითა.

მტანჯველი იყო იგი მოთქმა.

სამოთხის დამკარგავ პირველ კაცთა მოთქმაში არ გაისმოდა იმდენი ვიში, რაოდენიც ზარნაშოს ვალალებაში.

პარნასად ხმობილს მალალ მთის მხრებზე ყველა ჰკვირობდა ზარნაშოს მოთქმას:

„ნეტავ რა უნდა იქ, ბნელს წყვილში.

„ვის უგაფობებს?

„ხომ არ ჰყვავიან იქ შგების ვარდნი?

„არ შადრევენობენ იქ ცისკრის სხივნი.

ჰეი, ძმობილო, გადმოსძახა ცქვიტმა მერცხალმა: მანდ რას ჰქვითინებ? ამოფრინდა აქ, ფირუზს ეთერში გავჰკრათ კამარა.

მემრე იცი რა წარმტაცია აქ ბუნება?

იცი, რა რიგათ შეეშხულია ბალნარწალკოტი?—ღიახ, ღიახ, დაუდასტურა მერცხალს ტოროლამ:

წარმტაცი არის აქ ყოველივე.

მთელი ქვეყნის მგოსანთა ოცნებაც კი

ვერ შეჰქმნის იმ მშვენიერებას, რასაც აქა აქვს ტახტი დადგმული.

მაშ ნუ ახანებ, ამოცქრიალდი წუთის უსწრაფეს. ლაქვარდსა ცაში ჩავაწკრიალოთ ტკბილი ზევსური.

ზარნაშო პასუხად მოსთქვამდა:

ჩემს გულს არ სწვდება, მშვენიერებო, თქვენი ძახილი. არ მაჯადოებს ეგ სანავარდო ოცნების მხარე.

ჩემი აკვანი—ჩემი ტრფიალი ჩაუხვევია ჰმუნვას უბეში...

ნაცვლად იმისა, რომ კაცთა პირზე თრთოდეს ჰელლადის ღმერთთა ღიმილი - განწირულებას შეუქმნავალია მათი გულები...

ჰკენესდა ზარნაშო...

მაგრამ იმავ დროს იმის კვენესაში ნოტაც თრთოდა სასოებისა:

ადამიანი არ იქნება მარადის მონა. ერთხელაც არის ჰნახავს სიზმარს გაზაფხულისას... ერთხელაც არის დაესიზმრება ასული მზისა...

ერთხელაც არის ამოიჭრება უკუნეთიდან...

წყვილიადის ქურუმთ ჩამოურეკავს ზარსა ზღვევისას...

მანამდის კი მე უმღერებ გრძობით მზის სამეფოზე...

ეგების აღრე აღვაგზნო ცეცხლით... ეგების აღრე დავატოვინო ჰმუნვის უდაბნო.

ჯერ კი... ოხ ჯერ კი ნუ მომიწოდებთ ლაღნო ფრთოსანნო...

დ. თურდოსპირელი.



დიდი ადამიანის შესაფერი ძეგლი

თავდადებულმა იაკობ სვიმონის ძემ დიდი სიმდიდრე დაუტოვა ქართველ საზოგადოებას. სიცოცხლეში ქართული სკოლისათვის დაუღალავად მზრუნველი, იმასაც კი ფიქრობდა, რომ გარდაცვალების შემდეგ არავინ შეეწუხებინა. ამით

აიხსნება, რომ საფლავზე ძეგლის დასადგმელად საგანგებო თანხა დასტოვა.

მაგრამ ის ძეგლი არა კმარა ჯიმისთანა მოამაგე და თავდადებული ადამიანისათვის, როგორც იყო ძვირფასი იაკობი... იმის წიგნებზე აღზრდილმა აუარებელმა



იაკობ გოგებაშვილი.

(გარდაიცვალა ივნისის 1—1912 წ.)

ქართველობამ და განსაკუთრებით მასწავლებლობამ ღირსეული ძეგლი უნდა დაუდგას ღირსეულ ადამიანს.

რა ძეგლია? იკითხავთ.

ეხლავე მოგახსენებთ.

განსვენებულმა იაკობმა დასტოვა საახუნაურო გიმნაზიის მახლობლად სასახლე ადგილი. აი ამ ადგილზე უნდა აშენდეს იმის სახსოვრად სამასწავლებლო სახლი, სადაც იქნება დარბაზი ლექციების მოსაწყობათ, სასკოლო მუზეუმი, ბინა თბილისში სამეცადინეოთ ჩამოსულ ქართ. მასწავლებელთათვის... ერთი სიტყვით, ეს იქნება იმნაირივე სახლი, როგორც არის სამასწავლებლო სახლი მოსკოვში, როგორსაც აპირებენ პეტერბურგში, ხოლო


იქ თუ უშინსკის სახელზეა, აქ იქნება ი. გოგებაშვილის სახელზე და ქართულ მასწავლებელთა ამაღლებას და განვითარებას შეუწყობს ხელს.

აქვე შეიძლება გაიმართოს სამაგალითო სკოლა, დაარსდეს პედაგოგიური საზოგადოება ძვირფასი მასწავლებლის სახელობაზე და სხ..

ამ დიდი საქმის დაწვრილებითი განხილვა და მოწყობა, რასაკვირველია, მომავლის საქმეა.

ეხლა მე მინდა ქართველ საზოგადოებას და განსაკუთრებით მასწავლებლებს განუზიარო ეს ჩემი მოკლე აზრი დიდი ადამიანის შესაფერი ძეგლის დადგმის შესახებ.

ი. გომელაური.




† ალექსანდრე სარაჯიშვილი

ამ ცოტა ხანში განგებამ თითქოს მარტო ჩვენზე მოიცალა, წუთის სოფელს გამოაცალა ჩვენი სცენის მოამაგე დამახურებული არტისტი კოტე მესხი, შორეულს ქვეყანაში საპრობილეში გარდაიცვალა თავისუფლებისათვის მებრძოლი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მწერლობაშიაც უკვე ცნობილი მელიტონ გოჩებია. უწყალო სიკვდილმა არ დაინდო უანგარო მუშაკი ჩვენი ეროვნული საქმეებისა, ჩვენი ეთნოგრაფიული საზოგადოების სულის ჩამდამელი ალექსანდრე სარაჯიშვილი. იშვიათი მოღვაწე გამოიწვევს ისეთს გულწრფელს მწუხარებასა და გლოვას, როგორც ამ იშვიათ თვი-

სების ადამიანმა გამოიწვია საზოგადოთ მისს ნაცნობებში. საკვირველიც არ არის, ალექსანდრე სარაჯიშვილი ნამდვილი საქმის კაცი იყო, სულითა და გულით სპეტაკი, უმწიკვლო და გულშემატკივარი მოყვარული თავის ქვეყნისა, მწერლობისა, რომელშიაც შეჰქონდა თავისი წვლილი. მან პირველმა გაარჩია და გაცხრილა სერიოზულად ვეფხის ტყაოსანი“; უკანასკნელად მწერლობაში მონაწილეობას იღებდა „რიშ ბაბას“ ფსევდონიმით.

ამ ბოლო წლებში ალექსანდრე სარაჯიშვილმა დაუფასებელი ამაგი დასდო საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს; ყოველს დაწესებულებაში საქმის სიაყარგე



ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი.

იმ მუშაკ ადამიანზეა დამოკიდებული, რომელიც საქმეს უძღვება—საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმეში ალექსანდრე სარაჯიშვილი იშვიათს მოღვაწეობას იჩენდა

და სამართლიანადაც მიაწერენ მას ამ საზოგადოების დიდი მოჭირნახულის სახელს, რომელიც უკვდავი დარჩება საზოგადოების ისტორიაში.

გამოცდები კიცხის სკოლაში

(წერილი ს. გიციხიდან)

ველს მქონდა შემთხვევა დავსწრებოდი მოწაფეების გამოცდებს კიცხის ორ კლასიან სასწავლებელში. სანამ ჩემ შთაბეჭდილებას გაუზიარებდნენ მკითხველებს კიცხის სკოლის შესახებ, მინდა მოკლეთ ვსთქვა ნიშნებისა და გამოცდების მნიშ-

ვნელობის შესახებ. ვიცი, რომ ახალი პედაგოგია, რომელსაც აქვს საფუძვლად თავისუფალი აღზრდის პრინციპები, სრულიად წინააღმდეგია მოწაფის გამოცდისა და საგნების ცოდნის ნიშნებით დაფასებისა. ჩემის აზრით ეს მოვლენა, თუმცა

პატარაა, მაგრამ მინც უკლდმართ მხარეთ უნდა ჩაითვალოს ჩვენი თანამედროვე სკოლის ცხოვრებაში, ამაში სრულიად დამარწმუნა კიციხის სკოლაში გამოცდებმა: ოფიციალურად მოწვეული გამოცდის კომისიის წევრები აძლევენ კითხვებს მოწაფეს ამა თუ იმ საგნიდან; მოწაფე ეგზამენტორებს შეჰყურებს, როგორც მისთვის დასასჯელათ მოწვეულ მსაჯულებს; მოწაფეს სახე ხან უწითლდება, ხან სრულიად ეკარგება ფერი, თრთის, ეშინია, პასუხის თქმას ვერ ახერხებს, თუმცა მზადა აქვს გულში, გამოთქმას ვერ ახერხებს, ერთი სიტყვით მოწაფე ვარდება უხერხულ მდგომარეობაში; კითხვა-პასუხის შემდეგ კომისიის წევრები იმდენს ბჭობდნენ და ჰფიქრობდნენ ნიშნების მოწერის შესახებ, რომ კაცს ეგონებოდა სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთო. გულ-შეწუხებული მოწაფე თავის ადგილიდან შეჰყურებს ნიშნების მომწერს ხელში, გული უძგერს უნდა გაიგოს **მალულად, ჩუმათ** თუ რა ნიშნით გადაწყდება მისი ბედილიბალი.—ჩემის აზრით, გამოცდის და ნიშნების უარყოფითი მხარეს უნდა მიეწეროს ის გარემოებაც მე V—განყოფილების ბევრ მოწაფეს ჰქონდა საგნებში მასწავლებლისაგან მოსმული წლიური ნიშნები 4 და 5, მაგრამ ამ მოწაფეებმა ვაზუნდაც ვერ უპასუხეს. რასაკვირველია, მასწავლებელი უფრო იცნობს თავის სკოლის მოწაფეებს; იცის თვითოეული მოწაფის ფსიხოლოგია, იცნობს მის სულისკვეთებას, იცის თუ როგორ აქვს შეთვისებული საგნები, ერთი სიტყვით ის უფრო დაახლოვებულია მასთან, ვინემ უცხო მასწავლებელი, მან უფრო იცის რომელია ღირსი შემდეგ განყოფილებაში გადასვლისა. რაც უნდა მოხერხებული და გამოცდილი იყოს უცხო მასწავლებელი,

ეგზამენატორი, ვეჭვობ, რომ მან ორისამი საათის განმავლობაში რომელიმე განყოფილების თითოეული მოწაფის რაოდენიმე კითხვა-პასუხით გაიგოს მოწაფის ცოდნა სწავლა-აღზრდის მხრივ.

ამ გარემოებაში კერძოთ კიციხის სკოლის გამომცდელებს კი არ ვდებ ბრალს; ეს ყველგან ასე ხდება ჩვენ სკოლებში, გიმნაზიებში და მეც საერთოდ ვამბობ ჩემს აზრს გამოცდისა და ნიშნების მნიშვნელობის შესახებ.

ეხლა მოგახსენებთ მოკლეთ საკუთარ შთაბეჭდილებას კიციხის სკოლის შესახებ: მე-V—განყოფილებამ, რომელსაც ასწავლიდა ს. აბულაძე ვერ გამოიჩინა ყველა საგნებში ჯეროვანი მომზადება; ს. აბულაძე ნიჭიერ და ენერგიულ მასწავლებლათ ითვლება და ამიტომ მისგან მეტს მოვითხოვთ; ს. აბულაძე ხალხში მოქმედობს, მუშაობს: არის მოანგარიშეთ კიციხის წვრილი კრედიტის ამხანაგობისა და სხვა. რასაკვირველია სასოფლო კულტურული საქმიანობა მას ბევრ დროს წაართმევდა - ხალხში მუშაობაც მასწავლებლის ხომ საჭიროა და საქებურიც. მოწაფეების საზოგადო მეტი ყურადღება მიუქცევია მასწავლებელს აბულაძეს, რაიცა სჩანს, სხვათაშორის, მოწაფეების მიერ ქართულ ენაზე თემიდან („ჩემი იდეალი“), ეს, რასაკვირველია, ფრიად საჭირო და სასიამოვნო საქმეა.

მე-IV—განყოფილებამ, რომელსაც ასწავლიდა ბ. კიკნაძე შესამჩნევი ცოდნა გამოიჩინეს განსაკუთრებით ქართულ ენაში: მოწაფეები, ეროვნულ შინაარსის ლექსებს, შესაფარი დეკლამაციებით და ინტონაციებით ჩინებულათ ჰკითხულობდნენ. ამ მასწავლებელს ქართული ისტორიაც უსწავლებია მოწაფეებისათვის ს. ქვარიანის სახელმძღვანელოდან.

მასწავლებელ ა. ლომინაშვილის მესამე განყ. მოწაფეები გარდა ქართულ ენისა საგნებში უპასუხებდნენ; ქართულ ენის ცოდნაში კი ძალიან კოჭლი ყოფილან: მოწაფეები მახინჯის ენით დიაქნეურათ ჰკითხულობდნენ ლექსებს; საერთოდ, ლომინაშვილის თავის განყოფილებაში უკანასკნელ საფეხურზე ჰქონია დაყენებული ქართული ენის სწავლება, მაგ. მოწაფე ვერ სწერდა ნუმერაციას, როცა მას ეუბნებოდნენ ქართულად დაეწერა რიცხვი, როცა რუსულათ ეუბნებოდნენ რიცხვის სახელწოდებას, მაშინ კი სწერდა*).

*) ბავშვის გონებრივად გადაგვარება სკოლებში სწორედ არითმეტიკის სწავლებიდან იწყება, თუ ამ საგანს დედაქნის საშუალებით არ ასწავლიან და აზრთვნებსაც ქართულად არ უფითარებენ. ასეთი სკოლა და მასწავლებელიც სწორედ დასაჯმობია, რადგანაც ორივე ხელს უწყობენ მოწაფის სულეურად გადაგვარებას.

თალია ჩვენი სკოლის მოხელე „პოლიტიკანები ძველებურად განავრძობენ ქართული ენის დევნას სკოლებიდან, მაგრამ მასწავლებელმა მაინც არ უნდა მოიხაროს ქედი ამ უკუღმართობის წინაშე არ უნდა დაემორჩილოს მოხელის სკოლისათვის უკუღმართ მოთხოვნისებებს; თუ სურს მასწავლებელმა მიზანს მიადწიოს, ყველა საგნების სწავლების დროს უნდა ხელმძღვანელობდეს ქართული ენით, თითოეულ საგანს საფუძვლად უნდა დაუდოს დედა-ენა, თორემ უიმისოდ ვერც ერთ საგნებს ვერ შეითვისებენ მოწაფეები კარგად.

საღვთო - სჯულის სწავლების საქმე მღვდელ მიხ. ბუაჩაძეს ყველა განყოფილებებში კარგად ჰქონდა დაყენებული; მესამე განყ. ქართულად უსწავლებია საღვთო ისტორიები.

გრ. საქარიქელელი.

როგორი თვალსაჩინო სურათები სჭირია ჩვენს სკოლას და რა მიზანს უნდა შეეფერებოდეს ის.

ბევრ სხვა დაბრკოლებასთან ერთად ქართულ სკოლას სულს უხუთავს უთავბოლო თვალსაჩინო სურათები. კარგა ხანია, რაც მათი საჭიროება აღსარებულ იქნა და აი, კიდევაც მოიქედა სურათებით ყოველ სამრევლო თუ სამინისტრო სკოლის კედლები. მაგრამ, საუბედუროდ, საკმარისია ცოტაოდენი დაკვირვებაც-კი, რომ ადამიანი დარწმუნდეს მათს უსარგებლობასა და მავნებლობაშიაც: არავითარი თანდათანობითი განვითარება მასალისა, არავითარი ელემენტარული მისი დანაწილება არ მოიპოვება ამ სურათებ-

ში. აი საერთო უარყოფითი მხარე არსებულ სურათებისა, ხოლო ჩვენთვის, ქართველებისთვის, მათი უარყოფითი მნიშვნელობა ზემო თქმულითაც არ განისაზღვრება: თვალსაჩინო სურათების დანიშნულებაა ბუნების წიაღში აგრძობინოს თავი მოწაფეებს თვით კლასში სხდომის დროსაც-კი, მაგრამ არსებულ სურათებზე გამოხატული უცხო—არა მშობლიური ბუნება რა გავლენას იქონიებს ჩვენს პაწაწკინტელა ბავშვებზე? თუ მასწავლებელ-აღმზრდელები ამ სურათების ხელმძღვანელობას ძალზე დაეწაფნენ, ზიანის

მეტს ვერაფერს მოუტანს მათდამი მიბარებულ მოზარდ თაობას. რამდენი სკოლაა ისეთი, სადაც სახელმძღვანელოდ მიღებულია ჩვენს ენასა, ზნე-ჩვეულებასა და ბუნებასთან შეუფერებელი წიგნები! ვნება, რაც ხსენებულ სახელმძღვანელოებს მოაქვს ბავშვთა ნორმალურს აღზრდაზე ორკეცდება არსებულ სურათების გავლენის წყალობით... ერთი დავაკვირდეთ და ვსცნოთ, გვაბადია სკოლაში მშობლიურ ბუნებიდან ამოდებული თუნდაც ერთი სურათი? მე ჯერ არსად შევხვედრივარ! ხშირად მსმენია ზოგიერთებისაგან, მიზნის შესაფერად აღსარება ზოგიერთ არსებულ სურათების, რომლებზედაც გამახატულია ფრინველები და ცხოველები, მაგრამ ჩემის დაკვირვებით ამ უკანასკნელებიდანაც გამოსჭვივის ფრიალ შესანიშნავი ნაკლულევანებანი. თავი და თავი ნაკლი თვით სურათებში არსებული არა ბუნებრივობა-წინააღმდეგობაა: ავილოთ მაგალითად—სურათი წარმოადგენს ერთს პერსპექტივას, რომელზედაც ბებერი მუხაა გამოხატული. ზედ ზის მრისხანე არწივი; ამავე ხეზე, არწივის მახლობლად არხენად წამოსკუპებულია ბუ, ცოტა ზევით ქორი თავისი ბარტყებით დამშვიდებულის გამომეტყველებით მტრედს შეეჭკევა! ყოვლად წარმოუდგენელია ასეთი კრებული მტაცებელ ფრინველთა! სხვა არა იყოს რა, თუ მივიღებთ სახეში, რომ სურათი დღეს წარმოადგენს, ბუ ხომ მაინც არ გამოფრინდებოდა თავის ფულუროდან! აი კიდევ: კვლავ ერთი პერსპექტივა, ყველაზე წინ დათვი არხენად ნებივრობს, იქვე ახლოს შიმშილისაგან პირ-დაღებულმა მგელმა არ იცის რა უწაშლოს თავის კუჭს, მასთან ახლოს კი ლალი ირემი ბალახის ძოვნად დამშვიდებული ემზადება!.. ასეთ სურათების გავ-

ლენით ნორჩი გონების სინამდვილიდან გადაბირება და მასში გაურკვეველობის გამოწვევა სულ ადვილად შეიძლება. ამიტომ ყოველი სურათი, რომელიც ეწინააღმდეგება ბუნებრივ სინამდვილეს, სკოლიდან გასაძევებელია. მეორე დიდ ნაკლად ამ სურათებისა მათზე არა ქართული წარწერები უნდა ჩაითვალოს, თუმცა მე ჩემის კერძო რწმენით წინააღმდეგი ვარ სურათებზე ყოველგვარ წარწერისა, რადგანაც ბუნებრივ სინამდვილესთან შეფარდებულ სურათს არ ესაჭიროება არავითარი განმარტება. ერთი სიტყვით არსებული თვალსაჩინო სურათები სკოლიდან გაძევებულ უნდა იქნას და მათს ალბათ უნდა მოთავსდეს ადგილობრივ ბუნებიდან აღებული ორიგინალური სურათები. ახალი სურათები წინდაწინ შემუშავებულ გეგმის თანახმად უნდა იქმნას შესრულებული, ხოლო მთელი მასალა სურათებისა კი უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიან საუბარის შინაარსს, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შესდგებოდეს ელემენტარულის თანდათანობით ერთმანეთზე გადაბმულ მოკლე საუბრებისაგან. ზემო დასახელებული მასალა, რომელზედაც დღესაც შეუძლია სახალხო მასწავლებელს ნაყოფიერი საუბრები იქონიოს და უეჭველი სარგებელიც მოიტანოს, საჭიროა განაწილებულ იქნას კონცენტრაციულად, ცენტრად კი სკოლა იქნას აღსარებული. მაგალითისათვის აქვე ვეცდები დავანაწილო სასაუბრო მასალები, რომელიც შეეხება მშობლიურს ბუნებასა და ყოფა-ცხოვრების შესწავლას და რომლის დროსაც შესაფერი სურათებით ხელმძღვანელობა ფრიალ სასარგებლოა.

I

1. თუ სკოლა ცენტრად იქნა აღსარებული, მაშინ პირველ საუბარის მასალად

სკოლავე იქნება. საუბარი შეიძლება ოთხ ნაწილად გაიყოს: საუბარი კლასზე, რაც თვით კლასში იწარმოებს, საუბარი ეზოზე, რაც სკოლის ეზოში შესრულდება, საუბარი სკოლის ბაღზე—ბაღში. ეს საუბრები თავის თავად თვალსაჩინო და ადვილი გასაგებია ბავშვთათვის, რაც მათში სიხალისეს და მუყაითობას იწვევს. მეოთხე საუბარი დასკვნა იქნება პირველ წრეში გაცნობილ მასალათა. ამ საუბარშივე მასწავლებელი ადარებს ერთმანეთს სკოლასა და ოჯახს, მასწავლებელ-აღმზრდელებს და მშობლებს, ჰპოვებს დიდს მზგავსებას მათ შორის და შემდეგ წრებში გადააქვს თავისი საუბარი.

2. საუბარი ოჯახზეა გადატანილი. ოჯახთან ყოველი ბავშვი იმდენად დაახლოვებულია, რომ ეს საუბარი მსწრაფლ შესათვისებელი სახალისოა მისთვის. ამავე წრეში მოვაქცევთ იმ მასალებსაც, რაც ოჯახს გარშემო არტყია: ეზო, ბაღი, ბოსტანი, სახლი, მარანი, შინაური ფრინველები და ცხოველები და სხ. ადგილობრივ ცხოვრებიდან ამ წრეში არსებულ მასალების სურათები დიდს დაკვირვებას იწვევს ბავშვებში, რაც გონებრივის განვითარების უპირველესი ფაქტორია.

შენიშვნა. (ეძლევა ბავშვებს) ვინ რა მონაწილეობას მიიღებს მშობლებთან ერთად ბოსტნის ან ბაღის მოშენებაში, საქონლის მოვლაში.

3. მესამე წრეში მოთავსდება მასალები, რომელიც სკოლასა და ოჯახს გარეთ იმყოფება: ა) ყანები და მათი დამუშავება, ბ) ველი და მდინარე, გ) ტყე და შიგ მობინადრე ფრინველ-ცხოველები. საუბარი სურათების საშუალებით უნდა გაცხოველდეს, ხოლო შინაარსი წარუშლელ უნდა ჰყოს ბავშვთა მეხსიერებაში ექსკურსიამ

და ყოველივეს ადგილობრივ დათვალიერებაში.

შენიშვნა. ვინ რა მონაწილეობას მიიღებს ბალახის გათიბვაში, ყანის აღებაში, ყურძნის კრეფაში და სხ.

სამივე წრეში მოთავსებული მასალები სამშობლო სოფლის ფარგლებს არ გაცოცლებია. ამიტომ შესაძლებელია მათი ერთს დიდ წრეში მოთავსება, რასაც სამშობლო სოფლის შესწავლა შეიძლება ეწოდოს. გადავიდეთ მეორე კონცენტრიულ წრეზე.

II

სურათებისა და შედარებითი საუბრებით მასწავლებელი აცნობს ბავშვებს გარეშემო სოფლების ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებას, რაც არ განსხვავდება უკვე გაცნობილ სამშობლო სოფლიდან. საჭიროა დროგამოშვებითი ექსკურსიების მოწყობა. ამ გვარად ბავშვები ეცნობიან ბუნების და მცხოვრებთა ყოფას მთელი სამშობლო მხარისა (მაგ. გურია).

III

მესამე კონცენტრიულ წრეში მოთავსდება სამშობლო ქვეყნის შესწავლა (საქართველო) ვხელმძღვანელობთ სურათებით და შედარებითი მეთოდით; თუ შესაძლებელი დარჩა—ექსკურსითაც.

ზემო აღნიშნულ მასალების თავის დროზე სწავლებით ჩვენ ხელს შეუწყობთ მოწაფეთაგან „ბუნების კარში“ მოთავსებულ მასალების საშუალებით სამშობლოს საფუძვლიანად შესწავლას და ამრიგათ სახალხო სკოლა მოგვეცემს ნორმალურ-პრაქტიკულად მომზადებულს სამშობლოს მკოდნე მოზარდ თაობას, რაც ფასდაუდებელი მოვლენა იქნება ჩვენი ერის ცხოვრებაში.

აქ შეიძლება დაწეროთ: წერტილის დასმა, რომ

ერთი სამწუხარო მოვლენა არ გველობებოდეს წინ: ეს არის მიზნის შესაფერ სურათების უქონლობა. ჩვენი სკოლა მოუთმენლად ელის ჩვენივე სამშობლოს ბუნებიდან და ცხოვრებიდან ამოღებულ სურათების სერიას. საჭიროა წ.კ. გ. საზოგადოება ყურადღებით მოეპყრას ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს და მიანდოს საზო-

გადობასთან არსებულ სასკოლო სექციას წინასწარი გეგმის შედგენა, რის განხორციელება შეიძლება თანდათანობით, აუქტიურებლივ სისრულეში მოვიდეს. ყოველი ქართველის ვალია ხელი შეუწყოს სკოლის ამ მოთხოვნილების განხორციელებას.

მასწავლებელი ა. დობორჯგინიძე.

შინაური მიმოხილვა

სოფლის მასწავლებელთა ექსკურსიები; გურია-სამეგრელოს და იმერეთის სამრეკლო სკოლების მასწავლებელთა კურსები ქუთაისში და კ. მკურნაღის ოინები.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს ჩვენებურს სახალხო მასწავლებელშიაც გაისმის აქეთ-იქით ხმა ჩვენი ქვეყნის დასათვალისწინებლად და შესასწავლად ექსკურსიების მოწყობის საჭიროების შესახებ. თუ ყველა შეგნებული ადამიანი მოვალეა თავისი სამშობლო შესწავლილი ჰქონდეს ყოველის მხრივ, მით უფრო ეს მოვალეობა აუცილებელია ყველა შეგნებულის მასწავლებლისათვის, რომელსაც სწორედ რიგიანი მასწავლებლობა, სამშობლოს სწავლება მაშინ შეუძლია, როცა თვითონ კარგად აქვს შესწავლილი ჩვენი სამშობლოს ყოველი ღირსშესანიშნავი კუთხე; სამშობლო ქვეყნის შესწავლით კი მასწავლებელი სწორედ ნამდვილს სამსახურს გაუწევს მისდამი რწმუნებულს სასწავლებელს, სკოლას ეროვნულს ნიადაგს არ გამოაცლის ქვევიდან, ჯერ თავის ქვეყანას შესწავლის და შემდეგ სხვა ქვეყნებსაც და არა ისე, როგორც დღეს შერებიან ზოგი მასწავლებლები, მშობელს ავიწყებენ მოწაფეებს და გადამთი-

ელების ამბავს მოუყვებიან ხოლმე. გარდა გონებრივი საზრდოისი ექსკურსიების საშუალებით მასწავლებლები ერთმანეთს გაიცნობენ, გაუზიარებენ ერთმანეთს თავიანთ ჭირ-ვარამს, საერთოდ მოილაპარაკებენ სასკოლო საკითხებისა და სხვა საჭირობოროტო, საერთო საქმეების გამო, სულით დაისვენებენ და მომავლის სასწავლო წლიდან ძალ-ღონე მოკრფეილნი კვლავ შეებმიან მასწავლებლობის მძიმე უღელში და ენერგიულად გასწევენ ჰაზანს. დიად, ამგვარს ექსკურსიებს მასწავლებლის გათვითცნობიერებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ თვით თაონობა ამ საქმის მოწყობისა თვითონ მასწავლებლებს ეკუთვნისთ. დღევანდელი მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ თუ თვითონ არ იზრუნა თავის-თავზე, მისთვის სხვები კარგს რასმე არ მოიწადინებენ. უფრო კულტურულს ქვეყნებში მასწავლებლებს ყოველ საქმეში ხელს უწყობენ სხვა და სხვა განმანათლებელი დაწესებუ-

ლებანი, საზოგადოებანი, რომელნიც არავითარს ღონისძიებას არ იშურებენ მასწავლებელთა და სკოლის საქმეთა წარმატებისათვის. ჩვენში კი საზოგადოებანიც და კერძო შეძლებული პირებიც ყურს იყრუებენ, სახალხო სკოლისა და მისი სულის ჩამდგმელ მასწავლებლის შესახებ არაფერს ზრუნავს და აი დღევანდელი შეგნებული მასწავლებელი, როცა ასეთს უნუგეშო მდგომარეობას ხედავს, სულის სიძლიერეს იჩენს, თვის მკირე ჯამაგირსაც არ ზოგავს, ოღონდ კი თვისი ტურფა სამშობლო მიმოიაროს, გაიცნოს, ცოდნა შეიძინოს და ის ცოდნა შემდეგ თავის მოწაფეებს გაუზიაროს. დიად, ყველა ეს მეტად სასიამოვნო მოვლენაა და იმედი გვაქვს, რაკი ერთხელ აღძრული აზრი განხორციელებამდის მივა, მალე დადგება ისეთი დრო, რომ არ დარჩება ისეთი მასწავლებელი, რომელიც ზედმიწევნით არ შეისწავლის ჩვენს „ცა ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტ“ სამშობლოს, თვისი აუარებელის კულტურულის ნაშთებით, რომელნიც თვალსაჩინო მღალადებელნი არიან ჩვენი ერის წარსულის ძლიერებისა, ეროვნულის კულტურისა და ისტორიისა.

ამას წინად ერთმა სახალხო მასწავლებელმა გ. ა.—ნმა ღია წერილით მიმართა ჩვენში დამსახურებულს და განათლებისათვის თავგამოდებულ მებრძოლ მასწავლებელს ბ-ნს ლადო ბზვანელს მიელო თავის-თავზე მასწავლებელთა ექსკურსიის მოწყობის თაოსნობა. ბ-ნმა ლადო ბზვანელმა სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და ვაზეთებში სამნაირი მარშრუტი გამოაცხადა:

1. შავი ზღვის ნაპირის სამეგრელო-სამურზაყანო-აფხაზეთით: ქუთაისი-ახალ სენაკი-ქვალონი-ხობი-ხეთა ცაიში ზუგდიდი (მდ. ინგური) გალი-ილორი-ოჩამჩირე

დრანდა-სოხუმი-ათონის-მონასტერი-ფოთი ბათომი-ჩაქვა-ქობულეთი-ქუთაისი. მგზავრობა იქნება ასე: ქუთაისიდან ახალ სენაკამდე მატარებლით, შემდეგ ფეხით და ხან დილიჯან-ლინეიკებით შავი ზღვის პირის გზატკეცილით, ათონიდან გემით ბათომამდე, შემდეგ მატარებლით ქუთაისამდე. (თუ საშუალება ნებას მოგვცემს და თან ჯანმთელობაც, შეგვიძლიან ახალი ათონის მონასტრის დათვალიერების შემდეგ გავყვეთ იქითაც და ვინახულოთ ბიჭვინტა-გაგრა-სოჩი და ტუაპსე, შემდეგ ნოვოროსიისკი, საიდანაც დავბრუნდებით ბათომს გემით).

2) ფოთ-ბათომის ექსკურსია: ქუთაისი—ხონი—მათხოჯის მონასტერი—გორდი—ნაქალაქევი—მარტვილის მონასტერი—სალხინო—აბაშა (ჩანჩქერით)—თეკლათის მონასტერი—ძველი და ახალი სენაკი (ხან ფეხით, ხან ეტლით), შემდეგ (მატარებლით)—ფოთი—ბათომი, ქობულეთი—ჩაქვა — ჯუმათის მონასტერი—ქუთაისი.

3) აბასთუმან—ბორჯომ—ბაკურიანის ექსკურსია: ქუთაისი—აჯამეთი (ანანოვევის მამული) ბაღდათი—ზეკარი—აბასთუმანი—ახალციხე—ბორჯომი—ბაკურიანი—მიხაილოვი—სურამი—შორაპანი და ქუთაისი. მგზავრობა ბორჯომამდე ფეხით მოგვიხდება, შემდეგ კი მატარებლით, პირველ ექსკურსიას დასჭირდება 15 დღე და ხარჯი თითოეულს არა ნაკლებად 30 მანეთისა, მეორეს და მესამეს 8—10 დღე და ხარჯი არა ნაკლებად 15 მანეთისა, ბინას ვიშოვით ღამის გასათევად სასწავლებლებში უმეტეს ნაწილად; ექსკურსანტმა უნდა იქონიოს პასპორტი, საცვალი, საზაფხულო საბანი და ჭაბარა ბალიში ან მუთაქა.

საექსკურსიო გამგზავრება დანიშნულია ივნისის 30-ს დილით; მსურველნი უნდა

ჩავიდნენ ქუთაისში შაბათს ივნისის 28; კვირას ივნისის 29 დილას უნდა გამოცხადდნენ ქუთაისში ქავეკ ვადის ქუჩაზე, აბულაძის შესახვევში ქალაქის მესამე პირველ დაწყებითი სასწავლებელში, სადაც თვითონ ბ-ნი ბზვანელი იქნება 8—10 საათამდე, იქვე მოილაპარაკებენ საით უნდა გაემგზავრნენ; ბ-ნი ბზვანელის აზრით სასურველია წელს განახორციელონ მეორე და მესამე მარშრუტი. რადგანაც ეს ექსკურსია ჯერო იაფად დაჯდება.

გურჩევთ ყველა მასწავლებლებს განსაკუთრებით ქართლ-კახეთისას მიიღონ მონაწილეობა ამ ექსკურსიაში და ამნაირად ცოტად თუ ბევრად გაიცნონ დასავლეთი საქართველო, — ესტურონ თავიანთ ძმებს, ქირში და ლხინში განუყრელთ დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებლებს, რომლებიც შემდეგში იმედია ქართლ-კახეთის სტუპრებიც შეიქნებიან და ამნაირად ერთურთის გაცნობით ამიერ და იმიერ სახალხო მასწავლებლებში განმტკიცდება სასურველი სულიერი კავშირი.

„განათლების“ რედაქცია სიამოვნებით დაბეჭდავს ექსკურსიის ანგარიშებს და ექსკურსიაში მონაწილეთა, ღირს-შესანიშნავ ნაშთებისა და ხალხის ყოფაცხოვრების გამომხატველ ფოტოგრაფიით გადაღებულს სურათებს.

* * *

ამჟამად ქუთაისში გამართულია გურიის-სამეგრელოსა და იმერეთის სამრევლო სკოლის მასწავლებელთა კურსები. ვინ არ იცის, რომ კურსები, თუ კი პედაგოგიურის მიზნით არის გამართული, ბევრს კარგს რასმე შესძენს. მიკრუბულს სოფელში მომუშავე მასწავლებელს მაგ-

რამ თუ საზოგადოდ კურსები ამცდარი საღ პედაგოგიურ მიზანს, იგი სარგებლობის ნაცვლად დიდად საზარალოც არის, როგორც ნივთიერის მხრით, რადგანაც ცოტა ფული არ დაიხარჯება კურსების მოსაწყობად, აგრეთვე ზნეობრივისა და გონებრივის მხრითაც, რადგანაც არა პედაგოგიურად მოწყობილი კურსები არათუ ვერ გაფანტავენ უმეცრების წყვილადს, პირიქით ხალხის განათლების საქმეში უფრო მეტს სიბნელეს შეიტანენ. ქუთაისის ახლანდელი საპედაგოგიო კურსებიც სწორედ ანტიპედაგოგიურს მიმართულებას ემსახურება. სასწავლო მთავრობის მოხელეებს ძილს უფრთხობს 81 წლის სასწავლო გეგმა, რომლითაც სწავლება სწარმოებს ამ ჟამად, როგორც საერო, ისე სამრევლო სკოლებში. ამ წვრილფეხა მოხელეებმა შარშანვე მოიწადინეს ვოსტორგოვის პროგრამის გაუმეფება სკოლებში და მუნჯური სახელმძღვანელოების შემოღება, მაგრამ როცა საწადელს ვერ მიაღწიეს და შეგნებულ მასწავლებელთა პროტესტს წააწყდნენ, დროებით მიუყუდნენ და აი სწორედ დღევანდელ კურსებით ცდილობენ კურსებზე დამსწრე 60 მასწავლებელს ჩააგონონ და მიაღებინონ ვოსტორგოვის პროგრამა. მაგრამ „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო“ რომ იტყვიან, სწორედ ის დაემართათ კურსების ხელმძღვანელებს. კურსებზე დამსწრე მასწავლებლების უმრავლესობამ ალლო აილო, თუ რას უქადიან ეს ხელმძღვანელები სკოლას და საითკენ ეწვევიან მასწავლებლებს. ამის გამო დამსწრე მასწავლებლებსა და კურსების ხელმძღვანელთ შორის, როგორც იქაური გახებით „იმერეთი“ ვადმოგვცემს ამ ჟამად დიდი შეჯახება, კონფლიქტია თურმე. მერტე ვინ არის ამ კონფლიქტის მიზეზი? ბ-ნი კ. მკურნალი;

რომელიც კურსების ხელმძღვანელად მიუწვევიათ და რომელმაც კულაშის სკოლიდან დაწყებული მთელი თავისი მასწავლებლობა მუნჯურ მეთოდით ქართველ ბავშვების გამოთაყვანებაში გაატარა, იგი ცნობილია მთელს იმიერ საქართველოში ლევიცკის მარჯვენა ხელად, მას გმობდა და დღესაც გმობს შეგნებული მასწავლებლობა და ქართველობა, იგი დაუცხრომელი მტერია ეროვნულის სკოლისა, მოწინააღმდეგე ქართულ სკოლებში სახმარებელ მეთოდურად შემუშავებული რუსულ სახელმძღვანელოებისა, მას არ სწამს სახელმძღვანელო წიგნი, თუ იგი მუნჯურ მეთოდზე არ არის შედგენილი, იგი ეკუთვნის ქართველ ერის გადამგვარებელ უდიერ მუშაკთა რიცხვს, იგი სამწუხაროდ ქართველობს, მაგრამ რა პირიწყლის ქართველიც ბრძანდება, მისივე მოქმედებიდან სჩანს. და აი ეს ვაჟბატონი მიუწვევიათ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსებზე, რომ მისი დახმარებით ვოსტორგოვის პროგრამა აღადგინონ სკოლებში და ისევ გაამეფონ სამრევლო სკოლებში უმეცრების წყვილი. მაგრამ ვერც მჭერმეტყველებამ, ვერც მლიქვნელობამ, ლაქუცობამ, ქვემძრომობამ, ენატკბილობამ ვერ გასჭრა და ბ-ნი მკურნალი კურსებზე დარჩა მარტომარტო ერთი ვიღაც სულმდაბალი მასწავლებლის გეგენავას ამარა. მარტოხელი კაცი ხომ ჭამაშიაც ბრალია, მაგრამ მკურნალი კი შესაბრალისი არ არის. პირიქით,

მოხუცმა ის მოიმკო, რაც სიყმით დაუთესია. და მადლობა ღმერთს, რომ ეხლანდელს მასწავლებლებს იმდენი შეგნება აქვთ, რომ სამართლიანად აფასებენ ხალხის განათლების მტერ-მოყვარეთა. რით დასრულდება ეს კურსები, ჯერ-ჯერობით ძნელი სათქმელია, მაგრამ ცხადია ის, რომ ბ-ნის მკურნალის ხელმძღვანელობით კარგს რასმე ვერავენ შეიძენს. პირიქით შეგნებული მასწავლებლები იმ აზრს მაინც წაიღებენ თან, რომ მომავალშიაც საღის თვალთ შეხედონ სწავლა-განათლების საქმეს და თუ მათთვის გამართული კურსები სახიროს ვერა რას მისცემენ, თვით განვითარებას მაინც არ დააგდებენ და ამით სკოლასაც სასურველს წინამძღვრობას გაუწევენ.

საჭიროა ეხლავე ყველა ტიპის სკოლების მასწავლებლებმა უკუაგდონ ის სამარცხიანო სახელმძღვანელოები, რომელთაც ძალად აჩეჩებენ. უსათუოდ ყველამ შემოიღოს სკოლებში განსვენებული პედაგოგის, ქართველი ერის დიდი მოჭირნახულის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, რომლითაც სწავლის მძიმე საქმეს თვითონაც გაიადვილებენ და მოწაფეებსაც წესიერ სწავლა-აღზრდას მისცემენ. დეე, ამ აზრზე შეერთდნენ ყველა მასწავლებლები და ეს იქნება სამართლიანი და სასურველი პროტესტი იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენს სკოლას და ხალხის განათლებას უფსკრულისკენ მიაქანებს.



ცოტა რამ ქიმიურ ტერმინებზე

(ბ. ი. ალხაზიშვილის საუკრადღებოდ)

მეცნიერულ ტერმინების უქონლობა ერთგვარ ტრაგიზმს იწვევს მომუშავე ახალგაზღობაში; ტერმინების უქონლობა კი, სხვათა შორის, გამოწვეულია კრიტიკა და ბიბლიოგრაფიის გაუფითარებლობით. აიღეთ რომელიც გნებავთ ის ჟურნალი ანუ გაზეთი და დაუკვირდით, თუ როგორ აღნიშნავს ის რომელიმე ახალ წიგნაკის გამოცემას: თითქმის ყველა მათგანი შემდეგი შაბლონურ ფრაზით კმაყოფილდება. „რედაქციამ მიიღო ეს და ეს წიგნი, შინაარსიანად არის შედგენილი და სუფთად გამოცემული“-ო. ასეთი ბიბლიოგრაფია კი აქეზებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სუყველას, ვინც კი მოისურვებს, თავისებურად იხმაროს სიტყვები და ტერმინები; ამით გახლავთ გამოწვეული ის კუროზული ტერმინები, რომლებსაც ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ანუ სხვა გამოცემებში ვხვდებით.

ბ. ე. რუხილაძის ქიმიამ ამ მხრივ სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს. ეს წიგნაკი მეორეჯერ გამოიცა ჩვენში და დღემდის ხმა არავის ამოუღია, არც მის ღირსებაზე და არც ნაკლებოვანებაზე; მიუხედავად ამისა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სანიმუშო პროგრამაში ეს წიგნაკი შეტანილია, როგორც სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის. არ შეგვიძლიან ასეთი საქციელი მოუწონოთ პატივცემულ საზოგადოებას, რადგანაც რომლისაზე წიგნის სახელმძღვანელოდ მიღებამდე, საჭიროა მისი ყოველმხრივი განხილვა და შესწავლა. სჩანს საზოგადოებას სრულებით ყურადღება არ მიუქცევია ამ წიგ-

ნაკისთვის და ისე პირდაპირ გადაუწყვეტია—სახელმძღვანელოდ ეხმარათ მასწავლებლებს; წინააღმდეგის წარმოდგენა ყოველად შეუძლებელია.*)

დიდი მადლობის ღირსი ბრძანდება ბ. ი. ალხაზიშვილი, რომელმაც პირველმა იკისრა ამ წიგნაკის სერიოზული კრიტიკა. ჩვენ ბევრ რამეში ვეთანხმებით პატივცემულ ბ. ალხაზიშვილს, მხოლოდ არ შეგვიძლია ზოგიერთ მის ტერმინებს პატარა შენიშვნა არ გაუკეთოთ:

თავდაპირველად უნდა შევნიშნოთ ბ. ი. ალხაზიშვილს, რომ თუ რომელსაზე ქიმიურ ტერმინს ვაქართულებთ და ეს ტერმინი ანუ სიტყვა არ არსებობს ქართულად, მაშინ სიტყვა პირდაპირ უცვლელად უნდა მივიღოთ ფრანგულიდან; რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქიმიური ტერმინი ლათინურიდან წარმოსდგა, ქიმიამ, როგორც მეცნიერება, ფრანგებმა შეიმუშავეს და შემდეგ კი სხვებმა სთარგმნეს; ბევრი ქიმიური ტერმინი ბერძნულიდანაც არის ნაწარმოები, მაგრამ დღეს ფრანგული ნომენკლატურა ბაზია სხვა ევროპულ ენებისთვის. ინგლისელებმა, გერმანელებმა და რუსებმა ქიმიური ტერმინები, ზოგი სთარგმნეს და

*) ეს წიგნაკი წ.-კ. საზ. სანიმუშო პროგრამაში სახელმძღვანელოდ კი არ არის ნაჩვენები, არამედ იმ აზრით, რომ სხვასთან ერთად მასწავლებელი ქართულად დაწერილს ქიმიასაც გასცნობდა. სახელმძღვანელოდ უკეთესებიც არის ნაჩვენები.

რედ.

ზოგი კიდევ პირდაპირ მიიღეს ფრანგულიდან, ზოგს კიდევ მხოლოდ დაბოლოება შეუცვალეს. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, რაც სათარგმნია, უნდა ვთარგმნოთ და რაც არ ითარგმნების, პირდაპირ უცვლელად უნდა მივიღოთ ფრანგულ ნომენკლატურით. მაშასადამე ისეთი სიტყვები, რომლებიც ფრანგულ ქიმიაში *ium*-ით ან და *yum*-ით არის დაბოლოებული, ჩვენც ასე უნდა დავაბოლოოთ და მიუმატოთ ქართულ ენის დამახასიათებელი ი.

მაგალითად *radium*-ს ჩვენ უნდა დაუძახოთ **რადიუმი** და არა რადი, *calcium*-ს — **კალციუმი** და არა კალცი; *barium*-ს — **ბარიუმი** და არა ბარი და სხვ. რაც შეეხება სიტყვებს *potassium*-ს და *silicium*-ს — პირველს ჩვენ უნდა დაუძახოთ **კალაქვა** ანუ პოტასიუმი და მეორეს **ტალმანი** ანუ სილიციუმი და არა პოტასი და სილიცი. *Sodium*-ს ქართულად ბავრუკს ეძახიან და ჩვენის აზრით ზედმეტად მიგვაჩნია მარტივ სხეულის დასასახელებლად უცხო სიტყვას (მაგალითად ნატრის) ხმარება, როდესაც ჩვენ თვითონ მოგვეპოება ის.

ვიმეორებთ კიდევ, რომ ჩვენის აზრით უმჯობესი იქნება დავარქვათ

Potassium-ს — კალაქვა (ანუ პოტასიუმი)
Silicium-ს — ტალმანი (ანუ სილიციუმი)
 და *Sodium*-ს — ბავრუკი (ბორაკი) (ანუ სოდიუმი)
 შემდეგ ჩვენ გვინდა საზოგადოებას გავაცნოთ ჩვენ მიერ (ბ. ს. კ. და ჩვენი) შემუშავებული ცხრილი, რომელიც ქიმიურ ტერმინების შემუშავებაში ერთგვარ კანონს წარმოადგენს:

- 1) *acide* == მჟავი და არა სიმჟავე
- 2) *oxyde* == მჟავარი და არა ჟანგი არც წიღა
- 3) *acidifier, acidification* == გამჟავება
- 4) *oxydation* == გამჟავრება
- 5) დაბოლოება *hydrique* == ჰიდრული

მაგ. *Acide chlorhydrique* (HCl) = ქლორ-ჰიდრული მჟავი.

6) დაბოლოება *ique* = ული ანუ ური

მაგ. *Acide chlorique* (Cl^2O^7) = ქლორ-ული მჟავი.

7) დაბოლოება *eux* = იანი

მაგ. *Acide shloreux* (Cl^2O^8) = ქლორ-იანი მჟავი
 8) დაბოლოება *ate* = ული, ური

მაგ. *Chlorate de potassium* (KClO^3) = ქლორ-მჟავული კალაქვა (პოტასიუმი)

9) დაბოლოება *ite* = იანი

მაგ. *Sulfite de potassium* (K^2SO^3) = გოგირდ-მჟავიანი კალაქვა (პოტასიუმი)

10) დაბოლოება *ure* = ეული

მაგ. *Chlorure de potassium* (KCl) = ქლორ-ეული კალაქვა (პოტასიუმი).

ამავე ცხრილის მიხედვით *chlorure de calcium*-ს (CaCl^2), უნდა დაუძახოთ ქლორეული კალციუმი და არა „ხლორკალცი“, *fluorure de calcium*-ს (CaFl^2) უნდა დაუძახოთ ფლუორეული კალციუმი და არა „ფტორკალცი“.

Bioxyde de manganese-ს (MnO^2) ჩვენ დაუძახებთ **მარგანეცის ორმჟავარს** ანუ შავიქვას (ხალხური); რაც შეეხება სიტყვა *hydrate*-ს, ეს სიტყვა ქართულადაც ისე უნდა დარჩეს, ასე რომ *hydrate de potassium*-ს ჩვენ უნდა დაუძახოთ **კალაქვის ჰიდრატი** (KHO) და არა „პოტასის ტუტა“.

ბ. ვ. რცხილადის ქიმიაში ჩვენ ერთ უცნაურ ტერმინს ვპოულობთ, რომლისთვისაც ყურადღება არ მიუქცევია ბ. ი. ალხაზიშვილს; მაგალითად ქიმიურ ტერმინს *base*-ს ბატონი ვ. რცხილადე „ტუტას“ უწოდებს — ჩვენის აზრით ეს სრული გაუგებრობაა; *base*-ს ქართულად **საფუძის** ეძახიან და კიდევაც არის ხმარებაში (იხ. კვერკველაძის „ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიას ქიმიური რაობა“), ტუტა კი სულ სხვა ცნებას გამოხატავს.

კიდევ ერთი შენიშვნა ბ. ი. ალხაზიშვილს: სასურველია მარტივ სხეულებს ქართული, სახელები დავარქვათ, მაგრამ როდესაც ჩვენ რთულ სხეულებთან გვაქვს საქმე, მაშინ ხალხური სახელწოდება არ გამოგვადგება. მაგალითად *acide azotique*-ს (Az^2O^5) ($\text{hydr AzO}^3\text{H}$) „ფარნაოზის ხნიდან თეზაფი ჰქვიან“-ო გვეუბა ბ. ი. ალ-

ხაზიშვილი—ეს სრული ქვეშარიტებაა, მაგრამ „თეზაფი“ ქიმიური ტერმინი როდია, არამედ ვულგარული, ხალხული სახელწოდებაა. ქიმიური ტერმინი კი უნდა გვიჩვენებდეს რთულ სხეულთა შემადგენლობას, სწორედ ამისთვის acide azotique-ს ჩვენ უნდა დაუძახოთ აზოტური მჟავი და არა „აზოტ-მჟავე“ და არც „თეზაფი“. ამავე მოსაზრებით sulfate de cuivre-ს ($CuSO^4$) უნდა დაუძახოთ გოგირდმჟავული სპილენძი და არა „შაბიამანი“ და არც

„სპილენძის აჯასპი“. Sulfate de zinc-ს ($ZnSO^4$) უდა დაუძახოთ გოგირდმჟავული თუთია და არა „თეთრი აჯასპი“ ანუ „თუთიას აჯასპი“, sulfate de fer (sulfate ferreux) ($Fe^2, 7 aq$) Fe^3SO^4)³ 9 aq)-ს უნდა დაუძახოთ გოგირდმჟავული რკინა და არა „მწვანე აჯასპი“ და „არც რკინის აჯასპი“. Acetate de potassium-ს ($C^2N^3O^2K$) ჩვენ დაუძახებთ ძმარმჟავული კალაქვას და არა „ძმარმჟავა პატასი“;

- Bicarbonate de potassium (KNC^3)—ორნახშირმჟავული კალაქვა
 - Carbonate de potassium (K^2CO^3)—ნახშირმჟავული კალაქვა
 - Chlorate de potassium ($KClO^3$)—ქლორმჟავული კალაქვა
 - Nitrate de potassium ($KAzO^5$)—აზოტმჟავული კალაქვა
 - Jodure de potassium (KI)—იოდური კალაქვა
 - Bromure de potassium (KBr)—ბრომური კალაქვა
 - Sulfate de potassium (K^2SO^4)—გოგირდმჟავული კალაქვა
 - Oxyde de magnesium (MgO)—მაგნეზიუმის მჟავარი
 - Oxyde de calcium (CaO)—კალციუმის მჟავარი
 - Oxyde de zinc (ZnO)—თუთიას მჟავარი
 - Oxyde de mercure (HgO), (Hg^2O)—სინდიყის მჟავარი ანუ ვერცხლის
 - Oxyde de cuivre—სპილენძის მჟავარი და სხვ... [წყლის მჟავარი
- გარდა ამისა მარტივ სხეულთა სიაში ჩვენის აზრით საჭიროა შემდეგი ცვლილება:
- Jodum, Jodium, Jode—იოდი და არა „იოდინი“
 - Fluorum, Fluore = ფლორი და არა „ფლოური“
 - Chlorum, Chlore = ქლორი და არა „ხლორი“
 - Oxygenium, Oxygène = მჟავბადი და არა „ჟანგბადი“
 - Carbone = ნახშირმანი და არა „ნახშირბადი“—„ბადს“ ანუ „მბადს“ მხოლოდ რუსები უმატებენ ამ სხეულს.
 - Silicium = ტალმანი ანუ სილიციუმი და არა „სილიცი“
 - Sodium = ბავრუკი და სხვ.

ერთის სიტყვით თუ მარტივი სხეულების სახელები ჩვენ ენაში არ მოიპოვება, მაშინ საუკეთესოდ მიგვაჩნია ეს სხეულები ფრანგულ ნომენკლატურით მივიღოთ. ბოლოს უნდა მოვახსენოთ პატივცემული ი. ალხაზიშვილს, რომ საბოლოოთ ქიმიური ტერმინების მიღება ჯერ-ჯერობით ნაადრევია—მართალია, ყოველგვარ ან-

დერძს პატივი უნდა სცეს ადამიანმა, მაგრამ თუ ეს ანდერძი ვნებას მოუტანს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას, მაშინ დარწმუნებული ვარ თვით ბ. ი. ალხაზიშვილი პირველი უარყოფელი იქნება ამ ანდერძისა, მიუხედავად იმისა, რომ „ღრმად დარწმუნებულია, რომ ამაზედ საუკეთესოდ ქართულის შეფერვა ყოფ

ლად შეუძლებელია“. ჩვენ გვიჩვენია მეცნიერულ ტერმინების შესახებ ჯერ-ჯერობით გაბმული კამათი და აზრათა გაცვლა-გამოცვლა არსებობდეს, ამისთვის ნება მიბოძეთ მოგზაძოთ თქვენ და მეცნიერების სახელით ვთხოვო ყველას, ვისაც

კი რამე გაეგება ქიმიადი, ნუ დაიზარებს ცოტა შრომას და თავის აზრს გავეზიარებს პრესის საშუალებით.

ე. ალშიბაია.

ზარიზი

23 აპრილი 1914 წ.

ანატომიურ, პსიხოლოგიურ ტერმინების და სხვა და სხვა დარგის სიტყვების შესახებ

იმ ერს, რომელსაც მოეპოვება საკუთარი აკადემიები და უნივერსიტეტები, ენა ამ დაწესებულებებში უმუშაუდება და უნფითარდება. ვისაც განათლების ასეთი ტაძრები არ მოეპოვება, ისინი სულ მუდამ რეეგაში იქნებიან ამა-თუ იმ ტერმინების შესახებ და ვისაც რაგორი ტერმინი მოეწონება, ისეთსაც იზმარს და გააფრცხლებს. გამოდის ისე, რომ ვისაც ჯოხი უჭირავს უველა გზირია. არ არის ავტორიტეტული დაწესებულება, არ არის ავტორიტეტული ჰირი, რომელსაც შეუძლიან გასწორდონ, შეცდომები ენაში არ შეიტანონ. ამისთანა შემთხვევაში, რომელშიაც ქართული ბიდა ვართ, ჩემის აზრით ერთად ერთი საშუალება შეთანხმება და ერთხელ მიღებული მტკიცედ დაცვა. სპეციალური კრება ან კრებები უკეთესად გადასწავლეს ამ საკითხს, მაგრამ, გინდაც შესაძლო იყოს ასეთი კრების მოხდენა, მასალა საჭირო. მასლის შექმნა კი შეიძლება პრესის საშუალებით, რომელსაც მივმართავ მეც.

ვთარგმნე ავ. ფორელიის „სქესობრივი საკითხი“ და ბერტრანის „მეფუტკრის კალენდარი“ და სხ. ამ თხუზულებებში შეიმზდა აუარებული ტერმინები ანატომიიდან, პსიხოლოგიიდან, პედაგოგიიდან, იურისპრუდენციიდან, სოციოლოგიიდან და სხ. რადესაც

ჩვენი გაზეთ-ჟურნალების ენით უწეე თარგმნა, რომლებშიაც სხვა და სხვა მცნება ერთნაირი ტერმინებით არის გამოხატული, დავინახე რომ რუსები რომ იტყვიან „масло масляное“ გამოვიდა. მაშინ ვიწეე ჩვენს ლექსიკონებში ტერმინების ძებნა; ბევრი თუ ვიპოვე ბევრი ვერ ვიპოვე. შეუდექ სახარება-დაბადების კითხვას, ჩვენი მწერლების გადათვალერებას და იმ ბროშიურების გადაშინჯვას, რომლებიც კი რამე სპეციალურ საგანს შეეხებიან. ყოველი ნახმარი ტერმინი, ან საგულისხმიერო სიტყვები ამოვწერე, დავწეე ანბანზე და ჩემი თარგმანის დროს ვინმარე თავთავის ადგილას. ესეც საკმარი არ აღმოჩნდა—დამჭირდა ზოგიერთ რუსულ ტერმინის გადმოთარგმნა-გადმოქართულება. აი მთელ ამ მასლის გამოქვეყნება მსურს. იქნებ ჩემს მხრივ კანდიერება იყოს ამ დარგში სიტყვის თქმა, მაგრამ ვბედავ, რადგანაც ძალიან მონატრული ვარ ქართული ენა ვნახო აღდგენილი მთელის თავის სიმშვენიერით და განწმენდილი იმ არასასურველ ჭეჭვისაგან, რომელსაც რუსიცოფში, ევროპეოფში და სხვა ჟანაბეოფებში ვქვიან. როცა ენას არ მოეპოვება რამე ტერმინი, ბატონი ბრძანდებით, მაგრამ, როცა არის, არ ვიცით და ამიტომ შემოგვაქვს და თან ენის სიღარბეზე გავვივით, ეს დიდი დანაშაულია.

ჩემგნით ნახმარი სხვა და სხვა ტერმინები მსურს შევადარო „განათლებაში“ შეხვედრილ ტერმინებს. მოვიყვანო ჰარაღეღურად, რათა თვალსჩინო ვეო ამა თუ იმ ტერმინის სი- მართლით ხმარება და სიაჯარკე. დაიწყო ან-ბანზე ისე როგორც მე მაქვს ჩამოწერილი რვეულში.

აფსკა—თხელი რამკანი (ს. რბ.), кора, БОЛОНЬ (ჩუბინ.); მე ვთარგმნე საზო- გადოთ перепонка, ჟურ. განათლება- შია ნახმარი, როგორც грудно-брюш- ная перегородка.

აპკა—აფსკა (ს. რბ.), აპკა არა აქვს (ჩუ- ბინ.) „განათლებაში“ ნახმარი აპკი, ვი- თომ барабанная перепонка. ჩუბინ- ნოვის რუსულ-ქართულ ლექსიკ. бараб. перепонка ნათარგმნია—უურის ღრჭად. ხალხი კი ამბობს, უურის ბუშტი გაუსქ- და და დაურუვდაო. (გან. IX 1913 წ. გვ. 659).

აბაზანა—ванна და არა აბაზანი.

ახმი—подъемъ ступни.

ამბოკარი—კაცი უმამულო და უქონელი. (არ- ბელ.) пролетарій.

აფიონი—опіумъ.

ატეხილი იქმნა უჯრედი (გან. 1913. VII წიგ. 502—возбужденъ—უნდა იუოს ადგზნებული, აშლილი.

ანკანაკება—запой (ს. რბელიანი).

ალალმა—статუя.

ალლამი—бюсть, истуканъ.

ალრა—Парусина, აურის ქსელი.

ავშარაჯი, ვაყინი—сиропъ.

ალერდი—клеверъ.

აბზინდა—полынь.

აური—пуповина (ს. რბ. და ჩუბინ.)

ავშანი ტრამალის—полынь (степная).

აკანო—часовня.

ალხანა—кочанная капуста.

ანლლი—типунъ

არყი—Береза.

არჩვი—Серна.

ბაყვი—Берпо; ბაყვები, სდაც საზარდული ეწოდება ჯირკვლებსაო („გან.“ წიგნი VI, 1912 წ. გვ. 426). ეს ადგილი იქნება:

ბოქვენი—пахъ (ჩუბინ. ქართ.-რუსული).

ბაია—зрачекъ (გან. 1912 წ. წიგ. VIII გვ. 599) გუგა ბაიის გარეშემო გარ- სი (იქვე).

ბაია—გუგა (ს. რბელიანი). გუგა—სახელ- ველი (იქვე). ბაია—გუგა (ჩუბინ.) გუ- გა—зрачекъ (იქვე). მე ვთარგმნე გუ- გა—зрачекъ. ხალხიც ასე ხმარობს.

ბაია—შეიძლება მივიღოთ გუგის გარეშემო გარსად радужная оболочка, და არა უკუღმა.

ბოლოკა—сурѣпуца.

ბრუჟი—хмѣль.

ბუსმიხაკი—незабудки.

ბუტკი—пупышь, бутонъ, цвѣточная завязь.

ბურა—бѣлокопытникъ.

Болтъ—ჭანჭიკი.

Ботистъ—მადარმატი.

ბულაური—фризь.

ბანდიბუსტი—фанфаронъ.

ბრაგა—подводный камень.

ბუნობა—равноденствіе.

ბალარა—лѣсокъ.

ბიცი—солончакъ.

ბრძედი—печь для выплавки металловъ

ბენძლა—ჯითონის ქვა და მიწა დამდნარი.

Беркутъ—სვავი.

Бекасъ—ჭოვილო.

Безмѣнь—ცაფსასწორა.

ბარხანა—оптъ.

გულის ხუფები—клапаны აღბათ. ხუფი ისეთი დასაფარებელია, რომელიც მთლად

შიგნით მოქცევს, მთლად ჭფარავს ს-
განს. უკეთესი იქნება ამიტომ **клапанъ**-
ის გამოსახატავად **სარქველი** ვიხმა-
როთ; ან ხალხი ამბობს—ენის კლიტე
და ამით სსსუდეს **клапанъ**-ს აღნიშნავს.
შეიძლება ვიხმაროთ **გულის კლიტე**.
(განათ. 1912 წ. V წიგ.)

გვინი — желтуха.

გირაგი — тиски.

გოდარა — малина.

გოლეული — сотовый медъ.

გოზანგო — Вика.

გვადრაკი — чемоданъ.

გვადრუცი — шкатулка (იოან. 12 თავ. 6).

გუძონძლო — грудная клѣтка (განათ. 7-8
წიგნი 1908 წ. გვერ. (90) აღბათ ეს
სიტყვა წარმოსდგება ბუძონძლო-საგან,
რადგ გოგრის გულს და გულის ბუდე-
ებს ჭნიშნავს. **грудная клѣтка** ვთარ-
გმნე **გულმკერდის ჩონჩხად**.

ღარჩილვა — спаніе.

ღანაკისკული — пальма.

ღასტურლამა — инструкция.

ღამჩითავი — набойщикъ.

ღვრიტა — сычужокъ.

ღრანჯობა — волокитство.

ღრასტიკი, მკიმი — Эластичный, упругій.

ღანდური — портулакъ.

ეჯი — Станція.

Эмаль — მიხანქარი.

ერლო — кровля, крыша.

ერისიონი, ტატნობი — Горизонтъ (ს. არ.)

Воспріятіе — მიმღება (განათ. 1913 წიგ.
8 გვ. 407) მიმღება გრამატიკული

ტერმინის და მის შემოტანა ფსიხოლო-
გიაში შეუსაბამო იქნება. მე ვთარგმნე
შემეცნებად, **ощущеніе** — შეგრძნობად
და **понятіе** — ცნებად.

შემეცნება — познакомить, поз-

накомиться, узнать (ზუბინ.); ამ

სიტყვის აქედან წარმოება სჯობია.

Выдѣленіе — გამოყოფა (იქვე). ამბობენ თუ-
ღი გამოუვიდა, აღმინის განავალი და
სხვ. უკეთესია ამ სიტყვებიდან ვაწარ-
მოვოთ თარგმნანი.

Вмѣняемость — მიხათვლობა; **невмѣняе-**
мость მიუნათვლობა.

Восщина — ხეჭა.

Вентеляторъ — სანიაჯო.

Вообразить — წარმოსახვა, წარმოსატყვა.

Воспроизводительная система — წარმო-
სამობი სისტემა (გან. 1908 წ. 3—4
წიგ. 177 გვ.) უხდა იუოს წარმომობის
სისტემა.

Ворсинки — ეს არის კონუსის მაგვარი შა-
ტრა აბურცული ადგილები წვრილ ნა-
წლეების ღორწიან განსხვ. მათი ს-
შუალებით საჭმლის წვენი გადაეცემა ს-
წვენე შაწია მიღებს ანუ ღიმფის ჭურ-
ჭლებს. ეს სიტყვა „განათლებში“ ნა-
თარგმნია **ბუსუსები**. ბუსუსი, ჩემის
აზრით, უსათუოდ თმას ჭეულისხმობს;
თმა საჭმლის წვენს ვერ გადასცემს სხვა
ჭურჭელს. უკეთესია ეს სიტყვა ვთარ-
გმნოთ **ძაბრუკები**. მე ვთარგმნე **ჩინ-**
ჩლები. ჩინჩლი ჭნიშნავს დიდ ფესვებ-
ზე ასხმულ შაწია ფესვებს.

Зародышь — განსახულობა (განათ. 1908 წ.
7—8 წიგ. გვ. 191) მე ვთარგმნე ჩა-
ნასხი, ნასხი.

Золотуха — ელქენი.

Заднепроходная кишка — სასხენე (ზუბ.)
ეიტაწელი (ს. არ.)

ზირნიხი — мышьякъ, დარიშხანა.

თანადარი — тождественный.

თავლარახი — контролёръ.

თხემი — темя.

თანუმი — комплектъ.

თალარი — бесѣдка.
 თეჯიბი — ширма.
 თირი — пемза.
 თუთია — цинкъ.
 ილეთი, ილათი (ვისრ.) способъ, средство (ჩუბინ.) ჩვენ ვხმარობთ წესს, რაცა გვინდა აღნიშნით правило, способъ, средство და სხვა. უკეთესი იქნება ილეთი ვინმარობთ ხელმეცხე способъ, средство-ს აღსანიშნავად, წესი — правило-სი.
 ინოხი — нервъ (ჩუბინ.)
 კულისუნნი — სიკაკაკაკე ძვლის წვერი (არბ.) кончикъ.
 კუკუხო — თეძის ძვალი (არბ.) конецъ бедряной кости (ჩუბ.)
 კოლინჯი — ободошная кишка; рѣзь въ кишкахъ.
 Кружево — მკჷანი.
 კილოვნება — темпераментъ.
 Клубника — ხენდრა.
 Купорось — ძაღა, ახჯასნი.
 კოკობზიკა — кокотка, щеголиха.
 Кордамонъ — კაკულა.
 Компасъ — რიბლანი.
 Клюква — ძხველი.
 კაჩო — крючокъ.
 კაღონი — перекладина.
 ლიმენა — пристань.
 ლორფინი — плитка.
 ლენტოფა — ბჷლენა.
 Ландцетъ — ნეშტარი, ლენქერი.
 Лингвистъ — სადუნნი.
 Мигательная перепонка — სპარკმარებელი გარსი, უნდა იყოს მოხამხამე აფსკა. (განათ. წიგ. 7—8 წ. 1908).
 მალა — შურგი ძვლის ნაკვეთი (ს. არბ.) позвонокъ ხაღბი ხმარობს წელის მძივი.
 მენე — домоправитель.

მინათელობა — вмѣняемость.
 მალთო — ფიჭვის ზეთი — смола.
 მელქანი — сердцевина дерева.
 მოყირქება — пресыщение.
 მლივი — გაღუული (ს. არბ.), Атрофія. სთარგმნიან გაღუვა (განათ.), ნაღუვა.
 მახალი. — Сумка.
 მალნარი — Дуброва.
 Мозайка — სართი.
 მხურვალეობა — горячка.
 Мышьякъ — მარგიმუშკი მე ვთარგმნე დარბიხანა.
 Мель, отмель — მუქები.
 Мухоморъ — ციღამუფანა (სოკო).
 Мокрица — შუნჯუკი.
 მსახვრელი — обоятель, очарователь.
 მყესნი — მამზიდველნი თავნი ძარღვთანი (ს. არბ.), Мыш а — თავნი (ჩუბ.) „განათლებაში“ მუესი — сухожилье-თ არის ნათარგმნი. უკეთესი იქნება сухожилье დრატად ითარგმნოს, მუესი — двигательная мышца-დ.
 ღრაქა — ძვალთა და რბილთა სასაშუალო (ს. არბ.)
 მცვედანი, ცვედანი — ბუნებით სსჭურისი.
 მცვედანობა — неспособность соитія.
 Нервь — ინოხი, ტენონი. თუ ამას მივიღებთ нервь волосяный ბეწვეული მილი არ იქნება (განათ. წიგ. 5 1912 წ.). მე ვთარგმნე ბეწვემავარი ტენონი.
 ნუზლი — путевая провизія.
 ნურა — ბაღანის გამაგრევენებელი წამალი (ჩუბ.)
 ნაზავი, შენაზავი — растворъ.
 ნახში, ნაყში — фонъ-узоръ, модель. მესხეთში ესეც სტოდნიათ ეს სიტყვა.
 ნაბრძვილი — шрамъ.
 ნიჟარა — раковина.
 Наждакъ — ზუმფარა.
 ნატიფი — тесанный, шлифованный.
 Насосъ — ტუმბო.

ნეკრესის ქარი — подагра.
 ნავკოსალარი — капитань корабля.
 ორცხოველი — წყალშიც და ხმელეთზედაც
 მაცხოვარი (ობობე.)
 ოთალამბა — умигутъ, желтая камедь.
 ორტაბახი — გრილისა და მხურვალისა საშუა-
 ლო უმზრენი.
 ოქროს ცოცხა — имортелька.
 ოდნოდვრეც — ცალქალამნი, ცალმოკვი.
 ოთნოსიტელი — შეტოვებითი.
 ოქოლუნი — крыльцо.
 Позвонокъ, позвоночникъ — ხერხემა-
 ლი, ზურგის ძვალი (განათლება 3—4
 წიგნ. 1908 წ.) პირველი ვთარგნე წე-
 ლის ძივი, მალა, მეორ-ხერხემალი.
 Посредственность — კაცუნა, ჩიაკაცი (გა-
 ნათლება 1908 წ. 7—8 წიგ.) მე ვთარ-
 გმე შუალაბად, საშუალოდ (ხუბ.), მა-
 გრამ გული შეთანადება, ვერ არის კარ-
 გი გამოხატვა მნიშვნელობისა.
 Промежуточный — შუათანა (7—8 წიგნ.)
 უკეთესია შუადი, საშუალო-ამობენ ძმათა-
 გან საშუალო, ე. ო. სამ ძმაში შუადა.
 შუათანა უფრო посредственность-ის
 გამოხატველია.
 Прирожденный — თანშობილი (გან. 1913
 წ. წიგ. 2) მე ვთარგმნე — თანდაყოლი-
 ლი.
 Поры — ნახვრეტები (იქვე). მე მაქვს — ფო-
 რები.
 Послойно — კეტ-კეტად (იქვე). თივის ბუღუ-
 ლას რომ იღებენ ჩვენში, იტუვიან:
 კელფ-კელფად აიღვეო ე. ო. слоями.
 ეს უნდა ვიხმაროთ.
 Предубъждение — ამ სიტუვას წინამორ-
 ბედისავით ვაწარმოებ და ვთარგნი წინ
 რწმენა, წინასწარ რწმენა.
 Предупреждение — წინაშება.
 Предположение — გულება, გაგულება.
 Пружина — აშკა.

Пласть — კელფი.
 Предназначеніе — წინაგანძრახვა.
 Предопредѣленіе — წინა განჩინება.
 Плотность — სიმჭირხნე.
 Промыселъ — სარეწავი.
 Женственность — ქალიჭიერება.
 Разновидность — სახესხვაობა.
 Разнообразіе — ნაირნაირობა.
 Розочарованіе — გატბუნება.
 Роевня — როგო.
 რაყიფი — соперники въ любви.
 რაკა — юродивый.
 რაფა — ბუხრის გამოწვეული ნაწილი, რომელ-
 ზედაც სანთელს, ჭრაკის სდგამდნენ უწინ.
 რიბლანი — компасъ.
 რევა, ნაკალი токъ, потокъ (ს. ობ.)
 Русло — მონიო.
 Ревность — ღაზო.
 Рига — სამხე.
 საზარდული — пахъ (განათლება) საზრდული
 ჯირკვლებია пахъ-ში ანუ ბოქვენში.
 Созѣрцаніе — გამჭვრეტელობა (განათ. 10
 წიგნი 1913 წ.) მე ვიხმარე მჭვრეტე-
 ლობა.
 სობა — поясница.
 სისვი — сѣрый.
 Скорпионъ — ღრიანკალი.
 Стержень — ჩერა.
 საშვილე — матка (განათ. 1913 წ. წიგ. 3)
 უნდა იყოს საშვილოცნო.
 სერსეროთი — проволочная сѣтка.
 სარსარაკი — стрепеть.
 Сальникъ — ჩობალი (ხუბინ.) „განათლებასში“
 ფარკუშად არის ნათარგმნი (ვგანებ. 9
 წიგნში 1913 წ.)
 Соединительная ткань — შემავრთებელი
 ქსოვილი (შეტრიაშვილი); (განათ. 1913
 წ. წიგნი 9) იხმარება შემავრთებელი
 კანი. მე ზირველი ვიხმარე ჩემს თარ-
 გმანში.

Сосочки — ხაა (გან. 1913 წ. 9 წიგ.) ეს სიტყვა ვერ გამოჭხატავს შინააჩსს. მე ვიხსენებ **ძუძუკები**.

ტერფი — стопа.

ტალამი — стражникъ.

ტოლომი — Плащъ.

ტაბუხი — მუხლის თავი (ს. ორბელ.) (განათ. 7—8 წიგ. 1908 წ.) ხმარობს როგორც **головка бедряной кости**. სხვადასხვა ბარკალი მუხლიდან თქმადე; ეს იქნება **бедряная кость**.

Тазъ — მენჯი (განათ. 7—8 წიგ. 1908 წ.) მენჯი — **вертлюгъ** (ჩუბინ.) მენჯი **вертлюгъ** (ჩუბინ.) მენჯი — კაცის თქმა (ს. ორბელ.); **вертлюгъ** — თქმის თავის მბრუნავი ძვალი (ჩუბინ.) ძრახვაზე იტყვიან მთკების დრას — მენჯები დაუხილელა, — ორი მენჯი აქვს საქონელს. მეც **тазъ** — მენჯად ვთარგმნე, მაგრამ ვერ გამოჭხატავს.

ტრამალი — степь

ტამაზლუხი — производитель.

ტატნობი — горизонтъ.

Тщеславіе — ცრუ-დიდება.

Пылинка — ხემსი (მტკრისა).

უმანკოების ბადე — **дѣвственная плева** (განათ. 1913 წ. 6 წიგნი 902 კვ.) ხალხი ამბობს უმანკოების ფარი.

უკუთქმითი, უარყოფითი — **отрицательный**.

ულუფა — паекъ, жалованіе.

უნაწევრო — безчленный.

Умысль — ძმაცვა.

უტევანი — площадь (ზომა).

ფარეზი — Диета.

ფარდა ტვინისა — **мозговая перепонка**.

ფილენჯი — **конвульсія**.

ფორტალი — фольга.

ფურთუნი — **зыбь**.

ქერწლი — **чешуя**.

ქილიში — **нагель**.

ქარტლი — **цвѣтная пыль, цѣтѣнь**.

ლრაქი — **хрящъ**.

ლაზო — **Ревность**.

ლილნი — **речитативъ**.

ლვთივსულიერი — **Богодохновенный**.

ყიტა წელი — უკანა დიდი ნაწილი.

ყაზოარი — **жарьптица**.

Шереховатый — მქისე.

Шлея — **შალღუმი**.

შარი — **холстинка**.

შენახავი — **растворъ**.

შურთხი — **горная индѣйка**.

შემოგარი — **окружающее**.

შემოგარულობა — **окружность**.

შიოში — **დაავიწყდათ (ბეკანახი)?**

შეშთვა — **заглушить**.

Чревоѣщатель — **მეტყელ-მთკვი**.

ჩიკნობა — **рукоблюдіе**.

ჩალანა — **костаньетки**.

ჩელტი — **проволочныя загражденія**.

ჩიფე — **ячейка**.

ძგიდე — **перегородка**.

ძურწა — **ковыль**.

წირი — **миражъ**.

წვილი — **спица**.

წბოლი — **студень**.

ქოვილო — **Бекасъ**.

ქონი — **шапошникъ**.

ქობოსანი — **терпугъ**.

ქინქიკი — **Болтъ**.

ჯლარდლა — **Крушина**.

ჯავარი — **драгоценный**.

ხეიბარი — **инвалидъ**.

ხუთო — **мазь**.

ხანძარი — **пажаръ**.

ხონდი — **Зубчатый**.

ხვეზა — **восщина, ხობი — Весло**.

Хрупкій—შეიფე. ხვართკლა—повилика.
 Хвойное дерево—საბარკი.
 ხინდახორი—ясли.
 ხენდრო—клубника.
 ხენჯი—окалина, огарки металла.
 ცნება—понятие.
 ცერეცო, ანისული, ძირა—анись.
 Цикль кругъ—კვინკლოსი.
 ცადაქნილი—сводъ.
 ცირცელი—Рябина.
 ცქიტო—центр, средоточіе. ქართველი
 სალდათები იტუოდნენ ხოლმე—შიგ
 ცქიტში მოვარტეო.
 Центростремительный—ცენტრისკენ მიმ-
 სწრაფი (განათ. 6, 1912 წ.) უნდა იყოს
 ცქიტ-მიმსწრაფი.
 Центробѣжный—ცენტრისგან მიმტოლვე-
 ლი (იქვე) უნდა იყოს ცქიტ-მტოლველი.
 Футляръ—ჩაფთა.

Феномень—ცისიეო.
 Фартукъ—უუღანა, ფესტამალი.
 Ядро—ბირთვი.
 Ягодица—ღუნღუფი (განათ. 1908 წ. 3-4
 წიგ.) უნდა იყოს ღუმა.
 ვიდრე ზემოაღნიშნულ ჩემს თარგმნებს
 დაბეჭდა ედირსებოდეს, ძან საჭიროდ მიმაჩ-
 ნია ავტორიტეტული აწონ-დაწონა ვნახო ზემო
 აღნიშნულ სიტყვებისა; მომავალ გამოცემებში
 შევიტანდი საუკეთესოდ მიხნეულ ტერმინებ-
 სიტყვებს და მით თავიდან ავიცდენდი უოველ
 ჩვენ გამოცემათა ნაკლს ამ მხრივ.
 ბევრი აქ აღნიშნული სიტყვა ჩვენს ლექსი-
 კონებში არ მოიპოვება. ისინი რუსულ-ქარ-
 თულ სახარება-დაბადების კითხვის დროს შემ-
 ხვდა და ჩავიწყვე იმ მნიშვნელობით, როგო-
 რითაც ქართული რომელიმე სიტყვა რუსუ-
 ლად არის ნათარგმნი; ზოგიც კიდევ მე გად-
 მოვაქართულე.

ლ. ცაგარელი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

(წერილი მეოთხე)

მცენარენი და ცხოველნი

მეცნიერების დღევანდელი თვალსაზრისით. 21 სურათით

შედგენილი ვ. ი. რუხილაძის მიერ

(დასასრული)

- 42) გახევეჭებული (116 გვ.) იქნება სჯობდა გააკაჭებული, აკი გაჭვთ დაწერილი გახეებული (გვ. 109) ეს ათას წილად არა სჯობია (გახეებული ცელიუღეზი).
- 43) ტუტიანდება უ. ი. მტუტდება.
- 44) გარდააკეთებს ცხიმიან სიმეავედ სჯობს ითქვას: გადააკეთებს ცხიმის მთავად.
- 45) ქლორწყალბადიანი სიმეავე. პირდა-

პირ სიტყვა-სიტყვით რუსულიდან გითარ-
 გმნიათ. უნდა სიმარტივესთვის ვიხმაროთ
 ტერმინი: მარილმეავე (Соляная кислота)
 და თუ არ დაგიშლიათ, მაშინ ლათინურიდან
 უნდა ითარგმნოს: Acidum Hydrochloratum
 მეავე წყალბადხლორიანი.
 46) ნალველა რო დვიძღის წვენი იყოს,
 მაშინ ხო დვიძღიც არ იჭმეოდა სიმწარის

გამო. ნაღველა არის სითხე, რომელსაც ღვიძლი ქმნის და განსაკუთრებულ ჰარკში სწევთ, ჟონავს მიღებით.

47) „ცხიმოანი სიმუჯე და ტუტა, ნაღველა რომ დავასხათ ზედ (გვ. 119) დამეთანხმეთ ყველა ვერ გამოარკვევს, რის თქმაც გინდოდათ.

48) ხმარდება იგივე საქმეს, უნდა ითქვას იმავე საქმეს, ამ შემდგარ ფორმას ყველგან ხმარობთ ქიმიასივც და ამ წიგნშიაც. დავიჯერო არავინ შეგნიშნათ და თუ შეგნიშნათ რაღას ჯიუტობთ.

49) ქონის ხარშვა. სჯობს ითქვას ქონის მონელება.

50) ბაქტერიები უ. ი. ბაქტერიები.

51) „ნეშომპალის ჰაერგვარი“. БОЛОТНЫЙ ГАЗЪ. ამას ხო ქართულად ქაობის გაზი ჰქვიათ და რაღა საჭირო იყო ნეტა ახალი ამერიკის აღმოჩენა, მახვილ გონიერებაც ამას ჰქვიათ: ნეშო?... მპალი?... ჰაერი?... გვარი?..

როდესაც მცენარეულობის სხეული წყალქვეშ იხრწნება, მაგალითად გუბე-ჭაობებში და სხვ., მაშინ თავისუფალ ჟანგბადს (КИСЛОРОДЪ) მოკლებული წყალბადი უერთდება ნახშირბადის ნაწილს და ამით ქმნის ქაობის გაზს CH_4 . აი ამ ქიმიური პროცესის უნარია გუბე-ჭაობებში რომ ჭაობად ძვეს ლექის მაგვანი შავი ლამი, შავი მიწა, რომელიც შეტად მდიდარია ნახშირბადით (ნახშირით). ჭაობებში რომ ტორფი *). ძვეს იქაც ამ გვარად წყალ ქვეშ ღებობდა ათას წლებით მცენარეთა სხეული და შეიქმნა ტორფი, რომელსაც აგურებივით, აღიზავით სჭრანს, ახმობენ და შეშის მაგიერ ხმარობენ.

52) ამინოვის სიმუჯე. ახირებული ტერმინია თქვენმა მზემი!..

* ტორფი—ნემეტური სატყვა და ქართულშიაც ასე უნდა მივიღოთ.

ორგანიულ ქიმიასი ცნობილ არიან ამიდეზი და ამინები, რომელნიც წარმოსდგებიან ამიაკურ წარმოშობით ნახშირ-წყალბადთა რადიკალებისაგან. აი აქედან წარმოსდგება მუთავა ამინისა და თუ გინდაც თქვენებურად რომ ვსთქვათ—ამინის სიმუჯე. კარგი და პატიოსანი! მაშ რაღა საჭირო იყო ამინოვი თუ ვინაღაც მაინოვი? ნეტავ შემატუბინა ნათლიად ვინა გყავდათ.

რუსულად АМИДЫ და АМИНЫ რომ დურქმევიათ, აქედან, ამ ძირიდან, რა თქმა უნდა წარმოსდგა რუსული ენის შესაფერიც АМИДОКИСЛОТЫ, АМИНОВА КИСЛОТА, АМИНОВЫЯ КИСЛОТЫ. ძლიერ პატიოსანი, მერე ქართულ ქიმიასიაც ეს რაღაც ОВЫ განა სვადლებულა!? ნუ თუ არ კმარის გვარების დამახინჯება—ამილანგაროვი, წერეთლოვი და სხვ. მაშ სჩანს ქიმიასიაც ღლიალობა გვმართებს რუსების წინაშე. დიად, ბატონებო, სსსცილთა, რომ ყველა ეს სტირელი არ იყოს...

53) ქონის შესუტვა უ. ი. შესრუტვა.

54) სერუმ ალბუმინი. ეს ხომ სისხლის ცილა არის და ასეც დასწერდით, ანუ ახსნიდით მაინც, მით უფრო რომ თავნკარი სერუმალბუმინი უოველივე თვისებით ძლიერ წაგავს კვერცხის ცილას. სადაც კი შეიძლება ქართული, იქ რაღა საჭიროა საქმის გართულება, დაბნელება, გაძნელება?..

55) სერუმგლობულინი. ესეც ცილიანი ნივთიერებაა სისხლისა, რომელიც არ იხსნება წყალში. საზოგადოთ ლათინური Serum ქართულად არის შრატო, უმთავრესად კი ეტუვიან სისხლის შრატს, აგრეთვე დიფტერიის (ხუნავის ასცრელ) შრატს—Serum anti-diphthericum და სხვ. მაგალითად Serum lactis რძის შრატია.

56) УТРОНОСТЬ-ს ქართულად ჰქვიათ იხვინისკარტა.

57) ლაყლყები (გვ. 148)-ამჟამა ლაყუ-

ჩები უნდა გეთქვას. რასაკვირველია ეს კორექტორის ბრალის, მაგრამ როცა ამგვარ შეცდომებით სავსეა წიგნი *), მაშინ ქართულ მკითხველს სრულებითაც ეკარგება ხალხის წიგნის წაკითხვისა. მით უფრო, რომ სამეცნიერო წიგნი როდის სამიჯნურო მთხრობა... ამ მხრივ ჩვენში რედაქციებიც ბევრსა სცდლავენ. ამას წინეთაც ექიმ თიკანაძეს ბაქტერიებს ორი ადლი კული გამოაბეს **).

იმის იმედი ნურვისა გაქვთ, ბატონებო, რომ წიგნის ბოლოში დაურთობთ „შეცდომების გასწორება“-ს იმ მოსაზრებით, რომ მითამ მკითხველი ჯერ კორექტურულ შეცდომებს გასწორებს წიგნისას და მერე კი დაუწყებს კითხვას. ჩემი შეჭედლილი ხატის ამბავი მე უკეთ ვიცი.

58) ფილოქსერამ საქართველოს ვენახები მთლად გაანაზა, პატრონები რიუეზე დასვა. თქვენ კი აგიდიათ და წვრილი ასრებით (ციცეროთი) დაგიბეჭდიათ,—სადღაც კუთხეში მიგიგდიათ ძნძიძველასავით, თითქმის იმიტომ დაგიწერათ ეს წიგნი, რომ მეურნეობა ააყვანო?!.. ფილოქსერა ჩვენთვის პირველ ხარისხოვანი საკითხია და ასე აბუხად არ უნდა აგეგდოთ. უნდა ტექსტშივე დაბეჭდილიყო, თანაც სურათები ანბანით აკესხნათ, რათა კარგად დასლყოებით გასცნობოდა ქართველი მეურნე თავის უხილავ მტერს. მერე და რამდენი სტრიქონიც არის, იმდენიც შეცდომას. აბა ეს რასა ჰგავს: კვერცხდან, იძადება, ადის (ჩადის მაგივრად) და სხვ. ამ გვარები.

59) კენძულზე გერკვალენ. ჯერ რო უთუოდ ჰერკვალენია, თანაც რა გაიგოს მკითხველმა ჰერკვალენ კაცის გვარია, თუ კენძულ-

*) ოფიციალურად 35 შეცდომა გაქვთ ნაჩვენები (კორექტურული) და არა ოფიციალურად ამდენივე იქნება; ეს კი დიდი დაუდევრობაა. 174 გვერდიან წიგნისთვის ყოვლად შეუფერებელია.

**) გვსმენია, რომ ქალებს საზოგადოთ კორიკანობა უყვართ, მაგრამ არც ასე შეწმინდა ვარგა.

ძულის სახელი? უნდა გეთქვას: კუნძულ ჰერკვალენზე. აი ასე ქრისტიანული იქნება.

60) სტვენა სიმღერა. „ეური იმიტომ არ გაიზდება, რომ ბევრ ახალ ამბავს გაიგებს ხელმეო. იმედია დამუთანხმებით, რომ ფრინველებმა მხოლოდ სტვენა და გალობა იციან. სიმღერა განსაკუთრებით ადამიანის კუთვნილებას შეადგენს. მაგრამ „რუსეთში“ აქაც გამოჭვივის. ჰო და, რადგან რუსებს არ ახადიათ ცალკე ტერმინი, ბ. რეხილადიც იმიტომ ამღერებს ფრინველებს—გადარჯულებაც სწორედ რომ ასეთი უნდა.

61) სართალი—სამკალი. ეს ქაჯური თუა! მაგრამ უკაცნავად, მერე კი თქვენვე ასწორებთ. უნდა იყოს: სართალი—სამკაული. ჯერ ერთი რომ აკი გითხარით, რომ წიგნის დამატებაში არავინ ჩაიხედავს და უფრო უარესი კიდევ ის არის, რომ თქვენ მიერ გასწორებულს ისევ გასწორება სჭირია. უნდა გეთქვას: სართავ-სამკაული ანუ მართულობა—სამკაული. აი ეს არის მართებული ქართული.

62) ზღვის ხოკრები. უ. ი. ღვინჭილათი ანუ ლოკოკინებით და თუ არ დაგიშლიათ, ლოკოკინას ხოკრებით. ხოკერი არის ხის ქერქის ჭურჭელი.

63) თუთიყუში. ნუ რვეთ მონასტერს! თუთა ხო ხილია, ხოლო ყუში თათრული სიტყვაა და ნიშნავს ფრინველს: თუთიყუში—თუთის ფრინველი, მაშ ადარა სთქვას თუთუ...

64) სამოთხის ფრინველი. კიდევ ორიგინალობით. Райская птица-ს ჩვენმა პაპებმა დაარქვეს სამოთხის ჩიტი. თქვენც ხო იცით, რომ მართლაცდა ჩიტების რაზმს ეკუთვნის Райская птица.

65) კენჩხოს ფოსო. უ. ი. კენჩხის ფოსო ანუ კენჩხას ფოსო.

და 66) ქალა. თუ კენჩხას ხმარობთ, თათრული ქალა (ქაღლა) რადასთვის ჩაჩხირეთ. მე გამეხარდა, ძლივს მიაგნეს მეთქი, რომ

Черепъ ქართულად არის კენჩხა და ბოლოს კი მაინც მიდალატეთ.

ბოლოს და ბოლოს იმედი მაქვს, რომ ამდენ დროს შემდეგში ადარ დამაკარგვინებთ. მე თქვენ საგნის ცოდნას არ გედავებით. ის ერთი დიდი ალილოია რო შეგცდათ, (კობოს ზურგზე რომ დომი ამოიფანეთ) ეგ რა უფოთ, ხიფათია, მოსაყალიოა. ჭე და იმას მოგახსენებდით. სწერეთ, ბატონებო, მაგრამ სწერეთ ქართულად, მართებულად, დიდის ურადლებით და პაპულარულად, გასაგებად. კიდევ ერთი რჩევაც: მშვენიერის ქართულით, საუცხოოთ გასაგებად არის დაწერილი გვერდი 105 „რა მიზნით მუშაობს მცენარე“ ჭე და ვისმა კურთხეულმა მარჯვენამაც ეგ დასწერა, კიდევაც ეგ დასვით და აწერინეთ.

ილ. ალხაზიშვილი.

P. S. სიმბოლის სათაურით, Немудрствуя лукаво, პირდაპირ ვადმოთარგმნეთ ზრთოესკრის ნიკოლსკის წიგნიდან. რა საუცხოოდ, რა მშვენიერად და საინტერესოდ აქვს აწერილი აქტინიას და კიბოს განუყრელი ერთობა, თრიკისთვის სსსრკებლად ცხოვრება!!

ბატონო და, მთელი რუსეთი სამეცნიერო ლიტერატურა სულ ნემეცურიდან არის ნათარგმნი და მთარგმნელი ზრთოესკრები არამც თუ თავილებენ ამის გამომყდავებს, პირიქით სასხელოდაც მიანხათ. ჩვენ კი რაღაც ცრუ თავმოყვარება გვიდრდნის გულს, მანია დიდებისა გვჭირს (პირველ ჩემი თავისას) და მგონი რომ თან გადაგვიტანს კიდევ.

ილ. ალხ.

ღია წერილი

აკეთის საზოგადოების მასწავლებლებს:

ბ.ბ. მიხ. სახარულიძეს, კონ. ჭეიშვილს და თ. ბეშქენაძეს

მეწაღეო ხელმწიფენო! თუმცა კარგა ხანია ვიდაცა სწერდა, რომ თვითეული მასწავლებელი ვადლებულია უფველივე ბორტუბა, ყველა შეცდომები, რომლებსაც განზახხ თუ შეუგნებელათ სხადიან ზოგიერთი მასწავლებლები სკოლაში, გამომყდავანს, საზოგადოებას გააცნოს და ამით საშუალება მისცეს მას თავისი მსჯავრი დასდოს ასეთ მასწავლებლებსო, მაგრამ, მე მგონია, ბავშვების მშობლებიც არ უნდა იფენენ მასწავლებლებზე ნაკლებ დაინტერესებულნი ჩადენილი ბორტუბის გამომყურებაში, როდესაც ეს ბორტუბა მათ ნორჩ შვილებს ღუზავს და ამიტომ მოგმართავ თქვენ: კარგათ უნდა გახსოვდეთ, რომ გასულ-წლის ნოემბერში, როდესაც სახალხო სკოლების დირექტორის ბ. ვიშნევს-

კისკან გაკვეთილების აღნუსხვა გამოვიდა, მთელი ქართული ზრესა, შეგნებული საზოგადოება და თვით სახალხო მასწავლებლების უმრავლესობაც უკმაყოფილო დარჩა ქართული ენის გაკვეთილების შემცირებით. ამას შემდეგ ვინდა იფიქრებდა, რომ ამ კულშეკვეცილ ზრამას ვინმე თავხედი კიდევ უფრო შეაკვეცდა კულს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც თქვენ თქვენსავე მეზობელ სოფლების მასწავლებლებს „თქვენებური პატრიოსანი სიტყვა“ მიეცით: „უსათუოდ სამოსწავლო მთავრობის ნაჩვენები გზით ვივლითო“. მიუხედავად ყველა ამებისა, მიუხედავად იმისა, რომ ბ. დირექტორი თფიციალურათ, გარკვევით, გიცხადებთ: „პირველი წლის პირველ ნახევარში სრულებით ნუ შეიტანთ რუსულს, ხოლო მეო-

რე ნახევრიდან ასწავლეთ „ლექსიკური“ გან-
 უოფილებიდან“, თქვენ მაინც ვერ მოგი-
 მენათ და თქვენებურათ, გასპარაკის დროის
 ჩვეულებისამებრ, პირველ წელიწადსვე აკით-
 ხებთ წიგნებში: „Лапа“, „Пила“ და სხვ.
 ან ვინა თქვენი ასეთი მოქმედება რას მივა-
 წერო: ჰედაგოგიურ სიბერეს, სრულ მთუმზა-
 დებლობას, თუ სხვა რასმე!! თქვენთან მოსია-
 რულე 8 წლის ბაღიცი კი ხვდება, რომ შე-
 უძლებელია უცნობი სიტყვების წიგნიდან ლექ-
 ვა; თქვენ კი, ცალმფილიანი ხალხი, არც
 ისეთი ბაღდება ხართ, ნუთუ ვერ მიხვდით,
 რომ შეუძლებელი არ შეიძლება? ანა მკონია
 რომ ეს არ იცოდეთ, მაგრამ, ალბათ, სხვა
 ქვენა აზრები გამოქმედებთ აგრე და იმას
 კი ვერ ხვდებით, თუ რა საშინელ ბოროტებას
 სჩადინართ: ბატონებო, თქვენ სჯიჯნათ შე-
 უბრალებლათ თქვენი ტლანქი ფეხებით იმ
 ხორჩ თაბას, რომელიც თქვენ მოგაბარეს
 აღსაზრდელათ; თქვენ უფსკრულში ჰყრით
 მშობლების უკანასკნელ იმედებს და ამავე

დროს იმათვე მშობლებს პირში უცინით.
 დღეს თქვენ სარტებლობთ ჩვენი ხალხის შე-
 უცნებლობით და ამავე ხალხთან არხეინათ,
 უმასუხისმკებლათ დასეირნობთ, მაგრამ თქვე-
 ნი ასეთი სეირნობა ხანგრძლივი ვერ იქნება:
 მოვა დრო და ეს, უკუდმართი გზით აღზრ-
 დილი, ახალ-გაზრდობა მოგთხროთ შესაფერ
 ჰასუხს თქვენ, უკუდმართ გზაზე დამდგარო
 „ჰედაგოგებო“ და მაშინ ვაი თქვენ!!! მანამ-
 დი დაფიქრდით, რას სჩადინართ?.. გასული
 წლის შეცდომები კი აღარ გასწორდება, მაგ-
 რამ მომავლიდან უოველივე დონე უნდა იდო-
 ნოთ, რომ ეს ბოროტება არ განმეორდეს.
 არ ვინა, შეიძლება რამეთი ამართლებოთ თქვენ
 საქციელს, შეიძლება ბევრი სხვა მასწავლებ-
 ლებიც ასეთ ბოროტებას სჩადინ? მე თქვენ
 გიცნობთ და თუ რაიმე გასამართლებელი
 გაქვთ, მოვითხრო მაჩვენოთ თქვენი სიმართ-
 ლე რომელიმე ქართული გაზეთის ფურც-
 ლებზე.

ერთი მშობელთაგანი.



საერთაშორისო მ უ ზ ე უ მ ი

ბრიუსელში 1910 წ. მაისის 9,10 და 11-ს შემდგარმა საერთაშორისო
 ასოციაციათა მსოფლიო კონგრესმა დაადგინა ისეთი მუზეუმი დაარსოს, სადაც
 წარმოდგენილი იქნება სხვა და სხვა ერთა გონებრივისა და ტენიკის წარმატე-
 ბის რეზულტატი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში. ასეთი მუზეუმის და-
 ნიშნულებაა დაანახოს ყველას საერთაშორისო სოციალურ ორგანიზაციის ყოველ-
 მხრივი წარმატება, აგრეთვე მნიშვნელობა ამ ორგანიზაციისა საზოგადოებრივი
 და სამეცნიერო მხრით. მუზეუმში თავმოყრილი იქნება საერთაშორისო და შედა-
 რებითი ხასიათის კოლექციები, მაგალითად: სხვა და სხვა ნივთები, გრაფიკები,
 დოკუმენტები მეცნიერებისა, ხელოვნებისა, სოციალურ ეკონომიისა, მწერლობისა
 და აღებ-მიცემობის განვითარების მაჩვენებელი.

მუზეუმის მოწყობა და მისი მოვლა მინდობილი აქვს საერთაშორისო ასოციაციის ცენტრალურს დაწესებულებას, მსოფლიო კონგრესის აღმასრულებელს ორგანოს. ეს დაწესებულება ბელგიის მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ყოველს ქვეყანას და ეროვნებას განსაკუთრებული დარბაზი აქვთ დათმობილი, სხვათაშორის, ქართველთაც. ეს პირველათაა, რომ საქართველოს შემთხვევა ეძლევა ევროპას დაანახვოს თავისი გონებრივი და ტექნიკის წარმატების რეზულტატი და ამ მხრით ცხად ჰყოს, რომ ისიც საკუთარი ცხოვრებით სცხოვრობს.

ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც ამ ჟამად საქართველო იმყოფება, იმისი მიზეზი გახლავთ, რომ მას თავი ვერ გამოუჩენია საერთაშორისო ცხოვრებაში; ამ მხრით ქართულ განყოფილებას მუზეუმის სხვა განყოფილებებთან შედარებით, ცოტა არ იყოს, განსაკუთრებული ხასიათი ექმნება. ამიტომ საჭიროა წარმოადგინოს მან თავისი საზოგადოებრივი მუშაობის რეზულტატი და მეთოდი. ყოველსავე შემთხვევაში ქართულ კოლექციებზე დამყარებული შედარება უცხოელთა განყოფილებებთან მას საერთაშორისო მნიშვნელობას მიანიჭებს.

საერთაშორისო მუზეუმის ქართულ განყოფილებაში მოთავსებული იქმნება: ა) საისტორიო განყოფილება, ბ) საუთნოგრაფიო და საგეოგრაფიო: რუკები, რელიეფები, მცხოვრებთა კარტები, პეიზაჟები, ეროვნული ტანისამოსები, სახალხო ხელოვნების ნიმუშები და სხვ. გ) საეკონომიო და სოციალური განყოფილება: სოციალური ორგანიზაციები, საკოოპერაციო ამხანაგობანი და სხვა. დ) სამრეწველო და სავაჭრო განყოფილება: ცნობები მრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა დარგთა და გამოსადეგ ცნობათა გავრცელების შესახებ; ე) აღზრდისა და სხვადასხვა სწავლა განათლების განყოფილება: ცნობები ქართველ ერთა განათლებისა და აგრეთვე სხვა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესახებ; ზ) სამეცნიერო განყოფილება: სურათი საქართველოს მონაწილეობისა ევროპის სამეცნიერო წინსვლაში.

რომ საერთაშორისო მუზეუმში ქართულ განყოფილებას მნიშვნელობა ექმნება, ეს ეჭვს გარეშეა, ვინაიდან იგი დასავლეთ ევროპას ხელს შეუწყობს მის დაახლოვება-გაცნობაში. მაგრამ რომ ეს განყოფილება მოეწყოს, ამისთვის საჭიროა თვით ქართველ ხალხის თანაგრძნობაც. აი, ამ წერილით მივმართავთ ყველას, ვისაც კი გული შესტკივა ქართულ ერის წინსვლისა და მის წარმატებისთვის. ვთხოვთ დაგვეხმარონ, მოგვაწოდონ ანგარიშები, სასტატისტიკო ცნობები, წიგნები, ქართები, გრაფიკები, სურათები და სხვა ნივთები. იმედი გვაქვს ჩვენი საზოგადოება ზნეობრივსა და მატერიალურს დახმარებას აღმოგვიჩენს, რაიც რომ ასე საჭიროა ამ ახალი დაწესებულების ასაღორძინებლად.

საერთაშორისო მუზეუმის ქართული განყოფილება ბრიუსელში.

თავმჯდომარე ბარბარე ყიფიანის ასული

მდივანი

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.

სნობაბი

ქ. ო. წერს-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების მოქმედებისა.

ბაქოს განყოფილების 1913 წლის ანგარიში

ო ქ მ ი

ბაქოს განყოფილების წევრთა საზოგადო კრების 1913 წ. 3 ივნისს.

კრება გახსნა განყოფილების თავმჯდომარემ თ-დმა ი. დადიანმა და კანონიერად აღიარა იგი, ვინაიდან კრებაზე გამოცხადდა 42 წევრი, ე. ი. წევრთა საერთო რიცხვის მეოთხედზე მეტი. მდივნად არჩეულ იქნა ლალო ახოზაძე. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას.

შემდეგ მდივანმა წაიკითხა 1912 წლის ანგარიში. წევრთა სხვა და სხვა შეკითხვების და გამგეობის მხრით განმარტებების შემდეგ ანგარიში ერთხმად მიღებულ იქმნა. ბოლოს თავმჯდომარემ მოახსენა კრებას განზრახული საკუთარი შენობის სავესებით დამთავრების საქმის ვითარება. კრებამ დაადგინა ეთხოვოს გამგეობას კვლავ გამართოს კათოლიკების მრევლთან მოლაპარაკება და შეეცადოს შეისყიდოს მათი შენობები, რისთვისაც უნდა გაიღოს არა უმეტეს 5000 მან.

დასასრულ თავმჯდომარის წინადადებით კრებამ წამდვილ წევრებათ ჩარიცხა ის პირები, რომელნიც კანდიდატებათ ითვლებოდნენ, სახელდობრ: ბეჩია ი. ო., გელოვანი ი. დ., ვასაძე ე. ლ., ვასაძე ს. ლ., იაკაშვილი ა. ი., კეთილაძე ს. გ., კაციტაძე ი. დ., ლანდია პ. ს., ლურსმანიშვილი ლ. ა., მაისუროვი ა. რ., მაჩაბელი ნ. ე., ჟღენტე მ. კ., რუხაძე რ. ტ., სოხაძე პ. მ., სირბილაძე ს. ვ., სუკიასოვი., კაჭახიძე ი. ფ. და კაკაბაძე მ. (სულ 18).

თავმჯდომარე თ-დი ი. დადიანი.

მდივანი საზოგადო კრებისა ლ. ახოზაძე.



ბაქოს განყოფ. გამგეობის 1913 წ. მოქმედების მოკლე დახასიათება

გამგეობის შემადგენლობა: თავ. ი. ი. დადიანი (თავმჯდომარე), ს. მ. კვიციანი (თავმჯდომარის ამხანაგი), ლ. ა. ახობაძე (მდივანი), ვ. ბ. ხუჭია (ხაზინა-ზადარი), დ. ი. თედეშვილი (მოანგარიშე), პ. ლ. გელოვანი, მ. ა. ნასიძე, რ. ს. ნაცვლიშვილი, მ. ი. კალანდარიშვილი, ვ. შ. ახვლედიანი, კ. ტ. ლორთქიფანიძე, ლ. ლ. გოცირიძე, პ. ი. ქარუმიძე, ი. მ. თურქია. (სულ 14).

დასახელებული პირთაგან, ბაქოდან წასვლის გამო, გამგეობიდან გავიდა პ. ლ. გელოვანი და მის ნაცვლად გამგეობაში მოწვეულ იქმნა კანდიდატი ევ. ივ. ჩიხლაძე.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა სულ 30 სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: 1) თავ. ი. ი. დადიანი 4-ჯერ; 2) ს. მ. კვიციანი 26; 3) ლ. ახობაძე 22; 4) ვ. ბ. ხუჭია 26; 5) დ. ი. თედეშვილი 26; პ. ლ. გელოვანი 13; 7) მ. ა. ნასიძე 17; 8) რ. ს. ნაცვლიშვილი 14; 9) მ. ი. კალანდარიშვილი 19; 10) ვ. შ. ახვლედიანი 17; 11) კ. ტ. ლორთქიფანიძე 3; 12) ლ. ლ. გოცირიძე 21; 13) პ. ი. ქარუმიძე 23; 14) ი. მ. თურქია 26; და 15) ე. ი. ჩიხლაძე 4-ჯერ.

ამ სდომებზე განხილულ იქმნა სულ 75 საქმე. გამგეობას არჩეული ჰყავდა ოთხი კომისია: 1) სასკოლო, 2) სამეურნეო, 3) საბიბლიოთეკო და 4) საამშენებლო. ქართული თეატრის საქმეს-კი განაგებს განსაკუთრებული დრამატიული სექცია, რომელიც ავტონომიურად მოქმედებს.—

როგორც წინა წლებში, ისე საანგარიშო წელშიაც გამგეობის უმთავრეს საზრუნავ საგანს ქართული სკოლა შეადგენდა. დაწვრილებითი ცნობებს სკოლის შესახებ მკითხველი იპოვის ქვევით, სასკოლო კომისიის მოხსენებაში. აქ-კი იმას ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართულმა სკოლამ საესებით გაამართლა ის იმედები, რომელსაც ამყარებდნენ მასზე სკოლის დამაარსებელნი. კოლის ხუთი წლის არსებობამ დაგვიმტკიცა, რომ იგი უსაჭიროებს საგანს შეადგენს ბაქოელ ქართველთათვის, განსაკუთრებით-კი ჩვენი ხალხის ხელ-მოკლე ნაწილისათვის. ამ ყამად ბაქოელი ქართველობა უსკოლოდ წარმოუდგენელია. ქართული სკოლა სწორედ ის კულტურული ცენტრია, რომლის გარშემო იკრიბება ბაქოელი ქართველობა, სადაც აღიძვრის და სწყდება ხოლმე ყოველივე საზოგადოებრივი ხასიათის საკითხი.

როგორც ზევით იყო მოხსენებული, ქართულ თეატრის საქმეს განაგებდა დრამატიული სექცია, რომელმაც საანგარიშო წელს სულ 29 წარმოდგენა გამართა. ასეთი არაჩვეულებრივი, დიდი რიცხვი ქართული წარმოდგენებისა უტყუარი საბუთია იმისი, რომ ადგილობრივ ქართველთათვის ქართული წარმოდგენები ერთ უმთავრეს სულიერ მოთხოვნილებად გადაიქცა. აღსანიშნავია დრამატიული სექციის ენერგიული და მუყაითი მუშაობა. მიუხედავად მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზებისა (უმთავრესად წარმოდგენებისათვის შესაფერი დარბაზის უქონლობა), მან მაინც შესძლო წარმოდგენების კარგად მოწყობა; წარმოდგენებს ხალხი საერთოდ ბლომად ესწრებოდა. მთელი წლის განმავლობაში ქართული წარმოდგენე-

ბიდან შემოვიდა სულ 6,803 მ. 39 კაპ., დაიხარჯა 7164 მ. 10 კ. ამ რიგად ქართულ წარმოდგენების მოწყობაში გამგეობას დაეხარჯა მხოლოდ 360 მ., 71., რაც უნდა ჩაითვალოს საგრძნობელ ხარჯათ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დიდ-სულიერ სარგებლობას, რომელიც ამ წარმოდგენებს მოაქვს საზოგადოებისათვის.

ვრცელი მოხსენება დრამატიული სექციის მოქმედების შესახებ აქვე იბეჭდება.

ქართულ სკოლასთან არსებული წიგნთ-საცავი საანგარიშო წელს ახალი წიგნებით შეივსო. ამ ჟამად წიგნთ-საცავში არის სულ 1455 ცალი წიგნი, მათ შორის 530 ქართული წიგნია:—სიტყვა-კაზმული მწერლობა, მეცნიერება, კრიტიკა, პედაგოგია და სხვა; 90 რუსული წიგნი, რომელშიაც აწერილია კავკასია და კერძოდ საქართველო ისტორიულ-ეთნოგრაფიულად, 320 რუსული და 515 საბავშვო წიგნი. არის აგრეთვე ათიოდე წლის ზოგი ჟურნალ-გაზეთები: „მოამბე“, „აკაკის კრებული“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „განათლება“, და სხვ.

წიგნებით სარგებლობის გასაადვილებლად გამგეობამ მოიწვია წიგნთ-საცავის გამგე, რომელიც კვირაში სამჯერ:—სამუშაოთობით, ხუთშაბათობით და კვირაობით აძლევს წიგნებს მსურველთ. წიგნებით სარგებლობა უსასყიდლოა. წიგნები მიაქვთ უმთავრესად ბაქოს სხვა-და-სხვა სასწავლებლის მოწაფეებს, სცენის მოყვარეებს, მუშებს, ნოქრებს და კანტორის მოსამსახურეთ.

საკუთარი შენობის დამთავრების საქმე ამ ჟამად შემდეგ მდგომარეობაშია: კათოლიკეთა მრევლმა უარი უთხრა გამგეობას ადგილის განთავისუფლებაზე, რომელიც საჭიროა განზრახული შენობის პირველი სართულის გასაგრძელებლად და გამგეობაც უძღურია ამ მხრივ რაიმე ზომები მიიღოს, რადგანაც ხელშეკრულობის ძალით მრევლს უფლება აქვს ისარგებლოს იმ ადგილით მანამ, ვიდრე თავის ახალ ეკლესიისა და შენობის აგებას არ დაასრულებს. გამგეობამ სცადა კათოლიკეთა ძველი შენობების შესყიდვა, რაშიაც იმათ მოითხოვეს: ერთდროულად რვაასი თუმანი, ან ნაწილ-ნაწილად ათასი თუმანი,—ათი წლის განმავლობაში 4% სარგებლის მიმატებით. გამგეობამ და საამშენებლო კომიტეტმა ამაზე უარი განაცხადა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გამოიჩვენა, რომ ამ ნიადაგზე კათოლიკეთა მრევლთან შეთანხმება შეუძლებელია და გამგეობაც საამშენებლო კომიტეტთან ერთად სულ სხვა გზას დაადგა. მან გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს ეხლანდელ შენობებზე მეორე სართულის დადგმას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, რადგან ეს შეძლებას მოგვცემს მეოთხე განყოფილება, რომელიც ამ ჟამად პატარა და ვიწრო ოთახშია მოთავსებული, მეორე სართულის სრულ და შესაფერ ოთახში გადავიტანოთ, იმავე სართულში მიუჩინოთ ბინა სკოლის გამგეს და დაუთმოთ საჭირო ოთახები ქალთა წრის პროფესიონალურ სკოლას, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნება ცალკე ბინა მოსძებნოს თავის სკოლისათვის, რაც მეტად ძვირად დაუჯდება.

ხოლო რაიცა შეეხება შენობის ქვედა სართულის გაგრძელებას და საზოგადოათ მთელი განზრახული გეგმის სისრულეში მოყვანას, ეს გამგეობამ და საამშენებლო კომიტეტმა გადასდო იმ დრომდე, ვიდრე კათოლიკეთა მრევლი სრულეობით არ განთავისუფლებს ადგილს. ეს დადგენილება გამგეობისა და საამშენებლო

კომიტეტის შეერთებული სხდომისა მოხდა მიმდინარე 1914 წლის 30 აპრილს. ახლო მომავალში გამგეობა შეუდგება მეორე სართულის აგებას და შემდეგ კი თეატრის და საზოგადოთ მთელი შენობების დამთავრებას, რასაც დასჭირდება ვარაუდით არა ნაკლებ 50 ათასი მან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბაქოელი ქართველობა ყოველივე ღონის ძიებას მიიღებს რათა საამშენებლო კომიტეტმა შესძლოს ამ ფულის შეკრება.

საამშენებლო კომიტეტს ჯერ-ჯერობით შეკრებილი აქვს 1737 მან. 56 კაპ.

ასე ცოტა ფული აქვს ჯერ-ჯერობით გამოღებული ბაქოელ ქართველობას საკუთარი შენობის ასაგებად. ეხლანდელი შენობა მხოლოდ ბ. ი. მანსვეტაშვილის შემოწირულებით არის აგებული; ქართველობას ამაში ხარჯი არ გაუწევია.

ნივთიერი მდგომარეობა ჩვენი განყოფილებისა საანგარიშო წლის განმავლობაში ამ გვარი იყო: მთელი შემოსავალი უდრიდა 6,059 მ. და 99 კ.; გასავალი 5,668 მ. და 75 კ. უმთავრესი წყარო შემოსავლისა, როგორც წინა-წლებში, ისე საანგარიშო წელშიაც ჩვეულებრივი ქართული საღამო იყო, რომელმაც 4403 მანეთი წმინდა შემოსავალი დაგვიტოვა. ამ რიგად ქართული სკოლის და საზოგადოთ ჩვენი განყოფილების ნივთიერი კეთილ-დღეობა დამოკიდებულია ქართული საღამოების შემოსავალზე, რადგანაც სკოლას სხვა მუდმივი შემოსავლის წყარო არა აქვს.

ბაქოს ქართული სკოლა

ბაქოს ქართული სკოლა დაარსდა 1909 წელს 4 ოქტომბერს. საანგარიშო წლის განმავლობაში სკოლაში ირიცხებოდა 74 მოწაფე ქალი და ვაჟი. წლის განმავლობაში სკოლას სხვა და სხვა მიზეზებისა გამო თავი დაანება 10 ბავშვმა. ამნაირად წლის ბოლოს სკოლის თითოეულ განყოფილებაში ირიცხებოდა:

| | | |
|----------------------|----|--------|
| პირველ განყოფილებაში | 20 | მოწაფე |
| მეორე | 23 | " |
| მესამე | 19 | " |
| მეოთხე | 2 | " |

სკოლა დამათავრა ორმა მოწაფემ. ერთი მათგანი მიიღეს წმ. ნინოს სასწავლებლის მეორე კლასში; მეორე კი პროფესიონალურ სკოლაში სწავლობს.

საანგარიშო წლის პირველ იანვრიდან სკოლის გამგე მასწავლებლად მოწვეულ იქნა მ. კაკაბაძე. მასწავლებლებად იყვნენ ქ. ქ. ე. დიდიას მეუღლე და მ. ჩიხლაძის ასული.

ენკენისთვიდან მეოთხე განყოფილებაში თავი მოიყარა 13 მოწაფემ. სკოლის პედაგოგიურმა რჩევამ, სასკოლო კომისიამ და გამგეობამ კარგახნის მსჯელობისა და თათბირის შემდეგ საჭიროთ და სასარგებლოთ დაინახა ამ განყოფილებისათვის კერძო მასწავლებლის მიჩენა და ამ მიზნით მეოთხე მასწავლებლის მოწვევა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. ახალ მასწავლებლის მოწვევამდე პირველ ორ გან-

ყოფილებას ასწავლიდა სკოლის გამგე. შემდეგ პირველ განყოფილებას ორი მასწავლებელი გამოეცვალა. საანგარიშო წლის უკანასკნელ თვეებში ხშირად ავადმყოფობდა ქ-ნი დიდიას მეუღლე და ბოლოს მასწავლებლობას თავი დაანება.

მასწავლებელთა ასეთმა ხშირმა გამოცვლამ, ცოტა არ იყოს, შეაფერხა სკოლაში სწავლების საქმე. ხოლო მალე მხნე ზომები იქნა მიღებული შეფერხებულ საქმის გამოსასწორებლად და სკოლის წესიერ და ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად.

გამგეობას თავის წევრთა შორის არჩეული ჰყავს სასკოლო კომისია, რომელიც შესდგებოდა შემდეგ პირთაგან: მ. ნასიძე (თავმჯდომარე), მ. კალანდარიშვილი, ექიმი ლ. გოცირიძე, რ. ნაცვლიშვილი და პ. ქარუმიძე. წლის ბოლოს სასკოლო კომისიის წევრობას თავი დაანება მ. ნასიძემ. მის ნაცვლად მოწვეულ იქნა ევს. ჩიხლაძე, ხოლო თავმჯდომარეთ აირჩიეს—რ. ნაცვლიშვილი. ამის გარდა მეექვსე წევრად გამგეობამ აირჩია ვ. ახვლედიანი. სასკოლო კომისია თვალ-ყურს ადევნებს სკოლას, ზრუნავს მის წარმატებასა და კეთილდღეობაზე, სწავლა-აღზრდის გაუმჯობესობასა და სასურველად მოწყობაზე; მართავს სკოლის მასწავლებლებთან ერთად სხდომებს, სადაც არკვევს და იხილავს სწავლა-აღზრდის საკითხებს, ესწრება სკოლაში გაკვეთილებს, მოწაფეების გამოცდებს და სხვ.

თვით სკოლის მასწავლებელნიც მართავენ სხდომებს, სადაც იხილავენ სხვა და სხვა პედაგოგიურ საკითხებს, მსჯელობენ ამა თუ იმ სწავლების წესზე, მიზნის შესაფერ საშუალებებზე, ეცნობიან პედაგოგიკის თანამედროვე მოთხოვნილებათ და სხვა.

საანგარიშო წელს სასკოლო კომისიამ მოწაფეების გამოცდის შემდეგ ოქმების წიგნში აღნიშნა:

19 მაისი 1913 წელი

ამ დღეს სასკოლო კომისიამ, შემდეგის შემადგენლობით: მ. ნასიძე, რ. ნაცვლიშვილი, მ. კალანდარიშვილი და ლ. გოცირიძე, დაათვალიერა და გამოსცადა სწავლაში პირველი განყოფილება სკოლისა, რომელშიაც 15 იანვრიდან ასწავლის გამგე სკოლისა მ. კაკაბაძე.

განყოფილებაში დაგვიხვდა 15 მოწაფე, თუმცა ირიცხებოდა სულ ოცი. კომისიამ გამოსცადა მოწაფეები ქართულ წერა-კითხვაში, ანგარიშში და რუსულ ენაში. დავაწერინეთ ქართულად კარნახით მოთხრობა: „ერთგული პატარა ქალი“, „დედა-ენიდან“.

ბავშვები საერთოდ კარგად სწერენ ქართულს, შეგნებულად კითხულობენ, გავლილ ლექსებს და მოთხრობებს მკვირცხლად და გრძნობით გადმოგვცემენ. გავლილი მასალა რუსულიდანაც ძალიან კარგათ იციან. არითმეტიკიდან გავლილი მასალა ჩინებულად იციან. საერთო შთაბეჭდილება ისეთი გამოვიტანეთ, რომ ბავშვებს ფრიად ნაყოფიერად გაუტარებიათ სამოსწავლო წელიწადი.

25 მაისი 1913 წ.

ამ დღეს სასკოლო კომისიამ, შემდეგი შემადგენლობით: მ. ნასიძე, რ. ნაცვლიშვილი, მ. კალანდარიშვილი, ლ. გოცირიძე და პ. ქარუმიძე, დაათვალიერა

და გამოსცადა მესამე და მეოთხე განყოფილება სკოლისა, რომელშიაც ასწავლიდა წლის განმავლობაში ქ. დიდისი.

მეორე განყოფილება კომისიამ დაათვალიერა 23 მაისს გამგეობის წევრის ბ. თურქიას თანადასწრებით. 25 მაისს გამოცდას დაესწრო გამგეობის წევრი ბ. პ. გელოვანი, რომელიც კითხვებს აძლევდა ბავშვებს.

კომისიამ სცნო ამ გამოცდით, რომ, როგორც მეორე განყოფილების მასწავლებელს ქ. ჩიხლაძეს, ისე მესამისა და მეოთხის მასწავლებელს ქ. დიდის პირნათლად და მუყაითად უმუშავნია წლის განმავლობაში. მათი ნაყოფიერი მუშაობის შედეგი თვალსაჩინოა: მოწაფეები ყველა საგნებში მკვირცხლად და შეგნებულად მოგვიგებდნენ, გავლილი მასალა კარგათ იციან. კომისია სიამოვნებით აღნიშნავს: ქართული ენა და ქართულად საგნების ცოდნა ყველა განყოფილებაში მშვენივრად არის დაყენებული.

საჭიროდ სცნო კომისიამ აღნიშნოს და მიუთითოს სკოლის მასწავლებელთ ერთ ნაკლზე: ეს არის პროვინციალურ კილოკავზე ლაპარაკი მოწაფეების მიერ. საჭიროა გაშალაშინება ასეთის შიგ-ჭრელი კილო-კავებისა სალიტერატურო ენის ზე-გავლენით და კარგათ შესწავლით.

საანგარიშო წელს სკოლამ მონაწილეობა მიიღო ვლ. მესხიშვილის იუბილეში; მოწაფეებმა დაფნის გვირგვინი მიართვეს და შესაფერი ლექსები წაუკითხეს დამსახურებულ იუბილიარს. 14 იანვარს სკოლაში გაიმართა შობის ხე. 25 მაისს იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების წლის თავზე განსვენებულის პატივსაცემლად გამართულ იქნა საბავშვო საღამო. როგორც შობის ხეზე, ისე ამ საღამოზე ბავშვებთან ერთად მოწვეულ იყვნენ მათი მშობლები და გარეშე საზოგადოებაც. სკოლაში ბავშვებს ბუნდოვანი ფარნით აჩვენეს ქართველ ტომების ეტნოგრაფიული სურათები, „იავ-ნანამ რა ჰქნა“ და „ვეფხვის ტყაოსნის“ დასურათება.

სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს სკოლაში და სკოლის გარეთ ბავშვების მიერ გარეშე წიგნების კითხვას. ამ მიზნით სკოლასთან არსებობს საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელსაც განაგებს მასწავლებელი მ. ჩიხლაძის ასული. ბიბლიოთეკაში 515 ცალი საბავშვო წიგნია, რომელიც შეადგენს 120-ზე მეტს სხვა და სხვა შინაარსის წიგნებს. ბავშვები დიდის ხალისით კითხულობენ ამ წიგნებს. ხოლო, სამწუხაროთ, ქართული საბავშვო ლიტერატურის სიღარიბე საგრძნობელი ჰხდება ჩვენი ბავშვებისათვის, რადგან უფროს განყოფილებათა მოწაფენი მალე ასწრებენ ქართულ ენაზე არსებულ საბავშვო წიგნების გადაკითხვას და შემდეგ უწიგნოთ რჩებიან.

სკოლამ მოაწყო შემდეგი ექსკურსიები: მოწაფეებმა დაათვალიერეს გაზეთ „ბაკუს“ სტამბა, სადაც ზედმიწევნით გაეცნენ ბეჭდვის საქმეს; რამდენჯერმე მონახულეს პედაგოგიური მუზეუმი, დაათვალიერეს და გაეცნენ სხვა და სხვა ფრინველებს, ცხოველებს, ნადირებს, მწერებს და სხვებს. უფროს განყოფილების მოწაფეებმა მასწავლებელთა ხელმძღვანელობით დაათვალიერეს ბაქოსა და მისი მიდამოების საყურადღებო ადგილები: ესტუმრენ შავქალაქში რილსკის ქარხანას, გაეცნენ ნავთის წარმოებას, მისი შემადგენელ ნაწილებად დაშლას და სხვა სხვა საჭირო მასალად გადამუშავებას. (ზეთი, ბენზინი, მაზუთი, კერასინი და სხვა). შემ-

დეგ ნობელის ბალისაკენ გაისეირნეს, სადაც ფერადი ყვავილების, ამწვანებული ბალახის და შეფოთლილი ხეების მეოხებით, რითაც ასე ღარიბია ბაქოს ხრიოკი ბუნება, ცოტათი მაინც შეიძლება ადამიანმა გაზაფხულის სიტურფე და სიმშვენიერე იგრძნოს. ბავშვებმა მოინახულეს სკობელევის ორთქლის წისკვილიც. უკანასკნელათ დაათვალიერეს წყლის საწმენდი ქარხანა (опрѣснитель). აქ მოწაფეებმა თვალსაჩინოთ ნახეს, თუ როგორ იწმინდება ზღვის მარილიანი წყალი, რომელსაც შემდეგ სასმელათ ვხმარობთ.

სკოლა წლის განმავლობაში, სხვათა შორის, დაათვალიერა და მოწაფეების ცოდნას გაეცნო ქართველი ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი.

ღრამატიული სექცია.

1913 წელს ისევე სისტემატიურად იმართებდა ბაქოში ქართული წარმოდგენები, როგორც 1912 წელს. პირველი ნახევარი საანგარიშო წლისა, იანვრიდან მაისის დამდეგამდე, გაგრძელება იყო 1912-1913 წლების სეზონისა, ხოლო მეორე ნახევარი, სექტემბრიდან დეკემბრის დამდეგამდე, — დასწყისი 1913-1914 წლების სეზონისა.

მთელი წლის განმავლობაში გაიმართა 29 წარმოდგენა. ეს პირველია, რომ ბაქოში ერთს წელიწადს აშდენი წარმოდგენა გამართულიყოს. თუ გამოვაკლებთ ზაფხულის სამ თვეს, როდესაც ჩვეულებრივად წარმოდგენები არ იმართება, თვეში მოდის სამ წარმოდგენაზე მეტი, რაც ბაქოსთვის, სადაც ქართველობის რიცხვი დიდი არ არის, ცოტათ არ ჩაითვლება.

29 წარმოდგენიდან ჩვეულებრივი, მორიგი წარმოდგენა იყო 18. დანარჩენ 11 წარმოდგენიდან ერთი იყო საიუბილეო (ვლ. ალექსი-მესხიშვილის 30 წლის მადღაწეობის გამომ), ოთხი საგასტროლო (გასტროლითრები: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვას. აბაშიძე და ტასო აბაშიძე), ოთხი საბენეფისო, ერთი გრიშაშვილის სადამო და ერთიც დაჯიო კლდიაშვილის სადამო.

ამ ოცდა ცხრა წარმოდგენაზე დაიდგა სულ 35 პიესა: 18 დრამა, 12 კომედია და ხუთი ვოდევდი. 16 პიესა იყო ორიგინალური, ქართველი ავტორისა, 12 თარგმანი, რუს., ევროპიულ და სომეხ ავტორისა, და 7 პიესაც გადმოკეთებული (ვოდევდი). ქართველ ავტორების პიესები დაიდგა: ავქ. ცაგარელისა, ალ. ყაზბეგისა, დავ. ერისთავისა, აკაკი წერეთლისა, ეგნ. ნინოშვილისა (გადმოკეთებული მისი მთხრობიდან), ვალ. გუნიასი, დავ. კლდიაშვილისა, აზიანისა, ნ. მიუკაშვილისა, ს. ჭანტურიშვილის და ფოდცხვერაშვილისა. უცხოელ მწერლების: მოლიერისა, შილდერისა, დიუმასი, ზუდერმანისა, ანდრეევისა, პრეტრუხოვისა, შირვანზადესი და სხვათა. ზემოხსენებულ პიესებს გარდა კიბა აბაშიძემ წაიკითხა ლექცია გრიშაშვილის სადამოზე, ხოლო ს. ჭანტურიშვილმა წარმოსთქვა სიტუვა კლდიაშვილის სადამოზე.

29 წარმოდგენას და სადამოს დაესწრო 8200 სული. თითო წარმოდგენაზე მოდის 282 სული. საჭიროდ მიგვაჩნია ავღნიშნოთ, რომ თეატრში მოსიარულეთა დიდ უმრავლესობას შეადგენდა ხელ-მოკლე ხალხი, ის, ვინც უადულობს ბილეთებს, დირებულს რრი-

შედგენს. კომიტეტის წევრებად იყვნენ: აგლაძე ი., ამაშუკელი ვ., გელოვანი ვ., შორ-
 შოლიანი ა., კაკაბაძე მ. (შემდეგ გავიდა კომიტეტიდან), მარჯანიშვილი მ., ნასიძე ვ.,
 თედეშვილი დ., თურქია ი., ქარუმიძე ჰ., ხუტუა ვ., ჭანტურიშვილი ს. კომიტეტის თავ-
 მჯდომარედ პირველ ხანს, ერთი თვის განმავლობაში, იყო მ. ნასიძე (შერე გავიდა კო-
 მიტეტიდან). ხოლო შემდეგ — ი. აგლაძე, თავმჯდომარის ამხანაგად — ს. ჭანტურიშვილი,
 ხაზინადრად — დ. თედეშვილი, მდივნად — ჯერ მ. კაკაბაძე, შემდეგ ჰ. ქარუმიძე.

საანგარიშო წლის განმავლობაში წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდნენ და სექცი-
 აში შედიოდნენ: ქ-ნნი ანდრთონიკაშვილისა ქ., ბუდაგიშვილი, ვახნაძე, გელოვანი თ., ია-
 ქაშვილისა მ., ლიხვისპირელი ა., ქარუმიძისა ე., ჩაკუნავა ნ., ჩაკვიანი, წულუკიძისა ბ.
 და ვერელი; ბ-ნნი ამაშუკელი ვ., ახობაძე ა., აწყურელი დ., ბახუა ი., გიორგობიანი,
 გომართელი, თევდორაშვილი, ჟუჟუნაშვილი, ზერეკიძე ი., კანდელაკი ბ., კატახიძე ი.,
 ჯეჯევა დ., ქარქაშაძე ა., მატარაძე გ., მედიქიშვილი, მიქელაძე, ნადირაძე ა., პავლია-
 შვილი ა., პავლიაშვილი გ., სადულიშვილი, სავარელიძე ი. და ჯორჯაძე.

რევისორებად იყვნენ: წლის დასაწყისში (მაისის დამლევამდე) ვ. ამაშუკელი, წლის
 დამლევს (სექტემბრიდან) — ნ. გვარაძე, ადმინისტრატორად — გ. მატარაძე, სუფლიორად —
 მ. მარჯანიშვილი და სტენაჩიუსად — ი. კატახიძე.



1913 წ. შემოსავალ-გასავალი.

შემოსავალი:


| | |
|--|----------------|
| 1. გადმოტანილია 1912 წლ. მონარჩენი | 445—66 |
| 2. საწევრო გადასახალი | 417— |
| 3. შემოწირულება სასკოლო ფონდის სასარგებლოდ | 761—56 |
| 4. ქართულ საღამოდან | 4403—24 |
| 5. სახელდახელოდ შენახულ თანხას ზედ შეეკეცა %%% | 32—44 |
| | <u>6059—99</u> |

გასავალი:

| | |
|--|------------|
| 1. ჯამაგირი მასწავლებელთ | 2390 -- 25 |
| 2. მოსამსახურეთ | 456 — 60 |
| 3. სკოლის გამგეს ბინის ქირად | 345 — |
| 4. %%% ფულის ამკრებს | 60 — 88 |

| | |
|--|----------------|
| 5. მასვე დაუბრუნდა ბეთ შემოტანილი . . . | 50— |
| 6. 1912 წ. შემოსავლის %%% მთავარ გამგეობას | 832—56 |
| 7. სასკოლო ინვენტარის შესაძენად . . . | 81—33 |
| 8. შენობის და მოძრავ ქონების დაზღვევა . . . | 49—16 |
| 9. საფოსტო-საკანცელარიის ხარჯები და საგაზე- თო განცხადებ. | 78—57 |
| 10. 1912 წლ. ანგარიშის დაბეჭდვა | 80— |
| 11. ელექტრონის განათება | 51—77 |
| 12. გათბობა, ნავთი და წყალი | 145—72 |
| 13. წიგნები ბიბლიოთეკისთვის | 165—82 |
| 14. სახელმძღვანელო ნივთები | 24—62 |
| 15. ჟურნალ-გაზეთები | 37—80 |
| 16. სკოლის გამგეს პეტერბურგში წასასვლელად (მასწ. კრებაზე დასასწრებლ.) | 40— |
| 17. მოიჯარადრე ვ. ყიფიანს დაუბრუნდა ბეთ შე- მოტანილი | 120— |
| 18. საკვირაო სკოლა | 31— |
| 19. შობის ხის მოწყობა | 20— |
| 20. სხვა და სხვა ხარჯი | 211—96 |
| 21. ქართულ წარმოდგენების მოწყობაზე გაწეუ- ლი ხარჯი | 395—71 |
| 1914 წლ. 1 იანვრისათვის სალაროში დარჩა | 391—24 |
| | <u>6059—99</u> |

გამგეობის თავმჯდომარე თ-დო ი. ი. ღაღინი.
 თავმჯდომარის ამხანაგი ს. კვიციანი.
 მდივანი დ. ახობაძე.
 ხაზინადარი გ. მ. ხუჭუა.



ს ი ა

ბაქო განუყოფილების წევრთა

ა) სახატო წევრი: იაკობ ალექსანდრეძე ძე მანსვეტაშვილი.

ბ) მუდმივი წევრნი, რომელთაც ერთდროულად გადაიხადეს საწევრო ფული 60—100 მან.

1. თ-დი დადიანი ი. ი. 2. თ-დი თუმანიშვილი ლ. ა. 3. ელიაშვილი ი. ს. 4. ჯაყელი ნ. ი. 5. მამულაიშვილი ლ. ქ. 6. მუხთაროვის ლეზი-ხანუმი. 7. მუხთაროვი მურტუზა. 8. მახარობლიძე მ. დ. მეფისაშვილი ს. ი.

გ) ნამდვილი წევრნი:

აბაშიძე ივ., ამაშუკელი ვ. ი., აგლაძე თ. ა., ახოზაძე ა. მ. ახოზაძე ვ. ა. ავალიანი მ. ლ., ალაფიძე ი. ლ., აღმაზაშვილი ა. ი., ახვლედიანი ვ. შ.

ბარაშვილი ი. ს., ბარკაია ა. ს., ბერელაშვილი ა. ი., ბარკალაია მ. ა., ბოლქვაძე ვ., ბედელაძე ი. ლ., ბოსტოგანოვი ი. ი., ბოსტოგანოვი ა. ი., ბენდელიანი დ. პ., ბროძელი ი.

გოციროძე ლ. ლ., გოციროძე ა. ლ., გრიგორაშვილი ლ. დ., გვარამაძე ილ., თ-დი გელოვანი ვ. გ., გოშუა კ. პ., გლობოვსკი ალ., გორდულაძე პ. ი., გაბელია კ. ი., გაბუნია ვ. ლ., გაბუნია ვ. ს.

დიდია მ. თ., დიდია ე. ე., დუმბაძე ა. ლ., დეკანოზიშვილი ნ. თ.

ელიავა ამ. თ., ემელიანოვი ა. პ., ეჯოშვილი ვ. დ.

ვაშაკიძე ვ. დ. ვაშაკიძე ალ.

თურქია ვ. მ., თურქია ი. მ., თ-დი თაქთაქიშვილი მ. ი., თედეშვილი დ. ი., თალაკვაძე პ. მ., თვალავაძე გ. ს., თოფურია ს. ბ.

იაკაშვილი ა. ი.

კვიტაშვილი ა. დ., კვიტაშვილი ს. მ., კაციტაძე ი. ბ., კეთილაძე ს., კირვალიძე ვ. ნ., კერესელიძე ა. ნ., კალანდარიშვილი მ. ი., კაჭახიძე ის., კაკაბაძე მ. მ., კანდელაკი ა. ნ.

ლორთქიფანიძე კ. ტ., ლანდია ვ. ს., ლოლოვა მ. ე., ლეკვიაშვილი ბ. ს.

მურვანიშვილი ლ. დ., მატარაძე გ. ი., მადალოვი ა. გ., მაჭავარიანი ნ. ი., მიქაბერიძე ს. ლ., მაისუროვი, მახარობლიძე ი. დ., მახარობლიძე დ. ნ., მანსვეტაშვილი ი. გ., მაღლაკელიძე მ. ზ., მასხარაშვილი ს. ს.

სირბილიძე ხ. ნასიძე მ. ა., ნემსაძე ა. ბ., ნაცვლიშვილი რ. ს.

ტატიშვილი მ. კ.

ქარცივაძე ნ. დ., ქიქოძე ვ. მ., ქადეიშვილი ა. ს., ქარუმიძე პ. ი., ქებაძე გ. ს., ქებაძე მ. ი. შახახიშვილი გრ. რევ., ყიფიანი ვ. პ. შელია ა. მ., შველიძე დ. რ., შათათავა ა. ი. ჩიხლაძე მ. ი., ჩიხლაძე ე. ი., ჩიკვაძე ვ. გ. თ-დი ჩიქოვანი ს. დ., ჩიჩუა კ. ი. შინქარაძე ალ. ი., ქანიშვილი ს. ა. ხუტუა ვ. ბ. ჯორჯიკია დ., ჯაფარიძე რ., ჯაფარიძე ი., ჯინოროძე გ., ჯიშკარიანი ი. სულ 101.

წევრნი რომელნიც არ არიან ჯერ დხმტკიცებულნი:

აგლაძე ი. ს., აბდუშელიშვილი დ. ს., გრიგორაშვილი პ. გ., გოგიტიძე დ. ქ., გოცირიძე კ. ლ., გაბუნია მ. ბ., გვიჩია ა. ი. გაგუა ა. ე., გურალია მ. ი., გაბიჩვაია ს. დ., ვაჩიშვილი ფ. ბ., თაყაიშვილი დ., იმნაიშვილი ნ., კემულარია, კირვალიძე ი. ს., კობახიძე ნ., კვაჭაძე ე. გ., კემულარია ს. გ., კაშმაძე გ., ლორთქიფანიძე ა. ლ., მარჯანიშვილი მ., მდიენიშვილი დ. ქ., ნაცვლიშვილი ნ. სოხაძე ა., ჟორჯოლიანი ა. მ., ტყემელაშვილი ბ. ო., ფარეიშვილი კ., ლოლაბერიძე ს. ლ., ჩაჩავა აპ., კოჭუა აქ., ჭანტურიშვილი ს., ხევსურიანი, ხუსკივაძე ი., ხალვაში კ. გ., ჯაფარიძე კ. კ. სულ შნ.



განცხადება

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება
აცხადებს, რომ წელს, ნ. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარ-
გებლიდან დანიშნულია პრემიათ 300 მანეთი.**

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსო საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. ლოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა, ან რომელიმე ევროპულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი; ზ) უცხო ენათაგან შემოხული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომლი-

სამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია; ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რავდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივ შესწავლა და გამოკვლევა; დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა; ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

5. თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) ლეგროვება და შესწავლა ან და გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კლოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზნეჩვეულებიდან, ფიზიკურ აგებულებიდან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა—გამოსარკვევად: ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

ენიშენა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ ზემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა; გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარმოდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1915 წლისა...

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერით და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1911 წელზე ადრე გამოცემული.



ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

„ბუნკი“

(წელიწადი პირველი)

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან. ნახევარი წლით—4 მან. სამი თვით—2 მ. 50 კ. თვიურად ქუთაისში—4 აბაზი. ქუთაისს გარედ—90 კაპ. საზღვარ გარედ 14 მან.

თითო ნომერი ერთი აბაზი

განცხადების ფასი ჩვეულებრივია

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობა 60 კ., მოსწავლე ახალგაზღვრულს კი 50 კაპეკათ.

რედაქცია იმყოფება: პუშკინის ქ. სახლი ქეიშვილისა № 12.

ფულის გამოსაცხადი მისამართი: Кутаись, Пушкинская ул. Андрею Чейшвили

ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეხუთე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებისათ: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი აბაზი, დამატების ნომერი (კვირისა) 7 კაპეკი. აღრესის გამოსაცხადი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1914 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ სამ წიგნს: 1) „ქართველი მწერლები“, 2) „უცხოეთის მწერლები“. 3) „სამეცნიერო კრებული“.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰქონდა მიიღოს ფოსტით სამი საბრეშია წიგნი.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

გამოვა 1914 წ. სახალხო გაზეთი

ნაკადული

(წელიწადი მეათე)

ხელას მოწერა მიიღება ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

გოლდონის პრესბუტზე ზუბალაშვილის სახლში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების მდარეში, თავ. აზნ. ქარვასლა

1914 წლის 1-ლ იანვრიდან 1915 წლის 1-ლ იანვრამდე წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მან.

სახუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: „მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“, (მრავალი სურათით) გიორგი ანთელიძისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა. გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

(წელიწადი მეშვიდე)

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭ-დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მე-ცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: **ილია ჭავჭავაძის, პეტალოცის, უშინსკის, რუსსოს და კომენსკის სურათებს**. ალბომს ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლისას“ და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ნ. ა. ყარაშვილის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ-გვარი ცნობები ქ. შ. წერს-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-დაქციაში და წერს-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან**. **ქუთაისში** ისილორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას ღ სამტრედიის იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტებს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ დონისძიებას ხმარობს ჟურნალის
თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская
Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**